

ლიტერატურული გაზეთი

№24 (304) 24 დეკემბერი 2021 - 20 იანვარი 2022

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი

ტარიელ ხარხელაური

ხან უნდა იყოს ავდარი,
ხან უნდა ქროდეს ქარია,
უნდა იდინონ ნისლებმა —
ჰფინონ ბალახზე ცვარია,
დღისით მზე უნდა ათბობდეს,
ღამე შუქს ჰფენდეს მთვარეა.
გზას იქ ვერ ჰფარავს ბალახი,
სადა მიდმოდის მგზავრია,
სადაც იჭრება საფლავი —
არ დალეულა მკვდარია,
ვიდრე ჟამს ბოლო ჟამისას
იტყვის საუფლო ზარია.
მერე
იკვლიონ ღვთისშვილთა,
საფიხვნოს დასხან ჯარია,
ყოფნა-არყოფნა სოფლისა,
რა უფრო დიდი ბრალია.

IV

ზაალ სამადაშვილი

შენ ის მოყევი...

შენ ის მოყევი, ძველი ამბავი — ქუჩის ბიჭებ-
ის მარაქაში გარევა, მათ ჭკუაზე სიარული რომ
გინდოდა და ერთხელაც ამ ხალხის შენ ჭკუაზე
გატარება რომ სცადე, როგორ გაგრძელდა და
რანაირად დასრულდა ეგ მცდელობა...

ახალი ფილმის სანახავად რომ შეიყვანე კი-
ნოთეატრ „ნაკადულში“ იმ ამბით „ავარდნილ-
მა“, რომელიც წინა საღამოს მოისმინე ყოვ-
ლისმცოდნე უფროსკურსელისგან უნივერ-
სიტეტის ბაღში...

მე ვიცი, მაგარი კინო სადაც გადისო, რომ
განუცხადე ამოჩემებულ ადგილას დიდხანს
დგომით გაბეზრებულ უბნელებს და ლენინგრა-
დის ქუჩის კუთხიდან პლენხანოვის პროსპექტის
გავლით სანაპიროსკენ რომ დაძარი ხუთი კა-
ცი...

VI-VII

ზაალ ებანოიძე

და წვეთწვეთობით...

თალხი ჩვარივით ფარფატებს ყვავი
და ეწვეთება თალხი ხმა სერებს;
წუხელ სიზმარში გადადებ თავი
და ლექსიც თალხი მელანით წერე.

შემოგაშტერდა ფანჯრები სოფლის,
თეთრი ფარდებიც გიქნევენ ხელებს
და წვეთწვეთობით შეჯამდა ოფლი
და მერე შუბლზე დაცურდა ღელე.

VIII

აკა მორჩილაძე

დათო ქარჩავა

ნინო ქადაგიძე

ქეთი ჯოლბორდი

კონსტანტინე კაპანაძე

დავით შენგელია

თაკო ჭილაძე

ნანა კუცია

დასასრული დასაწყისი N303

აკა მორჩილაძე

მისტერ პრისის და მასტერ უილის ამბის დასაწყისი



ფრაგმენტი მომავალი ნიგნიდან „მისაოპერი“

4.
სად უნდა დაბინავებულიყო? ბოლო მისამართი, რომელსაც ასე თუ ისე მიეკედლებოდა, ჩოქ ფარმი იყო. იმ კაცის სახლი, რომელიც ბოლოსდაბოლოს შემოაკვდა.

ეს იყო დიდი, ცალკე მდგომი სახლი საუცხოო უკანა ეზოთი.

ამ სახლის ბედისა სრულიად არაფერი ვიცოდი. მეგი არასდროს შეგვხვებია არც მე და არც შარლოტს. სასამართლოშიც არ გამოჩენილა. მე მერჩივანა, მეფიქრა, რომ მან როგორღაც გადალახა ეს ტრაგედია, ეგებ სახლიც გაყიდა და იქ გადაბარგდა, სადაც ყოველნამიერ მაინც არ გაახსენდებოდა ის უბედურება, მისმა ძმამ რომ მის ქმარს დაამართა.

შარლოტს არასდროს უხსენებია მეგი. არც ის მგონია, რომ მეგი ნიუგეიტში მისულიყო ოდესმე. ამიტომ ჩოქ ფარმზე კრისის ძებნა სისულელე იყო. კიდევ მეტ სისულელედ ჩანდა ასკოტში გაქროლება და მონაზონთა შენობაზე. მონასტერი შარლოტის მოკვარახსენებულნი ამბავი იყო, რათა კრისი კვლავაც პატიმრად დაეტოვებინა, ოღონდ უფრო ადამიანურ პირობებში.

ბედის ცდა ტარნემ გრინზე იმ ფრანგ ქალთან შეიძლება, რომლის სახელიც აღარ მახსოვს, მაგრამ იმას რომც სცოდნოდა რამე, მე არაფრით მეტყოდა, რადგან გამორჩეულად ვძულდი. ეს სიძულვილი კრისის ბრალი იყო. ასე რომ, ამ საგანგებო მნიშვნელობის ადამიანთანაც ვერაფერს გამოკრავდი ხელს.

ისევ შარლოტისთვის დარეკვა ჯობდა, შარლოტს სწორად წყვეტდა ხოლმე და გამოსავალსაც პოულობდა.

ისევ მანქანაში ვიჯექი და მისტერ ჯანდაბას და მისის დოზანას კუბური გამოცემის ყდას დავცქეროდი. ფარშევანგები და მანანალები ეხატა. კრისის მოწონებოდა. კრისი ქერა, ხშირთმიანი, კარგად აწყობილი ინგლისელი იყო კარგი მანერებითა და იმ ძველი დროის მოკრიკეტის სხეულით, რომელსაც ტაფელის ქნევას, რაგბის თამაში ურჩევნია. მისი ღიმილი ყველაზე მკაცრ მასწავლებლებსაც მოარბილებდა ხოლმე, გულყრილი გამოეხიდა კი აქეთ-იქით ცვიოდნენ. მისი დამოხედვა განასახიერებდა რალაცას მოქანცულ წმინდანსა და ავხორც თაღლითს შორის. თვალების ნაცვლად იაგუნდები ჰქონდა, როგორც ბედნიერ უფლისწულს ჩვენი ბავშვობის მოთხრობიდან. ის იყო შეთავაზება, რომელსაც ვერ ნახუხვიდოდი.

მერედამერე, გადაგვარების კვალად, ჩვეულებრივ, რატომღაც ყოველთვის სველი და მაინც გადასარევი, სამყაროს უსასტიკესად აღიქვამდა. წვრილმანები წარმოსახვით საკუჭნაოში დაეჭროვით. ის ყველაფერს ურტყამდა, რასაც კი შემანახებლად თვლიდა. ამიტომაც იყო, რომ შარლოტი წარამარა მის გატეხილ ცხვირზე ზრუნავდა. ისეთ ადგილებში სიარული დასჩემდა, სადაც ყბაში მოხვედრილი მუშტი უბრალოდ შოუზე შესასვლელ ბილეთად ითვლებოდა. მოულოდნელად გაიმბობდა, როგორ შეება დოკლენდში მალაქე ყველის კონტრაბანდისტებს, რომლებსაც სატვირთოდან ყუთები გადმოუყარა, მათ კი ფართობიანი ყველის საჭრელი დანები დააძრეს და ეგებ ყველივით დაეჭრათ კიდეც, შემთვრალი ტომი ატკინისი რომ არ გამოჩენილიყო. ეს ჯარისკაცი მშვენივრად მოიხმარდა ძველი ყაიდის გერმანულ კათხებს და მათი ქნევით გაიკაფა გზა მალაქელთაგან ალყაშემორტყმული კრისისკენ.

„მე კი მისი სახელიც არ ვიცი“, ჯავრობდა კრისი, „უბრალოდ, ტომი ატკინისი... ინგლისელი ქუჩიდან“.

შემეძლო, მეპასუხა, რომ ეს ამბავი ვადაგასული და გახუნებულია, მაგრამ ვერ ვეუბნებოდი, რადგან ეს სისულელე ნამდვილი სიმართლესავით გამოიყურებოდა. მისი ნიჭიც ეს იყო.

ასეთი ამბები იმ დროებში ხდებოდა, როცა ის ლამის ყოველ კვირას იცვლიდა საძინებელს. სასტუმროები სძულდა, ამიტომ იქ რჩებოდა, სადაც შეუშვებდნენ. სანვალელები ის იყო, რომ პერანგი ორ დღეში ერთხელ მაინც უნდა გაერცხა. სამრეცხაოები სასტუმროებზე უფრო სძულდა და შარლოტსაც არ ეკარებოდა იმის

მიუხედავად, რომ მას ამ პერანგის რეცხვაში ბრიტანეთის იმპერიის ორდენი ერგებოდა.

ეს იყო შავ და ლურჯ ხოლებიანი კოვბოური პერანგი, რომელიც მას წლობით ეცვა. იგი ამერიკაში სანიგნე მოგზაურობის დროს აჩუქა რომი როჯერსმა, თუ კენი როჯერსმა, თუ კენი კენუდმა, ან სულაც თვით კლინტი ისტუდმა. ღრმა მიზეზი დაუდგენელია, მაგრამ გეგონებოდა, ამ პერანგში დაიბადო.

შარლოტმა ბარე სამჯერ წაიღო მკერათან სახელოებისა და საყელოს დასაკემსად.

„დიდი ილბალი აქვს შიგნიდან, ტანს ამშვიდებს“, ამბობდა ხანდახან, თუმცა ამის დამამტკიცებელი არასდროს მომხდარა რამე.

გაცრეცილობის გამო ამ კოვბოური პერანგის ყველა გარეცხვა სასიკვდილოდ სახიფათო, მაგრამ მართლა გამძლე და უკვდავი ჩანდა. პერანგი დროსთან სრულიად შეუსაბამო იერისა იყო, განსაკუთრებით მისი უზომოდ დიდი, სამოცდაათიანი წლებიდან გადმოყოლილი საყელოს გამო, მაგრამ კრისის ეს არ ადარდებდა.

შარლოტის გარეშე ცხოვრების ბოლო ხანებში მზის სათვალეებიც შეიყვარა. ათობით ყიდულობდა და კარგავდა მზის სათვალეებს და ტოვებდა მათ ჰაბებში, თეატრებში და კებებში. ამტკვრევდა და უკანა ჯიბეშიც ჩაეფუშნებოდა ხოლმე, ან ვინმეს საწოლში. მერედამერე, როცა ყიდვაც ეხარებოდა, მაგრამ სათვალე კვლავ ჭირდებოდა, უკვე მე ვამარავებდი.

ჰამერსმიტზე ერთი ჩინელი ჯეილისგან ერთ ჯერზე ვყიდულობდი ხოლმე ოთხხუთ იაფიან მზის სათვალეს. ჩინელი მხოლოდ ჩინურ სათვალეებს ყიდდა და ყველას ერთი ფასი ედო. სულ სხვადასხვანაირი, ხუთფუნტიანი სათვალეები იყო, ერთი უცნობი, ალბათ იქაურივე ბრენდისა, რომელიც ალბათ როგორც ბოგუნაგნი, ისე წარმოიქმნებოდა. ასე კი ეწერა და რა ვიცი.

ეს სრულიად საკმარისი იყო კრისისთვის, რომ ჩემთვის ბოგუნაგელი კეთილი ადამიანი ენოდებინა იმ ძველი პიესის სათაურის მიხედვით, გადაცემული მეძავის ამბავს რომ გვითხრობს. საერთოდ, უამრავ მეტსახელს მიგონებდა, უმეტესად, ლიტერატურულიდან და კინოდან და ბოგუნაგელი კეთილი ადამიანი ნამდვილად არ იყო ყველაზე დამამცირებელი.

„მისმინე, მართლა მჭირდება ეს სათვალეები“, ბოგუნაგ ახსნას დააპირებდა ხოლმე, „არცთუ ჯენტლმენურია, პაემანზე ჩალურჯებული თვალით მიხვიდე. მოგვიანებით მას აღარავინ მიაქცევს ყურადღებას, მაგრამ როცა პირველად ხვდები ქალს, ჭუჭყიანი ბინტები და ჩასისხლიანებული თვალები მას უსწრაფესად უბიძგებს შეცდომის გამოსწორებისკენ“.

ამგვარი განმარტებები უკიდურესად გაბერილი იყო, რადგან მისი ფიზიკური მდგომარეობა თითქმის გამორიცხავდა ყოველგვარ სასაწოლე გმირობებს. კი, სულ ვიდაცასთან ეძინა, მაგრამ ეძინა და ეგ იყო. თავშესაფრად უღირდა.

მერე, როცა ჩაჯდა, შარლოტი ბევრს ლაპარაკობდა ამის შესახებ. ცდილობდა,

რომ მისი იმპოტენციის, შესაბამისად კი მისი ერთგულების, ზღაპარი სინამდვილედ ექცია, რითაც, მგონი, მათი შესაძლო შერიგებისა და შეერთების მორალურ საფუძველს აშენებდა. ძველმოდური საფუძველი იყო, მაგრამ შარლოტს რას გაანერებდი.

ნაგავი. როცა ჭირდებოდა, კრისი საარაკო იდ-იოტად იქცეოდა ხოლმე: „კი, ვამტკვრევ და ვკარგავ ამ სათვალეებს, მაგრამ ისევ ეგ ჯობია თვალების დაკარგვას. მერე ვიჯდები კუთხეში და ვიმღერებ: მხოლოდ იმისთვის დავრეკე, რომ მეთქვა, მე შენ მიყვარხარ... მაგრამ ხომ იცი, ტელეფონები მეჯავრება“.

ჩემთან რომ შემოვივლიდა, ზეანუულად თეატრალურად კი იქცეოდა ხოლმე, მაგრამ ჩემს საქმეს აუცილებლად მოიკითხავდა. საჭირო ნიგნები ყოველთვის მაგიდაზე მეყარა და რა საკვირველიც უნდა ჩანდეს, სათაურებსაც კი გადაავლებდა ხოლმე თვალს. სამხედრო ისტორია სამისო არ იყო, მაგრამ იცოდა, რასაც ვაკეთებდი.

„ათ მისაწყენ ნიგნს აიღე და იქიდან ერთ უნაკლო საკითხავს აკეთებ“, ყოველთვის ერთიდაიგივეს კი ამბობდა, „რა სამსუნხაროა, რომ სამხედრო ისტორიაზეა. ეს თემა შენი ნაწერით სიამოვნებას მიკრძალავს. ვერ ვკითხულობ, ხო გესმის“...

ვიქტორიანული ომების შესახებ წერა ჩემით სულაც არ ამირჩევია.

ეს იყო ერთადერთი შემოთავაზება იმ დროში, როცა ჩემი მწერლად გახდომის ოცნებები ისევე დამარხულიყო, როგორც მკვდარი ბელურა უკანა ეზოში.

ჩემი პირველი და უკანასკნელი სამი რომანი არასდროს გამოქვეყნებულა. მეტიც — არც კი განხილულა გამოსაქვეყნებლად. კრისის აგენტი ზედაც არ მიყურებდა, როგორც მისი ავტორის ხელჯობს. შარლოტმა დახმარება სცადა, მამამისსაც კი ნააკითხა ერთ-ერთი, მაგრამ ეს მაინც ისე გამოიყურებოდა, როგორც ამაყი ხელის ნაზად დაქვეყნა მისი მაღალი ფანჯრიდან. ჩემი მხრიდან კი ეს დამამცირებელი ჩაბლაუჭება იყო.

კრისის უკვე გამოეცა მისტერ ჯანდაბა და მისის დოზანა, ათიათასობით ცალი იყიდებოდა აქაც და ამერიკაშიც, ნიუ იორკერს კი თავისი გვერდები შეეთავაზებინა მოკლე მოთხრობებისთვის.

მე ილინგ ქომონზე ორვარსკვლავიან სასტუმროში ვმუშაობდი.

ის სამივე ხელნაწერი დავწვი. არავის უნდოდა. არ უნდოდა ახალბედა აგენტ ჰარი ურბანოვიჩისა, მაგრამ ერთ დღეს მან სასტუმროში დამირეკა.

„უილიამ“, თქვა ჰარიმ, „ეგ შენი სიბრაზე ვერცხლის ქალაქში გაახვიე, მაცივარში შეინახე და მომისმინე. შენი მავ რომანებიდან ერთმა აბზაცმა დიად დასკვნამდე მიმიყვანა. მტკიცე შეგრძნება გამიჩნდა, რომ შენ რალაც ვიქტორიანული უნდა გააკეთო. ვიქტორიანულად გამარჯვებული... ჰა-ჰა-ჰა... არა, მხატვრულს არ ვგულისხმობ. არა ხარ მხატვრულის კაცი. წარმოიდგინე უთავბოლო და უსასრულო ომები, მთელი ეგ კოპლინგობა. დაუმატე ორი ნვეთი ფოლკლენდები. ძალიან ცოტა, ოდნავ. უჩინარე შეგრძნება, რომ ომი ძვე-

ლი კია, მაგრამ ახალიცაა... უბრალოდ, დაჯექი და დამინერე ორმოცდაათი ათასი სიტყვა ვიქტორიას დროის ჯარისკაცებზე. რალაც ისტორიის მსგავსი. ნაიკითხე სხვა ნიგნები. იმედია, გესმის... შენ კარგი მოთხრობელი ხარ. მაგარი. ოღონდ გამოგონებაზე ნუ ინვალუბ. უბრალოდ, გააფორმე. ისტორიკოსები მძიმედ წერენ. ისე გამოიკეთე, როგორც ის აბზაცი... შენი წილი შრომა გასწიე და ჩემს წილს მე გავწიე... მივანებები. ისიც კი ვიცი, ვისაც შევასალე...“

ასე დაიწყო. სპიონ კოპის ბიჭის ორმოცდაათი ათასი ცალი გაიყიდა. მე ბურებთან ომმა გამიტყდა. მთლად ვიქტორია არ იყო, მაგრამ წაიღო. გაზეთები და ჟურნალები იმ ნიგნებისა და ფილმების რევიუებს მიკვეთავდნენ, ვიქტორიას და მისი ვაჟის დროის ომებს რომ შეეხებოდა. ტელეარხებზე ექსპერტად მინვევდნენ. სამხრეთ აფრიკაშიც ვიმოგზაურე დოკუმენტური სერიალის გადასაღებად. პირველ ათ წელიწადში თორმეტი ნიგნი გამომიცეს და თანდათან გაიკვდა, რომ ოთხსაწლოთახიან სახლში გადავედი წყნარ მორტიმერ როუდზე, ბარბედოსზე ვირუჯებოდი და სამხრეთ საფრანგეთში იმდენ თვეს ვატარებდი, რამდენიც მომესურვებოდა. ვწერდი და რეჟისორებსაც მრჩევლად ავყავი, მაგრამ რომანისტი მაინც არ ვიყავი და ვერც გავხდებოდი.

კი, საკმაოდ ცნობილი ავტორი ვიყავი, მაგრამ არა — მწერალი. ამდენი ნიგნი დავწერე, თუმცა ეს ხომ ის არ იყო, რაზეც ლატიმერის უფროსთა სკოლაში ვოცნებობდი.

მე თუ მკითხავთ, მწერალს და ავტორს ვერ შეადარებ. ყველა ავტორმა, რომელიც მწერლობაზე ოცნებობდა, მშვენივრად იცის სხვაობა და ჯავრს გულში ინახავს.

ეს ის ტკივილია, რომელსაც კრისის საყვარელი დემონები ვერ ინვევენ, მას საკუთრივ ლუციფერი სჭირდება, რომელიც ნიჭს, უნარებს, მუყაითობას გიტოვებს, რალაც კი ამოგვავს. ეს ისეთი ჭრილობაა, დემონიც რომ მოერიდება.

როცა კი მომესურვებოდა, რომანს მაშინ დავწერდი და იოლადაც გამომიცემდნენ, თუნდაც სრულიად უცნობი ფსევდონიმით. ჰარი ურბანოვიჩი, რომელიც ახლა უფლებათა ზვიგენი გახლავთ, საუკეთესო გამოცემის მიმოვიდა, მაგრამ ეს არაფრით ემგვანებოდა ნაოცნებარს.

სულ თავიდანვე ყველამ ძალიან ცხადად მიმახვედრა, რომ ლიტერატურას ტყუილად ვეჭიდებოდი.

ასე რომ, უბრალოდ ვცხოვრობდი ამ სიცხადით იმ ნაკვერჩხალივით, ჩემმა მეგობარმა რომ აღწერა თავის ბესტსელერში. მერე ნაკვერჩხალი სამულდამოდ ჩანახშირდა. ასე მეგონა.

ეს ძველი, ლატიმერული ამბავი იყო, როცა ჩვენ სწორედ ლიტერატურის გამო დავახლოვდით.

ლატიმერის ბიჭობა მაინცდამაინც იმას არ ნიშნავდა, რომ მონაფეს რაიმე საგანგებო სამწერლო უნარები უმუშავებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლიტერატურა ორივეს გვიყვარდა.

ეს იყო იანგ-ვალთ ნიგნების შემოვარდნის დრო და ორივე ჩავფაფალით ამ ჟანრში. ვწერდით. დიდად ვერ ვამთავრებდით, მოკლე მოთხრობებსაც კი, რაც ჩვეულებრივი ამბავია წერას ატანილი ბიჭისთვის: ჰგონია, რომ სიუჟეტს და სათხრობის სიგრძეს მოერევა, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და ახალზე გადადის. ახალზე გადასვლა უკეთესიც კია, იმიტომ, რომ თუ მაინც ახერხებ და დამთავრებ რამეს, სამარცხვინო გამოვა.

ამის მიუხედავად, ლატიმერის ლიტერატურულ ვარსკვლავებად ვითვლებოდი.

ეს მხოლოდ წერას არ შეეხებოდა. ლიტერატურის სიყვარულმა ათასი სხვა საერთო სიყვარული, გემო და ოცნება გვაპოვნინა კრისსა და მე.

ჩემთვის მძიმეა იმ დღეების სინათლის ხსენება იმ ამბების გარეშე, რომლებმაც ერთმანეთს მიგვანება.

თუკი ადამიანს ბედნიერება იმ ორი მონაფე ბიჭის სრული ერთობის სახით მიენიჭა, რომლებიც ცხოვრებაში პირველად ბლავი სამართლებლით პარსავენ ერთმანეთს ნიკაპზე ოდნავ ამონვერილ ღინდლს, მაშინ მე ბედნიერება გამომიცვლია და ეგაა.

თუმცა, უფრო ღრმა მსჯელობას არ ვაპირებ.

რახან ჩემი ძვირფასი მეგობრისგან გა-

სხვაგვარად შეუმდგარი რომანისტი ვარ, არ მინდა, რომ მოგონებათა მშვენიერება ჩვე-

ულეებრივმა კალამმა წაახდინოს. მოკლედ რომ ითქვას, სკოლის შემდეგ კრისმა კემბრიჯისკენ გასწავლა, მე კი ლონდონში დავრჩი. კემბრიჯამდე ავტობუსს საათნახევარი სჭირდებოდა და ეს გზა მრავალჯერ გამოვიდა, განსაკუთრებით, პირველი სამი სემესტრის განმავლობაში. თავად კრისი კი მხოლოდ არდადეგებზე ბრუნდებოდა.

ცნობილია, რომ სტუდენტობა ცრეცს სკოლის მეგობრობას უნივერსიტეტი ახალი კავშირების, ახალი მისწრაფებების, ახალი განცდებისა და ვნებების გაბრწყინების ადგილია. რაც ლატიმერში იყო, წარსულად იქცა. მაგარი წარსული იყო, მაგრამ როცა ჯერ ოცისა და არა ხარ, მილი გამსკდარია და მოგონებები გეზიზნება. იმავე დროს, უკიდურესი ეჭვიანობა გამუდმებით უჩიკინებს იმ წარსულსა და ღირსების განცდას.

შენ იცი, რომ ორთა შორის მეორე ხარ. ეს არასდროს განუხეხებს, როცა სანაცვლოდ იმას იღებ, რასაც მოელი და მე ყოველთვის ვიღებდი, მაგრამ როცა „ჩემი სკოლის მეგობარ დიხი“ გადაიქციევი, იმაზე ფიქრს იწყებ, როგორ მოულობ ფულს უქმეებზე კემბრიჯში წასასვლელად.

დამთავრებული იყო. ის უფრო ფართო სამყაროს გმირი გახლდათ და მე კი მის გვერდით ადგილისთვის ხელახლა ბრძოლა ვიუარე.

დამთავრებული იყო. წლები გავიდა. ეგ ჩვევა აქვს. იმხანად ტურისტულ კომპანიაში ვმუშაობდი, ესპანურ მზეს ვყიდდი იმ წყვილებს, ერთმანეთის გარუჯულად დანახვა რომ სჭირდებოდათ და მან დამირეკა. ცხონებულ დედაჩემს მიეცა ნომერი.

„ჯერაც ცოცხალი ხარ, პირქუშო ბანძო?“ ისეთი ხმა ჰქონდა, ვითომ შეთანხმებულ ლანჩზე არ მივედი, „ცოცხალი ხარ? სად ხარ? ბალახს რწყავ კრივერ კოტეჯზე? საუკეთესო სამსახურია იმათგან, იმპერიის რომ სთავაზობს შენთანა ტიპებს. მერე თოფსაც მოგანდობენ“...

„სად ხარ“, ხმა სადღაც გამეპარა.

„ლონდონში, უილ, ლონდონში. სად უნდა ვიყო? მისმინე. უნდა შევხვდეთ. ჩემი გერლფრენდის მშობლები გვარიან წვეულებას მართავენ შაბათს. დედაჩემი, ბიძაჩემი... შენც დაპატივებულ ხარ... დიახ, დიახ... რაიმე ტრადიციულად შთამბეჭდავი ჰალსტუხი შეარჩიე... მაგრამ მანამდე უნდა შევხვდეთ. კათხას ხო არ ისურვებდნენ? ან ვისადილოთ სადმე. ისევ ჯიუტობ? ისევ გგონია, რომ ქალწული ხარ? ისევ ისეთი ჭკვიანი ხარ? ოჰ, უილ, საშინლად მომენატრე“...

„მეც მომენატრე“, ვთქვი მე და ეს ახალი, კარგი მეგობრობის დასაწყისი იყო, როგორც მან გაიხსენა ნაცნობი ფილმის ნაცნობი დასასრული.

და ახლა კიდევ ერთი, ხელახალი დასაწყისის დღე იდგა, მაგრამ ის გაუჩინარდა და უნდა მეპოვა. უსიკვდილოდ.

„მე ვიცი სადაც იქნება“, შეკავებული განგამი გამოისმა ეგეოსის ზღვიდან „ბიძია პიკის სკოლაში. იმ სკოლაში, ბიძია პიკმა რომ დააარსა. გახსოვს?“

მახსოვდა, რა თქმა უნდა, მაგრამ რომელი ჯურღმულიდან ამოათრება შარლოტმა ბიძია პიკი?!

ნიჭიერ ბავშვთა თავისუფალი სამუშაო სტუდია. დამაარსებელი ლორდი პიკი-ულიარი, მეჩვიდმეტე მარკიზი გრომინტონი, სერ ალფრედ ფორდო, უბრალოდ ბიძია პიკი.

„ადგილი გახსოვს? ჩიზიკუია“.

„ჩიზიკუია არ არის“, ვუთხარი მე, „ილინგია. ჩემი ახლანდელი სახლიდან შორი არ არის. მაგრამ ისევ ნიუგეიტზე ვარ“.

„ღვთის გულისათვის, ნაი. სახლის გზაზე“, კვლავაც თავის შეკავებას ცდილობდა, „ხო. ილინგია. თავგზა დამეზნა“.

„ძალიან ბევრი ბერძნული სახელის ბრალია. ძალიან ბევრი გეოგრაფიის“, ხუმრობა ცცადე.

„მაგას გავარკვევ, გეთაყვა... და გთხოვ, ამ პრობლემას არ შემატოვო. კრისის გულისთვის. შემეხმანე“.

5.

ჯერ ისევ ცოლ-ქმარი იყვნენ, როცა კრისმა გაუჩინარება დაიწყო და ეს გაქრობები თანდათან ჩვევადც გადაიქცა, შარლოტი კი, ცხადია, მისი ძებნის ვნებით აენ-

თო. ეს ალბათ მისი მთავარი მოწოდება იყო ცხოვრებაში.

როგორც წესი, კრისი დედამიწაზე თავისი ყოფნის არანაირ ნიშანს არ ამუღავნებდა და როცა ყველა იმედს გადაიწურებოდა, შარლოტი სამყაროს გადააბიჯებდა ხოლმე, ყურმილს აიღებდა და იმ ფრანგი ქალის ნომერს კრეფდა, ტარნემ გრინზე რომ ცხოვრობდა. ამ ქალისა და კრისის შესახებ შარლოტს მხოლოდ ის სჯეროდა, რომ ქალმა ერთხელ შეიტყუა მისი ქმარი. დიდი გულყრების შემდეგ მეუღლეთა შერიგება მოხერხდა, თუმცა, კრისი თავს არ იკლავდა, უბრალოდ, სპექტაკლში წაყვა შარლოტს.

მისი ხმა სამარიდან მოისმოდა: „კრისი ხომ არ არის მანდ სადმე?“

მავთულის მეორე მხრიდან პასუხი ყოველთვის უარყოფითი იყო. შარლოტს მოსწონდა ეს პასუხი, სულ პირველი ზარის დროიდან სჯეროდა მისი და, რაც მთავარია, სჭირდებოდა. მაგრამ ეს კრისის პოვნაში ვერ ეხმარებოდა და ერთ დღეს შარლოტს გონება გაუნათდა: კრისი ბიძია პიკის სტუდიაში შეიმალეა ხოლმეო. რით არ იყო გენიოსი!

იქავე ნამოვადექით თავს, როცა კრისს პატარა საკონცერტო დარბაზის სცენაზე ეძინა.

მერე და მერე სამჯერ ნამოვიყვანე კრისი მაგ ადგილიდან. შარლოტს უფრო ხშირად უნევდა.

ეს სტუდია კრისის მემკვიდრეობის ნაწილი იყო, თავისუფლად შეეძლო იქ ძილიცა და ცხოვრებაც.

ლორდი პიკიულიარი, ბიძია პიკი, კრისის დედის, ელიზაბეთის უფროსი ძმა გახლდათ. ის სამეფო ფილარმონიის ორკესტრის წევრი იყო მისი დაფუძნების ჟამს. მოგვიანებით ამსტერდამის კონსერვატორიის პროფესორი ბრძანდებოდა, მაგრამ კათედრა მის პირად ცხოვრებაზე წვრილმანი ინტრიგების გამო დატოვა და ინგლისში დაბრუნდა, რათა თავი ნიჭიერი ბავშვებისთვის მიეძღვნა. როგორც მდიდარმა კაცმა და მუსიკის ფანატიკოსმა გარეუბანში ეს სტუდია დააარსა და სახელიც გაუთქვა.

ამ დანებებულების დიდება მისი სიკვდილიდან მალევე მიინაცვლა და შენობა, რომელიც უშვილიძრო გრიმინტონის მეჩვიდმეტე მარკიზმა თავის დის ოჯახს უანდერძა, სულ მალე იქცა იმ მუსიკალური მუქთამჭამელების და მათი შთამომავლების თავშესაფრად, ბიძია პიკი სიცოცხლეშივე რომ პატრონობდა.

ლორდი პიკიულიარი ძალიან კარგად მახსოვს, კერძოდ კი მისი ფართე პიჯაკის საყლოზე უსარგებლოდ მოკონიალე მონოკო. უკეთეს დროებში უფრო მსუქანი, მოსული კაცი ყოფილიყო, ასაკში კი ახალი ტანსაცმლის შეკრევა ეზარებოდა.

ბიძია პიკი მშვიდ, გრძელ ლაპარაკში იტალიურ სიტყვებს ურევდა ხოლმე, ძირითადად, უხამსი შინაარსისა. ჩვენი პირველი შეხვედრისას კრისმა სწორედ იტალიურ გინებათა ცოდნით გამოაცხა. ბიძია პიკს მალალი შუბლი და ჭკვიანი, ოღონდ ახირებული ინტელექტუალის ოდნავ შემანუხებული გარეგნობა ჰქონდა, თუმცა მისი ფოტოებისთვის რომ ცოტა დიდება და პირქუშობა დაგემატებინათ, ხორხე ლუის ბორხესსაც მიაშავებდა. როცა შარლოტი და მე პირველად დავადექით კრისს სტუდიაში, ბიძია პიკი კარგა ხნის მკვდარი იყო. კრისმა გვითხრა, რომ ლორდის ერთგული თანამოსაქმენი ცდილობდნენ, ადგილისთვის ხელახლა შთაებერთ სული: გუჯარათელ დღის გაღივებს ინგლისურ იავნანებს ასწავლიდნენ.

ის ხალხი ახსენა, ბიჭობაშივე რომ არაერთხელ მენახა. ბიძია პიკის ვერცხლისფერთმიანი მძლეთამძლე ბატლერი, ლონგერინ ტამანგო კრისს სტუდიის მცველად დაენიშნა და შესვლა-გამოსვლის საქმე ჩაეზარებინა. თუმცა, კრისი სულ სხვა ვინმესთან მეგობრობდა ბიძამისის სტუდიაში.

ეს იყო ვოლფი, ინსტრუმენტების ამწყობი. გამხდარი, მორცხვად გამოხედავი კაცი, ნრუნუნავით მოქნილი და მასავით მდუმარედ დაძმნავე.

უშვილო ბიძია პიკმა თავისი უმცროსი ძმასავით გაზარდა ვოლფი. ეგებ ვაჟივითაც კი. ვოლფი შვიდ ენაზე ლაპარაკობდა და აბსოლუტური სმენა ჰქონდა. ის იყო იმ ამერიკელი ბარონ ოტო ფონ მატცენგერ-შტეინის უკანონო შვილი, რომელიც მოკავშირეთაგან დრეზდენის დაუნდობელი და

სამარცხვინო დაბომბვის დროს დაიღუპა ნაცისტების ტყვედ მყოფი. მომაკვდავმა ბარონმა სთხოვა ხელში დაჭრილ ბიძია პიკს, რომ ამერიკაში მოეძებნა ბიჭუნა, რომელსაც ვოლფგანგი ერქვა.

ნაცისტებთან მებრძოლი ამერიკელი ბარონის ამბავი, რომელმაც ტყვეთა ბანაკში გაიცნო ლორდი პიკიულიარი და თავისიანიების ცეცხლს ემსხვერპლა, გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა.

მაგრამ ვოლფიმ საშინელება ჩაიდინა. ქალი მოკლა და ოცი წელიწადი მიუსაჯეს. როცა შარლოტმა სტუდია ახსენა, პირველი სწორედ ვოლფი მომაგონდა, მაგრამ არ მიხსენებია, რადგან კრისის დაჭერის შემდეგ მისი სახელის წარმოთქმა შემძულდა. თითქოს ვთვლიდი. რომ ვოლფი რაღაც სრული, სიკეთით გამსჭვალული ბოროტების მატარებელი იყო და ეს კრისსაც გადასდო. ამ უიღბლო და თბილმა კაცმა თავისი ხასიათის ნიშნები და სისასტიკით გაჯერებული დანაშაული გადასდო ჩემს მეგობარს.

ბიძია პიკი ვოლფის ციხიდან გამოსვლას ვერ მოეწონა, მაგრამ მას წლიური სარჩო და სტუდიის შემოსავლის სიმბოლური წილი დაუტოვა.

კრისს აშკარად მოსწონდა სტუდიის მკვდარ სივრცეებში ვოლფისებურად დასახლება. ვოლფი საერთოდ არ სვამდა, მაგრამ მორგებულ თანამეცხადე და მსმენელად გამოდგებოდა. როდესაც საიდუმლო ბანაკი აღმოვაჩინეთ, კრისმა გამოგვიცხადა, რომ მას სურდა, შუა საუკუნეების ალალის ცხოვრება მოერგო და ვოლფი ამაში ეხმარებოდა.

იქ პირველად მისვლაც მშვენივრად მახსოვს. სინათლეს რაღაც სჭირდა და ლოენგრინმა ჩვენი თანყოველგვარი ნაცნობობა უარყო. გამეტებით იქვედა ფარანს და ვიღაც ძალიან სახიფათო ხალხის შეკრებით იმუქრებოდა. ვილფის გამოჩენამ და მოციმციმე სანთელმა, მას რომ ეჭირა, დროებით გადადო ლოენგრინის მრისხანე აჩრდილთა შეკრება.

„ღმერთო ჩემო, ჩემი ბალერინა“, ვოლფი ჰაერს მიფერა შარლოტის შორიხალხის და მე თავი დამიკრა. ბავშვური ხმა ჰქონდა: „ახლავე სენდვიჩებს მოგიზადებთ. ქინძიც კი გვაქვს... მობრძანდით, გეთაყვა... მობრძანდით“.

მერე კრისი მიამბობდა, რომ საღამოობით მკვდარ წიხტაში ფერადოვანი ჯგუფი იკრიბებოდა. იმათ შორის გადამდგარი კონდიტერი ჯანგირ ჰალილი, ექვსი ფუტის სიმაღლისა, დიდი თეთრი ულვამით და უცნაური საკრავით. ჯანგირ ჰალილი ვოლფის შემოქმედებას უსმენდა და ხანდახან თვითონაც ჩაჰყვებოდა ხოლმე. იყო ასევე ვინმე მარტინი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის თანადამფუძნებელი იყო, მაგრამ ფორტეპიანო უყვარდა. ვოლფი მისთვისაც უკრავდა. მათ ლოენგრინიც ემატებოდა და ასე კლუბობდნენ. სხვებიც იყვნენ, როგორც მერე შევიტყვე. ყველანი ბიძია პიკის მიერ ნაკვები მემუქთები, მუსიკოსები, ასე რომ ვთქვათ.

6.

სიცოცხლეში კიდევ ერთხელ ვიდექი ლორდ პეკიულიარის მიერ ოდესღაც დაარსებული სტუდიის კართან. კიდევ ერთხელ ჩემი მეგობრის მოსაძებნად და იქ დასაბინავებლად, სადაც მის ცოლს, თუ ყოფილ ცოლს, გაემწესებინა.

ალაყაფის კარი ალბათ საუკუნისწინ დაეგმანათ. ნვიმას მრავალი შემოდგომისწინ გადაეურეცხა მისტერ ტამანგოს მძლე ნაფეხურები. ფარდები ჩაყვითლებულიყო და შარშანდელი ფოთლები შენეებოდნენ კუთხეებს. უკანა კარის გზა კვლავაც მახსოვდა. ავად გადმოზრდილ ბუჩქნარში გავალწიე. ერთ დროს ოქროსფერი სახელური ჩამოვნიე და როცა მან გზა დამილოცა, შევაბიჯე. რაც მეტაკა, იყო ნესტიანი შპალერის სუნი და ბავშვობიდანვე ნაცნობი მელოდია:

„Mi-stress Ma-ry, Quite con-trary, How does your gar-den grow? With Sil-ver Bells, And Co-ckle Shells, Sing Cuck-olds all in a row“.

მელოდის ბებრული, მაგრამ ცხადი ხმა სდევდა. მოხუცი კაცი თამაშით დაატარებდა თითებს კლავიშებზე და ხუთი პატარა გოგონა კი გარშემო შემოსდგომოდა მუსიკოსს. პიანინო წითელი იყო. ალბათ ბიძია პიკის კოლექციიდან. ლორდი პიკიულიარი

როკოკოს ხანის ინსტრუმენტების ცნობილი შემგროვებელი გახლდათ. ჩანდა, რომ სიმღერის გაკვეთილი იყო და მეც უხმაუროდ გამოვბრუნდი: მანამდე დავბოდილობდი უკანა ეზოში, სანამ მშობლებმა არ იწყეს გამოჩენა.

რაც ვნახე, იმაში კი მარწმუნებდა, რომ კრისი იქ არ არის, მაგრამ რახან შარლოტს ვემორჩილებოდი, იქამდე ვიცადე, სანამ მოხუცი მარტო არ დარჩა თავის პიანინოსთან.

რომ შევედი, უკვე ძველისძველი ობზერვერის რევიუების განყოფილებას ჩასცქეროდა.

შერჩენილი თეთრი თმა საგულდაგულოდ, ჯენტლმენურად ედო კეფაზე, უშველებელი სათვალე კი ალბათ ოთხმოცდაათიანი წლებიდან გადმოჰყოლოდა. ეგებ მისი გარდაცვლილი ცოლისაც იყო, რადგან კაცებს სათვალის ყიდვა ხშირად ეზარებათ ხოლმე.

ჩემი ბოდიშები ეამა, მკვირცხლად წამოხტა სკამიდან და გაზეთი პიანინოზე მიაგდო.

„მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით“...

ძველი, მაგრამ პენსერჩენილი კოსტიუმი და რუხი ჟილეტი ეცვა. ფეხსაცმელი უბზინავდა და მისი ჰალსტუხი ხალისს აფრქევდა. თითქოს ყველაფერი ჯერ კიდევ სუნთქავდა დაიდი დროებით...

„უბრალოდ, მეგობარს ვეძებ“, ვთქვი.

„თქვენს მეგობარს?“ გაიღიმა მან, „დედებულისა“...

უცებ სათვალე ჩამოუცურდა და იატაკზე დაეარდა. ორივენი დავიხარეთ და შუბლებით შევასკდით ერთმანეთს.

აჰ!

ოჰ!

კრის!

საკმაოდ მწვავე შეჯახება იყო, თუმცა, მეტს გადავურჩით.

„ბოდიში, ბოდიში, ბოდიში“...

„საშინლად გატკინეთ“, სათვალე ისევ ხელში მეჭირა...

„არაფერი... დედაჩემმა მომცა, რადგან

ახლა პლუს ოთხი სჭირდება“, დედა ჰყავდა, „აქ მაცივარი გვაქვს“, თმის გასწორებას მოჰყვა და ისე კოხტად დაილაგა, რომ ეტყობოდა, დღემი ოცჯერ მაინც აკეთებდა ამას, „ყინულის გამოფხვნა შეგიძლია. ჩემს ბავშვობაში, კრივზე რომ დავდიოდი, ყინული სულ არ გვქონდა. ნახევარპენსიანს დაიდედა კოპზე და ეგ იყო. თქვენ გადარჩით, არ გჭირდებათ“.

„არც თქვენ“, გავუღიმიე.

„მართლა?“ თვალბი აატრიალა, თითქოს კოპს ეძებოდა, „მოგონი, მიცნობთ, არა? რამდენი წლისა ხართ?“

„ორმოცდაათს აღარ მიკლია“.

ბუტბუტით დაიწყო რაღაცის თვლა.

„საუკეთესო შემთხვევაში ის გეხსომებათ, როგორ ინავლება დიდება“, ძალით გაიღიმა.

„თქვენ ვოლფი ხართ?“ სისულელე ნამოვყრანტალე. სულ არ ჰგავდა ვოლფის.

სათვალის მინებს წმენდდა და წამით გაშეშდა.

„ვოლფი? ღმერთო ჩემო“, ამოიხხრა, „ვოლფის იცნობდით?“

„დიახ“.

„მაგარს მე ხომ ვოლფი არა ვარ“, ისევ სათვალეს მიუბრუნდა.

„თქვენ არასდროს მინახიხართ. მაპატიეთ“...

თვალეებში ნაპერწკალმა გაურბინა.

„რა თქმა უნდა, გინახივართ“, სათვალე წინა ჯიბეში ჩაიდო და ეშმაკურად შემომაჩერდა:

„There was an old farmer who lived on a rock. He sat in the meadow just shaking his... Fist at some boys who were down by the creek,

There feet in the water their hands on their... Marbles

And play things... გახსოვთ? გახსოვთ“...

„And at half past four, there came a young lady she looked like a... pretty young creature“, ცცადე, გაგრძელება.

„She sat on the grass, she pulled up she dress, and showed them her...ruffles and laces... რასაკვირველია, ყველაფერი გახსოვთ. მსმენელი ისეთი უცნაურია ხოლმე“...

„ჯონი... ჯონი“... ცცადე გახსენება.



ტარიელ ხარხელაური

სად მიხვალ!
 ალვირს ხელი წავსტაცე,
 და თითებში დადნა ალვირი,
 მე არა ვგავარ ახლა არც კაცებს
 და
 უფლება მაქვს — დაგკლა ძალივით.
 დღეს ჩემში ბორგავს ცეცხლი საკირის,
 გონება ჩემი არეულია,
 და თქვენს ენაზე მე ვარ ვამპირი...
 და თქვენი მოდგმის სისხლი მწყურია.
 იქ, ცათა მიღმა, მამყოფს დიდხანს,
 დღეს გზა გამიხსნა ცათა ლიობმა,
 თვითონ მეცახით,
 თქვენ თვითონ მიხმობთ,
 დღეს მე გჭირდებით კაცობრიობას —
 რადგან შეშლილი მსოფლიო გონი
 სახსება ზიზღით და აგონიით,
 შევცვალო თქვენი სიცოცხლის ფონი,
 რომ სისხლისფერი იყოს ომივით.
 რომ შემაჩერო, ის კაცი არ ხარ,
 ამ დიდი შეშლის იყო მძრახავი,
 შენი ტვინისგან ვამზადებ სამხარს
 და...
 მერე შენს სისხლს დავლევ ხარხარით.

რად ვდგავარ, რადა ვყუდივარ
 ამ ნასახლართან მგლოვარი,
 ვისი რა სული მოძრაობს
 სამზეოდ დანატოვარი,
 რას ტრიალებენ ნისლები, —
 შავთა უფსკრულთა მსტოვარნი,
 ან ასე საბრალობელად
 თავზე რას დამყევს ყორანი.
 რად შეეხვია ღრუბლებში —
 მზე ასე თალბი რად არი,
 ვისი რა ინვის სანთელი,
 ვისი რა ფიქრი დამდნარი,
 რა სძრავს ხავსიან საფლავებს,
 ძვლების რად მესმის დგანდგარი,
 რად ძრწიან შავნი აჩრდილნი
 საუფლო მზეზე დამდგარნი.
 ან ასე რად ჰყევს მდინარე,
 ვის რა ჯავრს იხვევს გულზედა,
 საით ჩქარობენ გველები —
 ვის მკურნალობენ წყლულზედა,
 შავი რად ჰყვავის ყვავილი
 კერის ნინ დანატრულზედა.
 არსად არ იძვრის ნიავი —
 ოფლი ამწმინდოს შუბლზედა,
 ვინა ვარ, ვინა ვყუდივარ
 ამ ნასახლართან მდუმარი,
 ვინა ვარ, ვისი სული ვარ
 შავ შუადამის სტუმარი,
 არ მაქვს სიცოცხლის ხალისი,
 აღარც სიკვდილის უნარი.

დგას შუალამე,
 ცეცხლი ნავლდება,
 მთებზე ნისლები განწენენ ზოლებად,
 მთვარე კი, როგორც ქალის ზმანება,
 ნისლიდან ცისკენ აიზმორება.
 ვარ მდუმარებით სრულად მოცული,
 ბრწყინვალე ვიდივარ
 კლდეებს ფრიალოს,
 მთვარე კი, როგორც ქალი ორსული —
 მიდის, რომ ცაში იმშობიაროს...

ჩემთვის ვლიდინებ, მარტო ვარ,
 წარაფს მივყვები თელეების,
 ამ დილით ფიქრმა დამტოვა —
 მტოვებენ ქრიზანთემებიც.
 დღეს შემოდგომის დარია,
 გახუნებული ფერები,
 სად რა ხარ, ჭიამარია —
 რა ხშირად გამეხსენები...
 სადა ხარ, სად რა დაჰფრინავ,
 ფიქრი გამკრავს და, ვლონდები,
 სადა ხარ, სადა, რა ხშირად —
 რა თბილად მომაგონდები...

მივიდა,
 მივყევ დილის მზეს,
 სუნთქვა შეწყვიტა ქარმაო,
 ზურგი მაქცია პირიმზემ,
 თვალის არ შემომყარაო,
 შებრუნდა,
 ვითომ ზურგს უკან
 მთვარის ნალევი მდგარაო...
 მოხურა გულის კარები —
 რა ცივად დამიჯარაო,
 ვინ შეუცვალა გუნება,
 ნეტა — ვინ გამიჯავრაო...

ცაო, მაღალო!
 ეგ სიმალლე შენი ვირნმუნე,
 უსასრულობა
 ღამის ფიქრთა მექცა საძოვრად,
 ცაო, მაღალო,
 ეგ მზე სულში ჩამომინურე,
 რომ შენი სითბო
 იგრძნოს ჩემმა ცივმა საძვალემ.
 ცაო, მაღალო!
 წვიმით სავსე ღრუბლებს ვიცილებ,
 ვემინავ,
 რომ გმინვით
 შენი ლურჯი ჭერი დავხარო,
 ცაო, მაღალო!
 დედამინამ ჩემი სიმცირე
 იგრძნო და,
 ღამის
 მთელ სამყაროს შემომახალოს.

მიდგას წყლით სავსე ხელადა,
 წყალიც და პურიც საკმარი,
 შუადლე არის, ცხელა და
 ისმის ყორნების ყრანტალი.
 და ბებერ მუხის ჩრდილიდან
 კაცი გამოდის ღიმილით,
 ჯერ ყვავილებთან მივიდა,
 კურთხევა სთხოვა გვირილებს.
 მერე გასწორდა წელში და
 ლოცვა დაიწყო წმინდამა,
 მზე ამონურა პეშვიდან
 და შუბლი ჩამოიბანა.
 ნავიდა, ჰქროდა სიო და
 ყვავილთ დაიწყეს ბიბინი,
 ნავიდა საიქიოდან
 აქ ჩამომდგარი ბინდივით.

რა მინდოდა, ამ ღრუბლებში
 რა ჯანდაბად ავირიე,
 უამათოდ სახლს ვერ გავცდი —
 ველარსაით გამივლია,

ჯერ ისედაც ჩემი სახე
 ძალიან ჰგავს ღამის იერს,
 ჩემს შუბლზე კი —
 ჩემს შუბლზეც კი
 ღრუბლისფერი ყვავილია.
 ისე, აღარც ქარი ცდილობს
 ამ მწუხრიდან გამიყვანოს,
 ჩამოკრიფოს ვარსკვლავები —
 მკერდზე წყვილად დამიყაროს,
 გული სადაც უფრო მტკივა —
 იქ ყაყაჩო ამიყვავოს,
 იქ პირიმზე ამიყვავოს
 უფლის ცრემლით განბანილი,
 მერე ცაზე მომბანოს
 ჩემი ქვეყნის ანბანივით.

ჩაქრენენ,
 ჩანელდენენ ვარსკვლავნი,
 ცამ მოსვენება ინება,
 არეული მაქვს ჟამკვალი,
 ერთს შენლა გხედავ იმედად.
 შენ ვერ იძინებ,
 მთვარეო,
 მე როგორ დამეძინება,
 თუ რამ აკლდება სამზეროს
 გულში მელვრება წვიმებად.
 არც ხალისი მაქვს, არც ველ
 ხვალ
 ცისკრის გამობრწყინებას,
 არა ვარ, არა, სრულ ჭკვაზე,
 ან როგორ დამეძინება,
 ცაზე ქრებიან ვარსკვლავნი,
 ცამ მოსვენება ინება...

ვდგავარ სცენაზე, უჩვეულო არაფერია —
 წყევლას და ყვავილს არ მაკლებენ წინა რიგიდან,
 ტანსაცმლის ნაცვლად
 ჩემს სხეულზე მხოლოდ მტვერია,
 როლი კი არა, ახლა მხოლოდ სცენა მიზიდავს.
 მიზიდავს, როცა მაყურებლის დამცინავ ბაგეს
 არანაკლებად შემზარავი ზიზღით დავყურებ,
 წინა რიგიდან დაუნდობლად მესვრიან ვარდებს,
 ვარდიც და ზიზღიც, დღეს ორივე დავიმსახურე.
 შუა რიგიდან გამოგზავნილ ვენებიან ღიმილს
 სცენის კიდესთან დავახვედრებ მზერას გესლიანს,
 და დარბაზიდან ხელისგულზე დადებულ ტვინით
 მივდივარ —
 ზურგში ტალახსა და ვარდებს მესვრიან.
 ბოლო რიგი კი წამომანევს ტაშსა და ღრიალს,
 წარმოუდგენლად მინავლებულ ცეცხლში
 შეფუთვილს
 მივდივარ, ჩემ წინ სულ ახალი ნიღბები ყრია,
 ვხარხარებ —
 რადგან მე არც ერთი აღარ მეკუთვნის.

სკამიდან იწევს, წამოდგება, სწორდება წელში,
 გადადგამს ნაბიჯს, ნაბიჯია მრუდე იმდენად,
 რომ ნაბარბაცდა, აირია ბარბაცში ხვნემა,
 ვერ გაამტყუნებ, თუ ბარბაცში მუხლით იბნევა.
 მივა კედელთან,
 ხელის თრთოლვით სანთელს აანთებს,
 დღეს დიდი ხანი მოანდომა საწოლის გამლას,
 ღვთისმშობლის ხატთან
 ჩაუქრობელს დატოვებს სანთელს
 და მაგიდასთან მიუჯდება გულმინდელ ვახშამს.
 გალოღნილ ლუკმას
 წყალს აყოლებს თიხის ჯამიდან,
 ამოდის მთვარე, გასინათლა ოდნავ ცის პირი,
 იმედი შეძრავს — თუ ხვალისგან გაიამინდა...
 გაიამინდა, და ამ ამინდს მოჰყვა სიკვდილიც.
 სიცივე იგრძნო,
 გულის მხრიდან გაჰყენლა ბეჭმა,
 შემალდა,
 მთვარე ჩამოთოვლილ ქედებს სცილდება,
 ასნია საბანს, როგორც იყო ჩაცმული — შენვა,
 — იქნება მოგკვდე, ჩაცმა აღარ გაუჭირდებათ....
 ცა გაღიმინდა,
 და ვარსკვლავებს როგორც სჩვევიათ,
 დალაგდნენ ცაზე თავის წესით, თავისი რიგით,
 თეთრია ღამე
 და ადვილი შესამჩნევია,
 როგორ გროვდება ხეობებში ნისლი და ბინდი.
 იგრძნობა სუსხი, და სიჩუმეს არავინ არღვევს,
 თოვლმა დაჰფარა ბილიკები, დაჰფარა გზები,
 ნაბდისძველაზე დაუწყევიათ თავები ძალღებს,
 ზარნაშო კივის,
 ზარნაშოს ხმას ასდევენ მგლებიც.
 ჩაქრა სანთელი,
 და დამშვიდდა მოხუცის ფშვინვა,
 ოდნავ ემჩნევა სინანული ღვთისმშობლის სახეს,
 მოხუცის წვერზე
 დაფენილი ცრემლები ბრწყინავს
 და ცივი მზერა სვეტებივით შესდგმია თავხეს...



დათო ქარჩავა

თ.ა-ს

გაიხედავ და იოლია,
„გასტანე, გადათქვი, გაუძელი“, —
ამბობდნენ ყოველ დღით აივანზე,
სადღაც შორს მიფრინავდნენ წეროები,
თურმე დალილიან დაიწყებოდა.
სადღაც შორს განუწყვეტლივ წვიმებია
და ჩემს თვალებში დაგუბული
გადმომაქვს ოკეანე კაქტუსისთვის.

ხომ იცი, საყვარელო,
შენ ერთმა ჩემიანმა,
დღემდე ვეძალები იმ ჩვევებს,
ჩვევის გადაგდება რომ ქვიათ.
წინათ სახლი მქონდა უჩვეულო,
ხიდებით, ანტიენებით, ლამებით —
უძილო, ჩაპლინები, ვაგონები,
რომი, პორტები და მედუზები.
წინათ ვოცნებობდი კარალოკის
ხესთან განმესვენა მზესავით.

ახლა ჩემს ბალებში
ნეკერჩხალი ჩამოცვივდა და დაილია,
ნეკერჩხალი ოცი წლისა.

მე რომ მის მერქანში ჩავატიე
მუჭი ფოთოლცვენა სიყვარული,
ის ხეც, ისიც კი, ნაიქცევა,
მინას გაანდობს გულის ნადებს,
გადაიშლება წიგნივით და
ქოთნის ყვავილებთან ატირდება.

ატირდებიან ბელურებიც
და ჩემს ამბებსაც მოგიყვებიან
ტელეანძები,
ლიანდაგები.

მანამდე მასწავლე სიარული,
ერთიც გამაგონე „აშო ჩელა“,
შენი ხელებიდან ნაყვავილარნი
მზესუმზირები დამასიზმრე.
წამლებს შემაჩვიე დილაობით
(ალოე, მარყუჟები მიმიტოვე),
იქნებ განმაკურნო საბოლოოდ,
ან ვინმე „მკურნალის“ ქუჩაზე
უკანასკნელად ამაცეკვო,
ყველა პოეტის ნატკივარზე
აკვარიუმთან მოგიყვები.
გაანდე გურმეჭყვიას ამბები,
მა გურ ჭვილ, გიზოგენქ საბზოთოდ,
გურ ეფშას სი მაპალუქ ართ კაკალ.

და სანამ ჩემს ფარას გავრეკავდე,
ცვრიან დაბლობზე, ფეხშიშველი,
მოვიზომავდე უკანასკნელ
შარშან გამოკერილ ფარაჯას,
სტუმრები მიიღე ყოველ ღამით
სომხური კონიაკით, თუთუნით,
ლექსები მომიყარე, ამიკრიფე,
ვეჭვობ, უდარდელი არვინ არის,
ვინმე დარდიანს შეეყაროს, —
წითელასავით შუა ღამით.
შენ იცი, ფარდებზე დაკიდული
სული გაცილებით მართალია,
შენ იცი, შორეულო პოეტურად,
ასე აღარავის უცხოვრია.

მე კი განკურნებას, საყვარელო,
ვინმე „მკურნალის“ ქუჩაზე
გადამღერება მირჩევნია,
წყალჩამდინარე ვაგონები.

თუთას

ჭაში ჩაქცეული მელანია,
ჩვენი უდროო ნაუბარი,
როგორ დამიბერდი, სიყვარულო,
ატმის ბალებივით.

ცოლებს პოეტები აქვრივებენ,
ხომ ნაგიმღერია მეგრულად,
ფირცხალავა და ნალენჯიხა,
გადავივინყე. დავიმარხე.
როცა ომების ქვეყანაა,
ამინდი მხოლოდ ამინდები,
ჩვენი უთავბოლო რეისები,
ზოგჯერ არცერთი არ ამართლებს,
ხელის დაქნევაა ორივე.

აქ რომ ყვავილებმა იყვავილა,
აქ რომ მინდორ-ველი გადავითბეთ,
აქ რომ წყარო ვსვით ცრემლიანად,
თიბათისთვისაც გეფიცები,
სახლების სუნი ხელები.

როცა ქალაქში იკარგები,
ზაფხულშიც პალტოთი და სქელი ჯიბით,
დოჩანაშვილი და კონიაკი
მუდამ მეგზური და მაცდური.
ქალაქში წისლია, სიყვარულო,
ქალაქში მტვერია, სიყვარულო,
ტროლებიუსია, სიყვარულო,
ბავშვებია და ბებერი
კაპელდინერებია, სიყვარულო.

გამარჯობა, კლარა, როგორა ხართ?
ჩემი გზა, მგონი, აქეთ მიდის.

უნახავ მემობარს ბარათები

ისევ არაფერი, მეგობარო,
არაფერი შეცვლილა ჩვენს ქალაქში,
სმირი წვიმებიც გადაიდო გაისამდე,
მხოლოდ და მხოლოდ
ტყავის გამოცვლას ელოდებიან ეზოები,
იზმორებიან და იღლებიან,
დაუზღავად უცდიან გაზაფხულობას.
ასე უთავბოლოდ როგორღა დამავინყდი,
ხედავ, ამჩნევ?
ზამთრის უკანასკნელი თვის დასაწყისში
ლექსიც ველარ გავიმეტე და ასე,
ლავეკრაფტის „სიცივიტ“, გაციებული ჩაით,
თაროებზე გასაფრენად
მზად შავ-თეთრი ფოტო-სცენებით გიმზერ.

ასე მგონია,
ჩვენ საერთო პროგნოზები გვაქვს ამინდების,
თანაც უიმედო.
წრეს გვივლიდნენ, გარს გვეხვეოდნენ მკითხავები,
ჩვენ კი კრინტიც აღარ დაგვცდეს ჩვენს ცხოვრებაზე,
ვიყოთ მღუმარედ, კელიად ვიყოთ.

თეთრი წყაროს წყალით პირს ვიბანდეთ და
სული გველეოდეს ენგურზე,
ველოდებოდეთ უთენია აისობას,
დავლიდინებდეთ მხნე და ხალასანი.
თითქოს იოლად ვჭვრეტდეთ ქვეყანას და
ვიყოთ თოვლი ხელმეუხებელი, ღმერთივით თოვლი.

*
სამშობლოში დაბრუნების შემდეგ,
პაგანინის მევიოლინის ავადმყოფობის გამო,
გადადებულ კონცერტს გავს ეს გაზაფხული,
რომელიც უშედეგოდ გაინერა.
ასევე უუნაროდ განერილია ყველა სეზონი აქ,
ამ ქალაქში,
მგზავრებიც იწუნებენ მატარებელს და
თოლიებიც საკმაოდ შორსაა ან და
მხოლოდ მზერა რას გიმველის, რაღას დატკები,
როცა სასიხარულოდ ან სამწუხაროდ,
დატვირთულია კვირძალი სალამო.
შორეულ აფრებს ავედევნებოდი
რაიმე უდიდებულესობის გამო,
რომელიც აღარაფერი იქნებოდა,
გარდა მტვერისა და
მომლოდინე, უნაპირო შენი თვალების.

მერცხლის აფრენა კი არა,
სადაც ოდესმე ჩვენი თავები გვეგონა ბუდეები,
როცა ველოდით,
როცა ვსახლობდით,
და უკანასკნელს ყურს ვუგდებდით, როგორაც ზეიმს,
ან გაცილებას, მარტივად სიკვდილს,
სწორედ ესაა გაზაფხული,
გაზაფხული უკანასკნელი.

აღარ მწერ, მეგობარო,
თითქოს დამჯდარხარ ვაშლის ძირას,
წინ კი მღვრიე-მღვრიე წყალი,
როგორც ამ გაზაფხულზე,
თუ როგორ გადიხარ ბალებში,
როგორ ატან იმედიანად ყოველ სიზმარს
ბეტონზე ამოსულ ფურისილებს,
ვითომ და არაფერი...
არაფერი დილა ეს იყოს,

როგორ წუნუნებ, რომ საგზალი შენ თუ არა,
სხვას რომ არ ეყო, მე რომ არ მეყო...
იმდენად შორით გამიტაცა დოღმა,
ცხენებმა, ნეაპოლის შორმა ჰაერმა,
დერეფნებმა, კიბემ, ხეებმა,
და ყვავილებმა, ყოჩივარდამ,
მალვიძარამ, აივნებმა, ღვინომ, ბალზაკმა,
გეახლებოდი, აქ რომ იყო
და გახდებოდა ჩვენი ქალაქი ათი წლის თავზე.
აღარც ფრაგმენტებს ვეჯიჯლინები,
არც მემწვანილეს,
აღარც ჰონორარს.
ვაბრუნებ მინას მთვარესავით,
სალამებს ვუჩერებდი...
გაზაფხულობ.

ნიკა კვინელაშვილი

1
როგორ ხარ, ჩემო მეგობარო,
ჩემო ნაღვლიანო გურმეჭვივა,
ხომ არ გწყურია, ხომ არ გცივა?!

ახლა ყველაფერი იოლია,
ქარში ნაქცეული როიალიც,
ამღერებული „სი ჩერჩელა“,
გულში მახვილივით
მონახვედრი.
თითქოს გიქსოვდე შუალამით
გარღვეულ პერანგს — სულდამფარავს,
სახეზე მთვარე აგაფარე,
ლანჩაც არ გაგიცვდეს, მეგობარო.
თავი აღარ გაიცო!

დავდივარ ქვეყნად უგზო-უკვლოდ
პირზე მოშვებული წვერით,
შენ სევდა ველარ ამაცილე,
მე დარდი ყულფივით მოვირგე,
დარდმა თავისი გაიტანა!
ახლა კი ვზივარ მომლოდინე,
ამდენად ზარმაცი, უარაკო,
ასე მგონია, გამეპარე
სადმე მინდორ-ველში ფეხშიშველი,
ასე მგონია, გულისყურით
სოკოებს არჩევ, ნიყვებია.
დამიბრუნდები ასე სავსე,
მხრებში მოხრილი და მომღიმარი.

სოფლად ტიროდა ვიოლინო,
დაბლა დაფრინავდნენ თოლიები,
მე კი ქარიშხლებს ავედევნე,
ვპოვე საყდარი სამუდამო.

2
როგორ ხარ, ჩემო შორეულო,
სევდიანო და გადალილი?!
იქნებ გნადია ოკეანე,
თოვა გნადია ისფერი?
შენი კენესა ნამამღერა,
სიარული გადმომედოს შენი.
ახლა ერთხელ მაინც შემახედა,
როგორ არიან გარდენიები?!
მანდარინები როგორ არიან?!
ხომ არ ჩამოცვივდნენ ფანჯრებივით,
დამშრალი ენგურივით სახლები.
ქარშილა დაგვრჩენია საქანელა,
როგორც ნადრევი თოვლი.
როგორ ხარ, ჩემო მეგობარო?
ხომ არ გწყურია, ხომ არ გცივა?!
ბიჭები ნაღვლიანად
პირზე მოშვებული წვერით,
გახარისაც ვმარჩიელობთ...
ჩვენში არცერთია მკვდარი!

გაზაფხულის სიკვდილი

როცა ზაფხული მიიღევა და ეს ფანჯრები
დაირაზება, როგორც სულის მძიმე ურდული,
როცა ხეები გამართავენ თავიანთ მეჯლისს,
ამ წითელ კადრებს, როგორც სიკვდილს, უნდა უყურო.
და დარწმუნდები, როგორ დგანან ეს ასწლოვანი,
გულფესვდამწვარი მომღიმარი ჭრელი ჭადრები,
მკაცრი ზამთრების და ამ ომის ფონზე განივად
როგორ უძლებენ. როგორ გვეჯობნიან. ველარ ტოვებენ.
როცა ჰაერში გაფრენაა ცხელის ვარდების,
ცხელი ვარდების, ცივი ხელების, ჩვენ მიგვაჩვიეს
სისულელებს, კარგად ყოფნებს და ამის მერე
ჩვენივე თავი ამოვქოლეთ და განვცალკევდით.
ჩვენ ხომ მოვიცვით დილაობით ამ მზის სხივები,
პირიც ვიბანეთ ტყემლის ცვრით და
მგზავრის ლოდინით,
ჩვენ ავედევნეთ ნასულ ვაგონს და ნაღვლიანად
იმ ლინდაგზე ვათენებდით და ვოცნებობდით,
როგორც ჭადრის ქვეშ ხმაგაკმენდით
მჯდომარე ძაღლი,
როგორც ჭადრის ქვეშ მწოლიარე მართალი ლოთი.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ცოტა რომ გაგიკვირდა, ბილეთების სა-
ლაროსთან გრძელი რიგი რომ არ დაგხე-
და, პარკეტის იატაკზე ნახევრხმოყრილ
ფოიეშიც ცოტანი რომ ელოდნენ სენსის
დანყებას და არცერთი რომ არ იყო თქე-
ნხელა, ყველანი პედაგოგებს რომ ჰგავდ-
ნენ, ქალები — უცხო ენების, კაცები — მა-
თემატიკის ან ფიზიკის...

დარბაზში რომ შეხვედით, ბოლო რიგ-
ში გამწკრივდით, შუქი რომ ჩაქრა და ეკრ-
ანს რომ მიაცქერდით დიდი ინტერესით,
პირველი ათი წუთის შემდეგ სახით შენსკენ
მობრუნებულ ბიჭებს ხელით რომ ანიშნე,
მოიცადეთ, მალე დაიწყება მაგარი ამბე-
ბიო...

არადა, მოუთმენლობის მიზეზი რომ
ჰქონდათ, მართლა ძალიან ნელა რომ მიე-
დინებოდა ფილმი, კამერა დიდხანს რომ
უახლოვდებოდა ნესტისგან დამბალ, კედ-
ლებდაბერილ უბადრუკ ოთახს, სადაც ყე-
ლზე ძონძემომხვეული კაცი, ბავშვი და ქა-
ლი იწვნენ რკინის ძველისძველ, განიერ
„კრაოტზე“...

მეორე ათ წუთშიც არაფერი რომ არ
მოხდა ისეთი, რაც მაგარ ამბად ჩაითვლე-
ბოდა, ერთი უბადრუკი ოთახიდან მეორე
უბადრუკ ოთახში რო გადაინაცვლა მო-
ქმედებამ და მერე, ის ძონძემომხვეული
კაცი და კიდევ ორნი, რალაცნაირი, უცნ-
აურად აწყობილი ავტომობილით რომ გა-
დააქვლდებოდნენ ნახევრადდაწვრეუ-
ლი ქალაქის ატალანტის ქუჩებში...

თავი უხერხულად რო იგრძენი, რომ ვე-
ლარ გაიხედე ბიჭებისკენ, ხოლო ისინი,
რომ აღარ დაელოდნენ მესამე ათი წუთის
გასვლას და რომ წამოიშალნენ სკამები-
დან...

უკმაყოფილოდ რომ გამოგხედეს „ფიზი-
კის, მათემატიკისა და ფრანგული ენის
პედაგოგებმა“...

შენც რომ აითრიე წელი და დასჯილ
მოსწავლესავით თავჩაღუნული რომ გახ-
ვედი გარეთ...

ხუთიდან იმ ერთმა, ვის აზრსაც ყველა-
ზე მეტად უნდოდა ანგარიშს, რომ გითხრა,
ეს არის, ბიჭო, მაგარი კინო?.. და დანარ-
ჩენმა ოთხმა დამცინავი ღიმილით რომ
დაგინყო ყურება...

„ბიჭო“-თი მომართვა რომ გეწყინა, მა-
გრამ „გაატარე“ და თავის მართლება იმ
ამბის მოყოლით რომ განიზრახე, რომელ-
იც კინოს მოყვარული უნივერსიტეტის ბა-
ლელისგან მოისმინე...

ძალიან რომ გაგიჭირდა მოსმენილის
ზუსტად გამეორება, ძლივს რომ მოუყარე
სიტყვებს თავი, ძლივს რომ გადააბი ერთ-
მანეთს და შეეცადე აგეხსნა, რანაირად არ
უნდა დაეინტერესებინე ამბავს იმის შესახ-
ებ, თუ როგორ მიჰყავდა ციხიდან ახლად
გამოსულ კაცს ორი სხვა კაცი აკრძალულ,
სამხედროების მიერ მკაცრად დაცულ, იდ-
უმალი ხიფათებით აღსავსე „ზონაში“ იმ
ადგილის მოსაძებნად, სადაც ფეხს თუ შე-
დგამდი, ნებისმიერი კიარა და, ყველაზე
სანუკვარი სურვილი აგისრულდებოდა...

ხმა რომ არავინ ამოიღო, არცერთი
რომ არ შეგეკამათა, ისე იმან რომ გითხ-
რა, ვინც „ბიჭო“-თი მოგმართა, ვისაც მა-
რტო შენ კი არა, ბევრი სხვაც უნდოდა ან-
გარიშს, რა ქნეს მერე, მიაგნეს იმ ადგილ-
სო?.. და რომ უპასუხე, არ ვიცი, ეგ აღარ
უთქვამსო...

ავტობუსი რომ გაჩერდა კინოთეატრის
წინ და ხომ არ ავეყვით მარჯანიშვილამდე,
მანამდე ჩუმად მოყოფა შორის რომელი-
ღაცამ რომ წამოიძახა...

და მოულოდნელმა პასუხმა ყველა რომ
გაგაკვირვათ, მე კინოში გბრუნდები, უნდა
ვნახო, როგორ მთავრდებაო...

იმან რომ თქვა, ვინც კითხვა დაგისვა,
შენ კი არა, ლამის მთელი ქუჩა რომ უნე-
და ანგარიშს, თავზეხელაღებული სახე-
ლი რომ ჰქონდა დაგდებული...

რომ თქვა და შეაპარა, შებრუნდა ჩა-
ბნელებულ დარბაზში, შენც რომ მიჰყევი
და ერთი სკამის გამოტოვებით დაჯექი, ის
ოთხნიც რომ შემოიზღაზნენ და კედელს
აეყუდნენ, ქუჩაში როგორც სჩვეოდათ
დგომა, ისე...

იმ ადგილიდან რომ გააგრძელეთ ყუ-
რება, დანგრეული შენობის ერთ-ერთ გა-
დარჩენილ ტიხართან, ქვის იატაკზე მსხ-
დარ კაცებს გამომეტყველებაზე რომ ემჩ-
ნეოდით რალაც მნიშვნელოვან თემაზე სა-
უბრის თუ კამათის დასრულება, ერთმა-
ნეთს რომ არ უყურებდნენ გაბრაზებულე-



ზაალ სამადაშვილი

შენ ის მოყავი...

ბი თუ გაბებრებულები... მერე თავზე რომ
დააწვიმათ, იატაკის ნაწილი წყლით რომ
დაიფარა და ცოტა ხანში წყალს მუქი, მა-
ზუთისმაგვარი ბლანტი სითხე რომ შეე-
რია...

გულმა რეჩხი რომ გიყო, რომ გაიფიქ-
რე, არ ჰგვანან ეს კაცები იმ ადგილას ნამყ-
ოფებს, სადაც სანუკვარი სურვილები სრ-
ულდებაო...

შენი ნაფიქრალი მეგზურმაც რომ დაა-
დასტურა ირიბად, ყელზე ძონძემომხვე-
ულმა კაცმა, თავის განიერ, რკინის თავებ-
იან სანოლზე მოკუნტულმა, ნიკაბამდე სა-
ბანანფარებულმა, დათრგუნულმა და სა-
სონარკვეთილმა აკანკალებული ხმით რომ
თქვა, აღარასოდეს არ შევალ, აღარასო-
დეს არ ნაიყვანა ზონაში არავისო...

ფილმი რომ დასრულდა, სინათლე რომ
აინთო და იმან, ვისგანაც ერთი სკამის გა-
მოტოვებით იჯექი, ხანმოკლე დუმილის
შემდეგ რომ განაცხადა, არა რა, ეს ამბავი
რომ გავიგო, რაც გამოვტოვეთ, ისიც უნ-
და ვნახო...

კედელთან აყუდებულებმა რომ ვერ
გაიგონეს ვითომ ეს სიტყვები, ემანდ კიდევ
არ მოგვიჩინოს ამ სატანჯველი კინოს ყუ-
რებაო და მეორე დღეს ორნი რომ შეხ-
ვედით დილის სენსზე...

შეხვედრამდე რომ გაარკვიე, თურმე
ისიც, თავზეხელაღებული ბიჭიც, შენსავი-
თ ფიქრობდა, მასაც ეგონა, რომ როცა
საქმე საქმეზე მიდგა, იმ ორმა კაცმა ბოლო
ნაბიჯი ველარ გადააღდა, ზღურბლი თუ მი-
ჯნა ველარ გადააღა და მასაც შენსავით
აინტერესებდა, რა გახდა ამის მიზეზი...

კინოთეატრ „ნაკადულის“ დარბაზი
თითქმის ცარიელი რომ იყო, სკოლიდან
გამოპარული მოსწავლეებიც რომ არ ისხდ-
ნენ თავიანთ საყვარელ ნინა რიგებში, არ-
ავინ რომ არ აკნატუნებდა ვარციხის ქუ-
ჩის ბოლო, სულ ქვედა ეზოში სედა ბაბო-
სთან ნაყიდ მზესუმზირას და თქვენს გარ-
და მხოლოდ ორი შეყვარებული წყვილ-
ისთვის რო შეიძლებოდა თვალის მოკვრა,
რომლებსაც სურავს არ აინტერესებდათ,
რა ხდებოდა კურანზე...

თქვენ კი, ნინა დღეს გამოტოვებულ,
ფილმის დასაწყისზე არანაკლებ მდორე,
განელილ ეუბოდებს რომ უყურეთ, უფრო
სწორად, უსმინეთ დიდი გულისყურით...

რომ დაადგინეთ, რატომ გაანბილეს მე-
გზური კაცებმა, რომელთაგან ერთი მწერ-
ალი აღმოჩნდა, მეორე — მეცნიერი; მწ-
ერალმა იმით რომ გაამართლა თავის საქ-
ციელი, არავინ იცის, რა არის მისი ნამდ-
ვილად სანუკვარი სურვილი, მათ შორის
არც მე და არ მინდა შევცდე, თან მწარე-
ლო, მეცნიერმა კი, განადგურება რომ მო-
უნდოდა იმ ადგილს, უკეთურმა ადამიანებ-
მა არ შეაღწიონ შიგ და თავიანთი ბორო-
ტი ოცნებები არ აიხდინონო...

კინოთეატრიდან სენსის დასრულება-
მდე გამოსულები ფეხით რომ გაუყევით
პლუხანოვის ქვედა, პარალელურ ქუჩას,
სადაც კანტი-კუნტად მოძრაობდნენ გამე-
ლელები და პირველმა იმან რომ ამოიღო
ხმა, ვინც თავზეხელაღებულითან ერთად,
დიდი უცნაური ვინმეც გამოდგა, ერთი ფი-
ლმი ნაწილ-ნაწილ რომ ნახა და ამისათვის
სამჯერ რომ შევიდა ორ სენსზე, თვალე-
ბი რომ შემოგხედა და გკითხა, შენ რას იზ-

ამდი, შედგამდი ფეხს, შეხვიდოდი იქ, სა-
დაც დიდი რისკის ფასად მიისწრაფოდი
მეგზურთან ერთად, თუ — არაო...

ოცდამესამე სკოლის ეზოსთან რომ შე-
ჩერდით, დაკეტილ ჭიშკართან, რომლის
გისოსებიდან ქვის მრგვალაუზიანი, დამ-
შრალი შადრევანი მოჩანდა, ისეთივე დიდი,
როგორც გორკის ბაღის „კულტურის სახ-
ლთან“ მდგარი...

რომ უპასუხე, აზრზე არა ვარ, მაგაზე
არ მიფიქრიაო და მცირედენი ყოყმანის
შემდეგ რომ გამოუტყედი, არც ის ვიცი, ჩემი
სანუკვარი ოცნება რა არის, ყველაზე ძა-
ლიან რა მინდაო...

ეს კინო მაგიტომაც არის სანახავი, ეგ-
ეთ რამეებზე რომ დაგაფიქროსო, რალაც-
ნაირად რომ გითხრა, ქუჩის ბიჭებთან ლა-
პარაკის დროს რომ არ სჩვეოდა, ისეთი
ტონით, ცოტა არ იყოს დარდიანად, კინო
დიდი არაფერი, ამბავია მაგარი, მაგ ამ-
ბით უკეთესი კინოს გადაღება შეიძლე-
ბოდაო...

უნივერსიტეტი ბაღელის სახე რომ წა-
რმოიდგინე, სასწაული რომ მომხდარიყო
და ეს სიტყვები მოესმინა, სიცილი რომ წა-
გსკდა, გამხდარი, სათვალისანი ბიჭი, რომე-
ლსაც კინოზე ლაპარაკისას თვალები უბ-
რწყინავდა, იმ საღამოს ხომ სხვებთან ერ-
თად შენც რომ იჯექი თუჯისფეხებიან ძე-
ლსკამზე და გულისყურით უსმენდი, საპირ-
ისპიროს ამტკიცებდა, მნიშვნელობას ამ-
ბავს კი არა, ამბის მოყოლას ანიჭებდა და
აღფრთოვანებული იყო რეჟისორის თხრო-
ბის სტილით, მისი ნამუშევრით...

რაზე გაგეცინაო, რომ გკითხა და ხმას
ჩვეული ჟღერადობა რომ დაუბრუნა, მი-
ზეზი რომ არ დაგიმალავს, რასაც მეორე
შეკითხვა მოაყოლა, ვისი ნალაპარაკევი-
თაც კინოში ნაგვიყვანე — იმას მოსწონს,
ვინც ნამოყვები — იმით არა, შენ, შენ
თვითონ თუ მოგწონს რაც ნახეო...

მიდებ-მოდების გარეშე, ალაღად რომ
უპასუხე, ფილმის რა მოგახსენო და ის კა-
ცი, სულ რომ რისკავს, ზონაში რომ შეჰ-
ყავს ხალხი, მაგრადი მომწონსო...

ამ პასუხმა საუბრის გაგრძელებას რომ
ჩაუყარა საფუძველი, საუბრის და ხეტი-
ლის, რადგან სადმე კი არ მიემართებოდი
მიზანდასახულად, უბრალოდ ლაპარაკ-
ლაპარაკით მიაბიჯებდით, თითქოს საკუ-
თარ სიტყვებს მიჰყვებოდით უბნის ქუჩებ-
ში, გვერდზე უფლდით სადარბაზოებს, რო-
მელთაგან ზოგიერთის კიბეზე სქელულვა-
შიანი ქურთი ბერიკაცები ისხდნენ და კრი-
ალოსნებს მარცვლავდნენ, მაღაზიებს,
რომელთა ვიტრინებში პირამიდები აეშე-
ნებინათ ხორცისა და თევზის კონსერვებ-
ის ქილებისგან, ძველი დროების საყარაუ-
ლო ჯიხურები ვინო, მაღალ კიოსკე-
ბს, საიდანაც საღამოს გაზეთ „თბილისს“
ჰყიდდნენ შებინდებისთანავე, გრძელ, ბა-
თქაშაბატეჩილ კედელთან გამწკრივებულ
საღეს დაზგებთან მდგარ ლურჯნისაფრ-
იან კაცებს, პედლებზე ფეხის დაჭერი
რომ ატრიალებდნენ რუხ, ხორკლიან დის-
კებს და ნაპერწკლებს აყრევიანდნენ მათ-
ზე მიმარჯვებულ მაკრატლებსა და დანე-
ბს...

ხმები რომ გამოდიოდა მეოცე საუკუ-
ნის ათიან წლებში აგებული სამსართული-
ანი სახლების ღია და არც თუ ისე დაგმან-

ული ფანჯრებიდან, ვილაც ფორტეპია-
ნოზე რომ უკრავდა, ვილაც ვოლინოზე,
ვილაცას რადიო რომ ჰქონდა ჩართული,
ვილაცა ფორფიტას რომ ატრიალებდა რა-
დიოლაზე და კლარა ცეტკინის, კალინი-
ნის, კონსტიტუციის, გოგოლის ქუჩებზე
მოდრავი საბარგო მანქანების ჯაყჯაყს,
ტრამვაის ვაგონების ხრიგინს, ეზოებში
მოთამაშე ბავშვების ჟრიაშულს, ახალი ამ-
ბების გამოცხადებული დიქტორების ომა-
ხიან პატაკებს — გაუნაფავი თითებით შეს-
რულებული გამები, ეტიუდები და სო-
ნატინები „ორერას“, პეპინო დი კაპრის და
ტომ ჯონსის მელიოდიები რომ ერწყმოდა...

ვინ მოთვლის რალაზე რომ არ ილაპარ-
აკეთ, იმ ადგილებზე, კინოში ნანახ ზონას
რომ ჰგავდა — უკაცრიელებზე, გავერ-
ანებულებზე, უდაბურებზე, ერთხელ მაინც
რომ იყავით მოხვედრილები ქალაქის სა-
ქარხნო გარეუბნებში ნანაღისას, ნამდ-
ვილ ზონებზე, იგივე „ლაგერებზე“, იქიდან
დაბრუნებულ ადამიანებზე, შეცვლილე-
ბზე, გატეხილებსა და გაუტეხლებზე, მათ
თავდასავლებზე იქ, ტყვეობაში და აქ,
„თავისუფლებაზე“, პირველ შეყვარებუ-
ლებთან გამოვლენილ მორცხვობაზე, გო-
გობზე, ვისაც ურეკავდით და მათი ხმის
გაგონებისას კრინტს ველარ ძრავდით და
იმის ნაცვლად რომ გეთქვით რაც გსუ-
რდათ, „ბითლზის“ „OH, DARLING“-ს ას-
მენინებდით, ამოკვიტებულ კუთხებზე
ბავშვობაში, ერთგვარ თავშესაფრებზე, სა-
დაც ყველაზე უკეთ გრძნობდით თავს და
შეგეძლოთ მთელი დღე გაგეტარებინათ იქ
— მაგიდასავით განიერ ფანჯრის რაფებ-
სა და აბლაბუდებით სავსე იდუმალ სხვე-
ნებზე...

რომ მორჩით ლაპარაკს და ხეტილას,
დამშვიდობების ნიშნად ხელი რომ აუწიეთ
ერთმანეთს და თქვენ-თქვენ გზას დაადე-
ქით, მარტო დარჩენილებმა, შენ — ნამდ-
ვილად და შესაძლოა იმანაც, პირველად
ის რომ გაივლით გულში, რა უცნაურია,
როგორმა გულახდილობამ დაგვრია ხელი,
რა თავისუფლად ვყვებოდით ისეთ ამბებს,
მანამდე არავისთვის რომ არ მოგვიყოლ-
იაო, რომ დაფიქრდით და ეს მდგომარეობა
იმ კაცს რომ მიანერეთ, ვის მიმართაც ორ-
ივეს გაგიჩნდათ კეთილგანწყობა ცოტა ხნ-
ის წინ, გრძელი, პირქუში, თქვენთვის დამ-
ლელი ფილმის ტანჯულ გმირს...

ასე იყო თუ ისე, ამის დამსახურება იყო
თუ იმის, უხილავი ძაფები უკვე გაბმული
რომ გახლდათ თქვენს შორის და დამკა-
ცება თუ არა, ერთმანეთის ხშირად ნახვას
და ბევრ სხვა რამეებზე ლაპარაკს, წესით
და რიგით აღარაფერი არ უნდა დადგომო-
და წინ...

სხვაგვარად რომ „აენყო“ ყველაფერი,
ქუჩის მიერ თავზეხელაღებულიად შერაცხ-
ული ბიჭი, თურმე ნუ იტყვი და შენსავით
რომ აღიქვამდა, შენსავით რომ აფასებდა
ზოგიერთ რამეს, ციხეში რომ აღმოჩნდა...

ვილაცის სიმბდალეს და სულმოკლეო-
ბას რომ შეენიარა მისი თავისუფლება, მოტ-
ოციკლეტის მოპარვა რომ დაბრალდა, არ-
ადა, მგზავრი რომ იყო მხოლოდ, ისიც შე-
მთხვევითი, გვიან ღამით შინსაკენ მიმა-
ვალს, მოტოციკლეტზე გადამჯდარმა უბ-
ნელმა სახლამდე მიყვანა რომ შესთავაზა
და ესეც მიუჯდა უკან, ჩუღურეთის მიხვე-

ულ-მოხვეულებში გაქროლებულებს მილიციის „ვილისმა“ რომ გადაუჭრა გზა, უბნელმა საჭეს ხელი რომ უშვა, გადახტა და გაიქცა, ეს კიდევ, ნაქცეულ მოტოციკლტთან ერთად რომ გასრიალდა ქვაფენილზე... მოტოციკლტი გატაცებული რომ აღმოჩნდა, მისი გამტაცებელი ის უბნელი კი, მილიციის პოლკოვნიკის პირმშო; ჰოდა, ხელი რომ დააფარეს ფორმიანებმა მამამისის რიდიტა და ხათრით, თავადაც რომ არ ინამუსა, დაიმალა და უდანამაულო, შემთხვევით დამგზავრებული ადამიანი რომ გააშვებინა საპატიმროში...

თითქმის ორი ათეული წლით რომ გადაინია თქვენმა დამეგობრებებმა, ცხრამეტი წლის შემდეგ რომ შეხვდით ერთმანეთს, თან ისევ იქ, იმ ქუჩის კუთხეში, საიდანაც გვიანი შემოდგომის ერთ ცივ საღამოს, კინოთეატრ „ნაკადულისკენ“ დაიძარით შენ, ის და კიდევ ოთხი ბიჭი...

ქუჩის კუთხე უბნელების თავშეყრის ადგილი რომ აღარ იყო, შორიდან რომ ჰკიდებოდა და გეუცხოვა რამდენიმე კაცის იქ დგომა, რომ მიხვედი, გვერდით რომ გაჩერდი და წარსულში რომ გადაინაცვლე თითქოს, ის სიტყვები რომ გაიგონე, დიდი ხნის წინ რომ ჩაგესმოდა, ის ფესტიკულაცია რომ მოგხვდა თვალში, ოდესღაც რომ იყენებდნენ ქაქანისას და რაც მთავარია, ძველებური დამოკიდებულება, კრძალვანარევი აღტაცება რომ დაინახე იმის მიმართ, ვისაც შემოხვევდნენ ახალგაზრდობას გამომშვიდობებული, მაგრამ ჯერ ისევ თავქარიანი კაცები...

ამ აღტაცების მიზეზი კვლავ მისი გაბედულება და შეუპოვრობა რომ იყო და ამჯერად შენთვის უცნობ განსაცდელბოთან გამკლავებას რომ ემყარებოდა — თავის გატანას, ბრძოლას ღირსების შენარჩუნებისთვის ჯერ ციხის საკნებში, მერე ყაზახეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე გაბნეულ „ლაგერებში“, ფორმალური თუ არა-ფორმალური ძალაუფლებით აღჭურვილი მჩაგვრელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, დაუმორჩილებლობას მათ მიერ თავმოხვეული უსამართლობისთვის, უმონო-ყოლოდ გვემასა და კარცერებში შეგდებას ამის „საზღაურად“, გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე საომრად წასვლას აფხაზეთში შემოჭრილი რუსების წინააღმდეგ, სანგრების თხრას, გახურებული ავტომობრით ტყვიების წვიმში საფარისა და საფარისგარეშე გადარბენას ზღვის სანაპიროებსა და ტყიან ფერდობებზე — ვინ იცის, როდის ჩაბეჭდილებზე მის მეხსიერებაში, სიკვდილისთვის თვალბეჭდვას არაერთხელ და მასზე უარესს, ჯოჯოხეთურ უკანდახევას, პირქუში უღელტეხილის გადალახვას მშვიდობიან ხალხთან ერთად, ისევ დაჭერას, იარაღს უკანონოდ ინახავო, ფრონტიდან წამოღებულ პისტოლეტზე, გამონეულს ნაომარს და თან ნასამართლესი მოხალისეების მიმართ უნდობლობით, სასჯელის აქ, სამშობლოში მოხდას, რაკილა ის იმპერიის ნაწილი აღარ იყო, ნაკლები ფათერაკებით და საკუთარ თავთან მარტო დარჩენის, მასში ჩაღრმავების მეტი შესაძლებლობებით...

ბოლო წინადადება თავად ამ ნატანჯ კაცს რომ ეკუთვნოდა, ცხრამეტი წლის უნახავს და ეს სიტყვები შენ რომ გითხრა მას შემდეგ, რაც ყოფილი ლენინგრადისა და ან უკვე სანქტ-პეტერბურგის ქუჩიდან

წამოხვედით ერთად, წინა ამბებზე სიტყვა რომ არ დასცდენია, მოგვიანებით რომ გავიგე, მხოლოდ ის რომ გითხრა, რაზე ფიქრობდა და რას აკეთებდა მეორე პატიმრობისას...

ფიქრით, იმაზე რომ ფიქრობდა თურმე, როგორ გაეგრძელებინა ცხოვრება, მიჰყოლოდა დინებას როგორც მანამდე და შეგუებოდა აზრს რომ, რაც მოსახდენი იყო — აუცილებლად მოხდებოდა, თუ შეეცვალა რამე, რამე კი არა, საკუთარი თავი...

გადაწყვეტილების მიღებაში, წარსულის ჩხრეკა-გადაფასებასთან ერთად, კითხვა რომ დახმარებია, რომელთანაც არც ადრე ყოფილა ძალიან მწყრალად, ყველაფერი რომ წაუკითხავს, რაც ხელში ჩაგვარდნია, მათ შორის კარგი წიგნები, ისეთი მაგარიც კი, როგორც „მაუგლის“ ავტორის რომანი — ინდოეთის გზებზე მოხეტიალე ბიჭსა და მოხუც ლამაზე...

იმ საღამოსაც ფეხით რომ მოიარეთ ლამის მთელი უბანი, შეცვლილი, იმ სურათებისა და ხმებისგან დაცლილი, ადრე რომ ხედავდით და გესმოდათ, როგორც აღმოჩნდა, მთავარ სათქმელს ბოლოსკენ რომ ინახავდა, გამომშვიდობების წინ რომ გითხრა, ციხეში რვეული მქონდა, რაღაცებს ვინერდი შიგ და მინდა გაჩვენო, გაკვირვება ძლივს რომ დაფარე და ჰკითხე, მწერლობა ხომ არ გადაგიწვევტია შემთხვევითო, რომ იუარა, მაგრამ რომ არ მოეყვი და შესაგულიანებლად ყველა ის კატორღელი რომ ჩამოუთვალე, ვინც მაგ საქმეს მოჰქიდა ხელი თავისუფლების მოპოვების შემდეგ...

მეორე დღეს რომ გადმოგცა რვეული, ოღონდ სასკოლო კი არა, საბუნდოლო, მოზრდილი, გვარიანად შელანძლილი ყდით, ორასგვერდიანი, თავიდან ბოლომდე შეკვებული წერილი, ძნელად ამოსაკითხი ნაწერით, თავს გადახდენილ ამბებს მოკლედ, ლამის გაკვრით რომ ჰყვებოდა და უფრო დანვრილებით იმ შეგრძნებებსა და აზრებს აღწერდა, ეს ამბები რომ აღძრავდნენ მასში, თხრობას იმ დღის გახსენებით რომ იწყებდა, როცა ოთხ უბნელთან ერთად კინოთეატრ „ნაკადულში“ ნაჰყვა მათთან დაამხანაგების მოსურნე სტუდენტს, ამ უკანასკნელის მიერ ნაქები ფილმის სანახავად...

ფილმი რომ ახსოვდა და მეტიც, მისი მთავარი გმირის „მიბმას“ რომ ცდილობდა ორას გვერდზე გადაშლილ თავის ისტორიისთვის, რასაც საკნიდან გამოტანილი დათრის სულ ბოლო გვერდზე ამოკითხული სტრიქონები გაფიქრებინებდა...

ამ სტრიქონების თანახმად, ადამიანი თავად რომ გახლდათ საკუთარი თავის მეგობარი ცხოვრების გზებზე ხეტიალისას, თავადვე რომ შეჰყავდა აკრძალულ, სახიფათო „ზონებში“ თავი, მეგობარი თითოეულ ჩვენგანში ბუდობდა, მისი აღმოჩენა რთული რომ იყო და კიდევ უფრო რთული, მისი კარნახით სვლა იმ ადგილის მისაგნებად, სადაც შესაძლოა ყველაზე, ყველაზე სანუკვარ სურვილებს ეწერათ აღსრულება...

ჰო, ბოლოს იმის თქმა არ დაგავინყდეს, ფილმს „სტალკერი“ რომ ერქვა, რაც უცნობ, გადაკარგულ ადგილებში მოხვედრისა და მისი გამოკვლევის მოსურნეს ნიშნავს...



ნიკო და ქიო

ერთი ფიფქი ჩამოვარდა ჩემს ბავშვობაში.

— ნადი, ნიკო, ლამაზოს ბაგაში ნამჯა ჩაუმატე, იქნება ამაღამ ითოვოს და დილით ჯოხის ჩლახუნით როდის მიხვალ ბოსლამდე, ფეხი არ გაგიცურდეს რა!

— მესამედ მითხარ უკევი, ნუ აისქდები ხოლმე, ჩაუყური, ჩაუყური!

— იიმე, აისქდები რაღა არი?! თოვლიანზე დეცემი და პუპლუუც, ნიკო!

— ნუ დაიჩემებ და გააიმასქნებ ხოლმე!

— იიმე, რაი გავაიმასქნებ ხოლმე, ადე, კაცო, ნუ დაიდუნდები ხოლმე, შეუსმინარო!

იმ ღამით ლამაზოს პირი ბაგისკენ არც წაუღია. მთელი ღამე თავდახრილი იდგა და ნუშისფორმის შავი თვალბეჭდვით ცრემლის ცხელი წვეთები სცვიოდა. მერე ორთქლადღა ვარდებოდა ჰაერში. შეილიშვილებისთვის ქალაქში გასაგზავნად საშობაო ნობათში კი ქეთო ბებოს ლამაზოს ბაგადან ამოკრეფილი თივაც ჩაენყო.

ნიკო პაპას ეთქვა — კაცო, ნუხელ ბაგაში თივა ისე იყო ჩაზნექილი, აპალითა ჭკვა შამცდვი, გვეგონება, ჩვილი ინვაო...

ნიკოს დედაკაცმა კიდევ ხელები ალაღეთისაპყრო და შაქარტკბილად გააძრიალა: — აგრემც ვენაცვლები მაგის დაბადებასა, სოფელ-ქვეყანაზე მოზრძანებასა, მაგის სიცოცხლესა, მაგის ნებასა, ფეხის ნაფეხურსა, მაგის თავის ნადებსა და ნანოლსა. ამოკრიფე ვე თივა, სანამ იგრევე თბილია, ყმანვილებს ჩურჩხელებთან და ჩირთან ერთად, დაკლულ დედულთან ერთად, თავლთან ერთად გაუფგზავნოთ ქალაქშიო.

შვილებმა კიდევ გაიოცეს, თივა რა გამოსაგზავნი იყო. შეილიშვილებმა იმ თივისგან ჩიტის ბუდე მონენეს და გაზაფხულის აყვავებულ ტოტზე შემოდეს, ჩიტები დაიბუდებნო.

სახლი სოხუმში

ერთი ფიფქი ჩემი დევნილი მეზობლის სახლის სახურავზეც დავარდა.

— რაღაც უცნაური სიზმარი ვნახე. სოხუმში ჩვენი ჩამონგრეული სახლის ფანჯარაში ალვის ხე ამოსულიყო, სანთელსა ჰგავდა, ცეცხლი ეკიდა და სანთელივით ინვოდა. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს...

— გადარდება და იმას, შობა-ახალი წელი მოდის და კერია გიხმობს, აბა, ჩვენ იქ ჩასვლა აღარ გვეღირსება და... რას მოვესწრებით?!

— მიქელბაიებს უნდა მივანვდინოთ როგორმე ხმა. შობას ფანჯრის რაფაზე მართლაც დაანთოს იქნება ზაირამ სანთელი, ჩემ ჩამოქნილ სანთლებს გაუფგზავნი.

— რა დაიჩემე, ენგურის ხიდზე სანთლების ჩასატანადა მგზავნი?

— არ გგზავნი, მე ნავალ, როგორმე ნავალ...

— ნუ ტირი, ჰო, დაიძინე, მივანვდით, მივანვდით... რამენაირად მივანვდით, შენი სიზმრების დაკრულზე სიარულია გვაკლდა!

მტრადიკი თოვასი

ერთი ფიფქი ჩემი ახალგარდაცვლილი ნათესავის აივანზეც დავარდა.

სამოცი წლის იქნებოდა, როცა დაბრმავდა. სიმღერა უყვარდა, თავისი თაობის სულელო კოროშინაძე და მისი ნამღერ „მე თბილისელი ბიჭი ვარ“. ხელის ფათურით მომართავდა ტორშერზე შემოდებულ რადიომიმლებს ტალღაზე 102,3 — საქართველოს პირველ რადიოს და უსმენდა. იხსენებდა უსინათლო თვალბეჭდვებზე ბუდეებულ ახალგაზრდობას.

შობის წინა ღამეს საავადმყოფოში გულის უკმარისობით გარდაიცვალა. იმ დღით პირველი თოვლი მოვიდა თბილისში. შინ როცა მოასვენეს, ოცი მტრედი მაინც მოჰყვა ფრთების ფართხუნით. ფიფქი და სითეთრე აივანზე შემოყარეს. მტრედები აივნის მოაჯირებზე ჩამოსხდნენ და სანამ გარდაცვლილი ვალიკო ეზოდან შინ არ ამოაცილეს, მანამდე არ გაფრინდნენ.

მიჰრალი მწერალი

ერთი ფიფქი ერთი მწერლის ხელისგულზეც დავარდა. კარგად იყო გაბრუებული, მაგრამ განა ვერ იგრძნო ფიფქის ხელისგულზე შეხება? სათუთად აიყვანა და ქურთუკის უბეში ჩაისვა. ნაბიჯარეული აუყვა ჩიტაძის აღმართს. ეკლესიასთან შალმოხვეული ბებო იჯდა. შეჩერდა და გაუღიმა:

— ისევ აქ ზიხარ, ბებო, გაიყინები, გვიანია, გაგაცივლებ სახლამდე.

— ისევ დალიე, შვილო, ჯერ ხო შობა არ დამდგარა, სად მოასწარი, გენაცვალე...

— ეჰ, ბებო, ბებიკოო... შე, ზამთრის ბედურა ანგელოზო, ფრთამოტეხილო, შეციებულოო... აი, ბებო, ფული არა მაქვს, მაგრამ ერთი ფიფქი შევიანხე ქურთუკის ჯიბეში...

და ამოიტრიალა ჯიბეები. ოცი თეთრი გადმოუგორდა. ოცთეთრიანი გულივით ფეთქავდა გაყინულ ასფალტზე.

ცალიკაცი გორშელმადან

ერთი ფიფქი მთაზეც დავარდა.

მოკაკეული პაპა ნამგალა მთვარესავით ეკიდა მთის წვერზე მარტოდ. ცალად გადაჰქონდა მხრებზე დაცლილი სოფლის სევდა, მდუმარება, ხანდახან წნევაცა და მუხლგების კანკალიც, მაგრამ ხმა მტკიცე, რკინასავით გამოკვერილი და, აბა, ერთი ფიფქის ფარფატი რა ბნედას დასცემდა?! მთელი ზამთარიც იმის გადასატანი იყო მთაში, მთელი გაზაფხულიცა და ზაფხულ-შემოდგომაც. ვინ შემოუდგებოდა მხარში, თავისი ტკივილისა და სიხარულის მჭედელი თავად იყო, თავად ედგა გულში სამჭედლო. მოუნდებოდა, ასწევდა გამხმარ ხელს და ღრუბელს გადასწევდა ციდან, ვარსკვლავებს გამოაჩენდა, არ იქნებოდა გუნებაზე და ღრუბლისა თუ ნისლის კონკა ფრიალებდა მის მთასა და დანარჩენ ქვეყანას შორის. თუმცა შობის დილას კარში გამოსულმა ნადირის კვალი დაინახა თოვლზე და ეამა...

ერთ წვეთ ცრემლსა და ადამიანის სულს თანაბარი წონა აქვს. შობის ღამეს ბოხმაგარი თოვა იდგა. თბილოდა...





ზაალ ებანოძე

ტყე

ტყე ფანტაზიის საზრდოა, ფიქრის ხნულია სათესი, როდესაც კაცი მარტოა ამ უთქმელ სიდიადეში.

ალარ ჩანს სამყარო

ჰაერში დაცურავს თევზებიც — გარშემო ისეთი ქაოსია; ალარ ჩანს სამყარო წელს ზევით, ღმერთმა რო ღრუბლები ჩამოსწია.

ეჯაჯგურა კარებს კალთაგანელილი ქარები და ფორიაქი შეგძინა; ჩაიძირა თითქო ზღვაში ჩარჩენილი ხომალდი და სიკვდილივით გენყინა.

განდობილია უასაკობას სახე (არეულია სიჭარმაგე და სიყრმე), რაც იმას ნიშნავს — დაგებულია მახე, რომ ცდომილებას შენივე ფეხით მიჰყვე.

უუხორცობით სიბრძნეს იმატებს მკვდრები — ცოცხლებზე უფრო შორსმჭრეტელობას იძენს: სწორედ ამიტომ, ხშირად, ავანსად კვდები და შუბლზეც ამ დროს ხელით იზომავ სიცხეს.

დამღლეალი ჩვეულება

ლანდები, ლანდები სხეულდება და ასე გრძელდება სინამდვილე; სიცოცხლეს — ამ დამღლეალ ჩვეულებას — დროდადრო სიზმრები გვიადვილებს.

მარტოხე შორიდან ჩალის ზვინს მიაგავს; აფრენა მოგინდა და სინჯავ ნიადაგს. სიმაღლე შიშებთან წილს იყრის თანდათან და პირი გიშრება და გესმის — „სადა ხარ?!“ არ იცი შენ თავად ამ კითხვის პასუხი; სხეულში მთენთავად ბატონობს ქარსუსხი. არც რამე ნუგეში, არც რამე მხარადან; ისხმება უბეში სამსალა გარედან. მარტოხე არა და ისევე გეძახის; კანკალებს ყანა და ზღუქუნებს ვენახი.

„ახველდებიან ხევები, ვით ავადმყოფნი ჭლექითა“.
ვაჟა

აბასთუმნის სისხლისფერი ძახვლები ერთადერთი ახსნა მაინც აგეთია: აქაური ხეობები ღრმა ხველებით მიანიშნებს განსხვავებულ ტრაგედიას.

დაკალაბული ზიჯი

ამ ტარტაროზული ხმაურის ნაკითხვას ტვირთი აქვს თავისი, ჟრუანტელს, ფშანებს რო ჩაუვლი, სხეული ჟრუანტელს განიცდის.

„შეავსე!“, „პირთამდე!“, „ნუ დაღვე!“, „არ მითხრა!“, „ბოლომდე დაცალე!“ ნელ-თბილი სიკვდილის სუფრაზე ვინ არის — ზეიმს რო გვაძალებს?

თვალში ჩაიტოვა

სახლი, მწვანე მოლი მოვლილი (თვალის სამშვენისი — ამო); დნება გაზაფხულის თოვლივით სევდა გარდასულის გამო.

ბინდის მონითალო ვარაყი, სოფლის საყელოს რო შვენის, თვალში ჩაიტოვე — არა ღირს ფუნჯის მიკარება შენი.

ოთხი საფხეური

— ცხოვრება სიზმარია,
— და თანაც — ტანჭრელი სიზმარი.
— ეს თქორი? — ქინძ-ძმარია,
— ორაგულს ცა ჩამოგვიგზავნის.

მჭვრეტელის როლი

ელვის ისარი და ცეცხლის ენა, ასუყეული ჭალებზე ტბორი; ხარ კმაყოფილი — მოგეცა ლხენა, ხარ კმაყოფილი მჭვრეტელის როლით.

ჰა, შემოდგომის მოძრავი ფარდა, ქარს აყოლილი ძონი და ლალი — უხდება ლაჟო ვენახის ხარდანს და ლილა ფერში დაცურავს თვალი.

ხავსი

დუმილი. დუმილის მერე — ზიარი კურცხალი თვალეში, ცახცახი შევნოდით ხელებს, თუ სანთლებს — გატანილს ღამეში.

გატეხე, გატეხე ნავსი — ბაგეზე სათქმელი აჩქამდეს, ორთავეს იმედი — ხავსი, არადა, აქამდე არ ჩანდა.

არადა, ეძებდა თვალი, არადა, ხელები ეძებდა; და გწამდა — წამნამზე ნამი ორთავეს სიმშვიდეს შეგძენდათ.

კაემანს ამხელდა სახე და მჭკნარი ფოთლების ფარფატი, სიზმარი, სიზმარი ნახე, სიზმარში ერთმანეთს ხატავდით.

ფერი ფერს ფარულად ცვლიდა და უთქმელ სინაზეს ტოვებდა, პოეტთან კამათი ღირდა, სიზმარში კამათი პოეტთან.

კამათი!.. კამათის მერეც — ზიარი კურცხალი თვალეში... ცახცახი შევნოდით ხელებს, თუ სანთლებს — გატანილს ღამეში.

საზიარო ფიქრი

გია ქობალიანს

ფრთიანი სიტყვა — ძღვენი. შუბლი — ნელთბილი ხვითქი.

ფიქრი შენი და ჩემი საზიაროა თითქმის. ნიგნი. ნიგნი და ნიგნი. აზრი შიგნით და გარეთ, აზრი გარეთ და შიგნით აემგზავრება თვალეშს. ფრთიანი სიტყვა — ძღვენი. შუბლი —

ნელთბილი ხვითქი. ფიქრი შენი და ჩემი საზიაროა თითქმის.

ჰა და ჰა, იდარებს — გულს ძალად ინუგეშებ. მოტირალ გიტარებს ქარის ხმა გიუხეშებს.

ყინვის კოცონი

ჰარმონიას დისონანსი უსწრებს, უიოლებს დამკვიდრებას ნებით; იტყვი ჩუმად — მომისწროო სულზე — ყინვის კოცონს ხელს უშვერ და თბები.

ლითონის ყიჟმატი ღილებია ცაზე ვარსკვლავები ჩამცხრალეები, რამდენ ხანს, რამდენ ხანს გძინებია, — ცდილობ და ვერ გახსენი წამნამები.

კუპრის ორი ბურთულა, თუ კამეჩის თვალეები; საქმეს რო გაირთულე, ღამეს შეებრალეები.

და თავს ავალება...

ცა ხავერდია, დაუჯერებლად ლურჯი, ჩანობილია ჭალის ტბორებში ფუნჯი.

რიჟრაჟმა მჩატედ ამოამთქნარა მოლი და მოლს დაეცა ლანდი დამფრთხალი ქორის.

ეალერსები ცამდე აზიდულ სერებს და თავს ავალებ: — წერე! წერე და წერე!

ცას ფშანები უცქერის, უთრთის ტყეებს სხეული; შორს — მინდვრები, ფურცლები, სუფთა წერის რვეული.

ჭალა. შამბის არშია. ყანა. ლობე ტყრუშული. იკლავს გულის ხვამიადს ჩალა ქართან ჩურჩულით.

ვარსკვლავების შეუნიღბავ და შორეულ მუსიკიდან,

სფეროების შეუნიღბავ და შორეულ მუსიკიდან,

ისე შეშინებული ხარ — დაითვალო პულსი, გინდა.

დაითვალო, დაითვალო, დაითვალო პულსი, გინდა.

დასატყვილი რთველი

ეცდები და რო ვერაფერს პოებ — თვალი ფურცელს კურცხალ-კურცხალ ასველებს, გუთონისდების ჯაფა მართებს პოეტს, მესენაკის ამტანობა ასვევ.

ეს ცხოვრება — დასატყვილი რთველი, თუ ღარიბი საჩუქარი მღვრიე ცის, შუბლზე სიცხე გაიზომე ხელით და საკუთარ თავს ნუგეში მიეცი.

ღარტაფებში ღელეები კვენისის, შემოდგომის ქარს მიჰყვება ქედანი, ინერება ზიგზაგებით ლექსი — ე. ი. შესწორების შეტანით.

თანაგრძნობის თანმხლებია სევდა და თვალები — ნაცრისფერი ნალველი, უფრო ხშირად გესიზმრება დედა, რაც ასაკში, რაც ასაკში ნახვედი.

ჩამოიფეკვა შენი წილი თითქმის, რჩება მინდი — მინდი უფალს ეკუთვნის და ყოველდღე ელოდება სიკვდილს — ამოუცნობს და სათუთად შეფუთვილს.

ღრუბლები თანდათან ფარსაგად დაგიდიან, მზე გინდა?! — არა და პირჟამი ამინდია:

აქვითინებს ხრამებს, მოგყვება და მოგჩივის, შებოღმილი ღამე, ქარი — ხმადაკორძილი.

„ძვირფასო, სული მეცხება თოვლით“.
გალაკტიონი

ღანზე კურცხალი ციმციმებს, შებოღმილია თვალი, ქარი, წვიმა და სიცივე. წვიმა, სიცივე. ქარი.

ეჭვი, სეტყვა რამდენი, თოვლი, რამდენი თოვლი. უდაბნო ნახავრდები — კრძალვა უდაბნომოვლილს.

ჩამოდიოდა ღვარღვარა ტანჯულ სახეზე ხვითქი, იყო მინიდან ნასული —
ღმერთთან მისული? — თითქმის!

აემგზავრა თვალი სერებს და პირჯვარი გადინერე.

აბსტრაქციის უფერო ცა მჩატედ აითარგმნა როცა.

გვალვა

ელურსება ნიავს ლელი, ხელი — განვდილი მაქვს ხელი — ვუსამძიმრებ საირმის ნაძვს, აჯამეთის მუხას...

ელურსება ნიავს ლელი, ელურსება ნიავს ლელი, ანი წვიმას მე არ ველი, გვალვაა და — ვნუხვარ!

საიდუმლო წერილი

გამიშვლებული სახე, ავი ზმანების განცდა. გული ხვაშიადს ამხელს, რო დაინახონ, რაც ვარ.

ხე — კაცზე უფრო ბრძენი და კაცზე უფრო სანდო, ჩუმად მიგზავნის წერილს და საიდუმლოს მანდობს.

ავემგზავრები ჩემ თავს და უწონადო ლანდებს, ცხრანყაროს წყალით შემთვრალს, ყელთამდე ვალი მადევს.

ტალღა აგრილებს ნიავს, ხოლო ნიავი — ხრამებს: გიკვირს? — უმთვარო დღეა! გიკვირს? — უმზელო ღამე!



ქეთი ჯოღბორდი

შამოდგომა კითხვაზე

რამდენიმე წელზე გათვლილი ფერთა პალიტრა, არცერთი წამით გახანგრძლივება და არც სიცოცხლის დიაპაზონი...
აი, შემოდგომას გაყვურებ, ჩიხივით მოდის, თან ვერ გვიფერებს. ამიტომაც აქ გაგვარჩერა მტკივნეული ადგილივით მოვარვარე შუქმა და მერე საპირისპიროდ დავიფანტეთ. გზაში მიკვირს, ეს ცოცხალი სიფერადე თავზე მემხოზოდეს და მაინც მხოლოდ ლურჯი ნაფხურები სიტყვებს შორის მონანნაღე? ნოემბერმაც მკვეთრ დამისფრად არ მოგვწამლა უკუნი კონტრასტისთვის? ესეც სიყვარულის გამართლებული სიბრმავე. არადა, უძილო, უფერო ღამეს უფრო ვუხდებოდით, ფხიზელ მზერაში ვიმსხვრევდით კობალტებს, დარჩენილი ფერები კალენდარს მიჰქონდა თაიგულებად ღირსშესანიშნავ დღეებზე. გზაში თუ მოვასწარი, ჩემი მოზღვაო ინტონაცია, მარტობასავით ნამდვილი, ვის თვალეში გადავიტანო ასპროცენტისანი მხედველობისთვის, ისე, რომ არ განმეორდეს და თითოეულ ღელვაში უსიტყვოდ მიგრძნოს?

სხვა არაფერია აქ გასარკვევი, ისინი თუ იკითხვენ მუდართით, ვისთვისაც მხოლოდ არსებობაა საკმარისი სიყვარულისთვის, უთხარით, რომ მე ვირჩევ ნამსხვრევებს ხელისგულზე და ტკივილზე გადავლილი მელნის მდინარე მახსენებს სიტყვიერ გამოთხოვებას, სხეულების ნაშლისას შუამავალ თვალს როგორ იმწყვედვდა სევდის სიმაღლე და დღესაც რომ ვერ ფარავს მიმტოვებლის მიმართ ურჩ ერთგულებას, ჩემთვის ესაა საკმარისი, მხოლოდ ამიტომ ვინამე სიტყვაში — ღმერთი, წვეთში — სიღრმე, სულში — სიმძლავრე და მაინც სუსტი სრულყოფილება თუ მიღმიერში მეგულება, ეჭვივით უნდა გამიცამტკერდეს, ტკივილიანად გამიყურდეს და აზრივით დაკარგვამდე, გავუშვა ტყვესავით, ის კაცი, რახანია მწუხარებასავით რომ სუნთქავს ლექსში და არა უხილავ საწყისს ან სასრულს, მხოლოდ ერთგულებას მახსენებს.

დამყოლი შორისდებულების წარსული თუ ჯერ კიდევ მტკივნეულია, ვუშვებ იმ დროს, სხვა ყველაფერთან ერთად რომ უნდა ვიფიქრო ჩემსა და შენს შორის, სიტყვების წონა რა ენერგიას წარმოქმნის ხმაში, როგორი დამაჯერებლობა აქვს ინტონაციით, სიხშირით, დარღვით... უნდა ვიფიქრო, თითქოს მშვიდი ბალი თვითონ გვიხმობდეს, სადაც სახელის ძახილით სულს საკუთარი შემოდგომა უახლოვდება და სიყვარულის დაშვება, ფრთების დაშვებაა ფოთლებივით. უნდა ვიფიქრო,

გზად შენს მხარსა და ჩემს ნიკაპს შორის, ნათელი მორევისთვის ამოზრდილი მოუთმენლობა, ხერხემლის მყარი ელვარებით, აცივებამდე ნეკნი რომ უნდა მოისაკლისოს. და მაინც, ყველა ფიქრის ნაცვლად გვეიმედებოდეს, უფრო რომ მოდის, ის დრო.

უცნაურია ნაწილების განსაზღვრება, ჩვენ ყველა ერთ გვერდზე ვართ უმნიშვნელოდ შემცირებული.

სითხეს რომ ანდობ ჭურჭელს, ვერ იქნები მთლად ვერცხლისწყალი, ისე როგორ... მისმა კედლებმა ცოტა მაინც არ დაგიტოვოს და ნათელი ხდება, ერთი მოურგებელი ადამიანი როგორ გაკლდება სულის ნაწილი.

ფიქრობ, როგორ ექცევა იმ ნარჩენს დრო, ან ცა თუ არსებობს და სინათლე შენარევებით, ისე რომ მინა არ იყოს ერთადერთი გამოსავალი. პასუხის ნაცვლად, გენიშნება იმ მეგობარზე, სიბნელის მასავით თუ გეშინია, რომ გეკითხება გამუდმებით და გულწრფელობით მაშინვე კარგავ...

ამ დროს, შენ პირადი ზღვა გაქვს, მიდიხარ და თავს იხრჩობ პერიოდულად, ახალი სიცოცხლისთვის, უმტკიცებ, წყალში სიცისფრე მუქ შიშს რომ ფარავს, სინათლეს როგორ არ უნდა ენდოს... დაარწმუნე, პირველად მტრედისფერს აღმოსავლეთს რომ ამოიღებ მზე, ფოთლებსაც მზისფერიდან ეწყებათ სიყვითლე, მომაკვდინებელი...

არსი მაინც მთელ ფორმაზე დგება და შეფერილობით, ერთიანობის რწმენას იტვირთავ, დასანაწილებლად როცა მკაფიოდ, მიჰქრიან, მოჰქრიან ქარაშოტები.

მეხსიერება შენ მხრებზე მზერისას ფორიაქს მინთებს, რომელიც სიყვარულს კი გულისხმობს, მაგრამ მეხსიერებაა, შიგადაშიგ მოტკობ ფილტრით და ნერვების შესაბამისად, ვერ ვენდობი. თვალს გააპარებ, ფეხიც დაგიცდება და ხელების იმედზე როგორ არ დავრჩე. ნათითურებზე შეხებისას თუ თითოეული განცდა შეირხა, ლირიკას რომელი ერთი მივანერო?! ემოციას იმ დათქმულ მისამართზე გავუშვებ, შენ რომ უნდა მოხვიდე და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად, ქუჩას სახელი შეუცვალონ... მერე არ იჩენს თავს, ყოველი ვერშემდგარი შეხვედრის სევდა და ხავსზე მოჭიდებას რომ ვერ ეგუება, ის სიყვარული — უკან დაბრუნების მცდელობებიდან ამოკრეფილი სინათლე, რომელიც მუჭებში დუმილის ქერით უნდა მოვიდეს, ღმერთმაც მხოლოდ ამით იცნოს და მხრებზე ფორიაქი, უკვე აბსტრაქტული უღელივით შემიმსუბუქოს... ესეც კმარა იქ, სადაც შეიძლება არსებობა სიბნელის მხრებით, უსასრულოდ, სადაც წლებია მზისგან ვნათდებით და ბნელი შუშდება ნახნაგებში არეკლილი ადამიანი.

დასასრული

აკა მორჩილაძე

მისტერ პრისის და მასტერ უილის ამბის დასაწყისი

„ხალხურა ჯონი, როგორც სერ ალფრედი მინოდედა“.

„ბიძია პიკი?“

„დაიხ“.

„სწორედ რომ. როგორც ვხედავ, ჩვენ საერთო მოგონებები გვქონია. სწორედ რომ ესაა ძველი, ტკბილი ლონდონიუმი. სერ ალფრედს ახლოს იცნობდით?“

„გრძობინტონშიც მიცხოვრია ერთხანს“, ვუთხარი და ვიგრძენი, რომ რაღაც პირქუში მომანვა თვალეში.

„ამიტომაც ხართ აქ!“ შესძახა მან.

„ჯონ პერი... ჯონ ორლანდო პერი ხართ“, როგორც იქნა, მომაგონდა სრული სახელი, „კომიკური სიმღერების შემსრულებელი. მიუზიკ ჰოლდინგ“...

„დაიხ, ჯერ კიდევ“, ამკარად ესაიბოვნა, „ჯონ ორლანდო პერი... მაგრამ ეს მხოლოდ სასცენო ფსევდონიმი. დედაჩემის გვარის და რაღაც ისეთის ნაზავი, იტალია რომ მოაგონოს კაცს. ჩემი ნამდვილი სახელია ანჯელო ანჯელინი. იტალიელი ვარ. და როგორ მოგონებთ იტალიელი, რომელიც ინგლისური გულის სიღრმეებიდან მღერის? მაშინ მირჩიეს, რომ ეს უფრო... უფრო ისე გამეკეთებინა... ახალი დროება, ახალი დროება... მე ისტმი დავიბადე. ბაბუაჩემიც კი აქაა დაბადებული... ჩვენ იტალიელები ვართ, მზიანი და სუფთა ადგილიდან... ჩემი ვაჟი ავარიამი დაიბადა“.

ჩამოვჯდა და თავი პიანინოს დაადო.

„ტრაგედია... ასე იოლად ჰქვია“... უფრო კლავიშებს ელაპარაკებოდა, ვიდრე — მე, „შენ მუსიკის კაცი ხარ. მუსიკა მარადიული ზეიმი. როგორღა უნდა იზივით? მერჩინა, მოვკვდარიყავი. მაგრამ როგორ? დედაჩემი კვლავაც ცოცხალია. ამ სათვალავში პატრონი. გადავუარო იმ წლებს, რომლებიც ღმერთმა მიანიჭა? ჯადო ისაა, რომ შენ გლოვობ და მუსიკა ისევე შენს თავშია... მე სიცოცხელი ვარ. ორივე სიცოცხლეში მიმღერია სამეფო ოჯახის წინაშე. მუსიკა ჩემს თავშია და უბედურება ჩემს გულში. ასე გამოდის. მაღლობა ღმერთს, რომ კვირამი ორჯერ ამ პატარა მშვენიერებათა სიმღერას ვუსმენ... ოჰ, მაპატიეთ, გეთყავა... ვხუმრობდი და ამ ხუმრობა-ხუმრობაში ხუმრობის ზღვარს გადავბოჯე“.

ის წამოვტა.

„მე რეციტალები მქონდა როილ ალბერტ ჰოლსა და კარნევი ჰოლში, ნიუ იორკში“, მისტერ პერიმ სქელი წარბები აზიდა, „სინატრა ზის პირველ რიგში. გამაფრთხილეს, გაღვნილი მთვრალიაო. ბევრს ვლაპარაკობ?“

„არა. არა“.

„მწველი ხართ? აქ ბავშვები დადიან და ვერ მოვწევთ. თუმცა, გაკვეთილი დამთავრდა. საფერფლეც მაქვს“... ჩვენ გავაბოლეთ.

„წლებია, აღარ გამისინჯავს“, ღრმად ჩაისუნთქა, „ეს თანამედროვე სიგარეტები... საუბარს არაფერში ეხმარება, ისე სწრაფად იწვის“.

„სინატრას ახსენებდით“.

„დაიხ... მოკლედ, ოთახში ვარ. ჩემს აპარტამენტში ალგონკუინ ჰოტელში. ისმის კაკუნი. ვაღებ. სინატრა, ხელში დიდი ბოთლი. იმხელა ბოთლი არასდროს მენახა. უკან მცველი უდგას. მაღალი, მოსაწონი იერის კაცი საუცხოო მანერებით. შემდგომში მთლად მცველი არ გამოდგა. უფრო, ბალკანელი მეფე. კომუნისტებს გამოქცეული. სინატრამ იტალიურად დამინყო ლაპარაკი. საიდრე იცოდა, რომ იტალიური ვარი და საერთოდაც იტალიელი ვარ? მიიხარა, რომ კლუბები შესძულდა და მისი გვარი ყველგან შავ სიაშია შეტანილი, ამიტომ სმა ჩემს ოთახში მოგვიწევს. ორი ჭიქა კი იყო კარადაში და მესამე სააბაზანოდან მოვიტანე. მეორე საღამოს გამოსვლა მქონდა. ნამთვრალევი ბზარი არაფერში მჭირდებოდა. მაგრამ სინატრა მოვიდა. ჩვენ ნაპოლიტანო ვიმღერეთ. ბალკანელმა მეფემ, ბალკანური. ის უშველებელი ბოთლი ფსკერამდე ჩავიყვანეთ. სინატრა ისეთი მსმელი იყო, უნდა დაჯდეს, უყურო და ისწავლა. როგორც კი იფიქრებდი, რომ მორწა, სასმელმა დაავადო, უცებ გამოიფხიზლებდა და ხელახლა იწყებდა. ბოთლი რომ დავცალეთ, გამოვედით და კები დავიჭირეთ. სინატრა ხართ? მძლოლი ეკითხება. ეს კი ჩემზე აჩვენებს, აი, სინატრა და დავინწყეთ ნიუ-იორკში ქროლვა, შუბლს გარეჟრის ჰაერს ვუშვებდით. შემდეგ მეფემ თქვა, რომ ოცნება აქვს... ოჰ, რა ღამე იყო.

იცით, დრო რომ გავიდა და შევატყვე, რომ ხმას ვკარგავ, მივხვდი, რომ ყველაფერი გაქრება. ვიფიქრე, რომ სინატრა აღარასდროს მომიკაუნებს და საერთოდ, მსგავსი რაღაცები აღარასდროს მოხდება. ცხრა წელიწადი. მხოლოდ ცხრა წელიწადი მომეცა. მინდოდა, გამეგო, რა მელის და სერ ალფრედთან მოვედი. „ჯონ ორლანდო პერი“, ასე მიიხარა, „თავს ნუ ისულებებ. შამპანური გაზის შენარჩუნების უნარი არა აქვს. მოდი ოლინგში და ბავშვებს ასწავლე“. ანჯელო ანჯელინიმ ჩაიხიბხიბა, „ასეთი ამბავია“.

„და სინატრა?“ მაინც ვკითხე.

„აჰ, სინატრა. რასაკვირველია“, თავი დაიქნია მან, „იმ ბალკანელ მეფეს უნდოდა, რომ მისი ეროვნული სიმღერა გვემღერა ტაიმს სკვერზე. არც სიტყვები ვიცოდით, არც ჰანგი. მივედით ადგილზე და შევასრულეთ. ამერიკის გასაღვიძებლად, როგორც მეფემ თქვა. გარშემო ბევრი უძილო ჯეილი დაბოდიშობდა, მაგრამ ჩვენ მაინც გავაღვიძეთ ამერიკა. მთვრალ ხმაში, თუ ის კეთილია, არის რაღაც. რაღაც ძალიან პატიოსანი. მაინცდამაინც აღსაფრთოვანებელს არ ვგულისხმობ. გააჩნია. მაგრამ ჩვენი ხმები ტკბილი იყო იმ დღით. ხალხიც ტკბილი. სინატრას ქული შემომრჩა, მაგრამ მეეჭვება, მას ჩემი შეენახა“.

„ის მოკვდა“, თითქოს შეეხასხენე.

„ყველანი მოკვდებით“, მან მიმოიხედა, „საფერფლე სად დავდე? უკაცრავად, უკაცრავად, უკაცრავად. თქვენ ვიღაცას ეძებთ, ასე ჩანს“.

„დაიხ. ჩემს მეგობარს ვეძებ. ეგებ გახსოვთ კიდევ. აქაც ბევრჯერ ყოფილა. კრიისი. კრისტოფერი“.

„დაიხ, დაიხ, დაიხ, დაიხ“, ცდილობდა, რაღაც ძალიან შორეულსთვის მოველო ხელი, „სერ ალფრედის დისშვილი. უყვარდა აქ მისი ვაჟი. სამწუხაროდ, არასდროს გვისაუბრია... მოხდენილი ჯენტლმენი, შეიძლება ითქვას“.

„ანუ ის გუშინ არ გინახავთ... ან დღეს“, მაინც ვეკითხებოდი.

„სამწუხაროდ, არა“, მისტერ პერი რაღაც ჩემთვის სრულიად გაუგებრის ბუტბუტს მოყვა, „აქ აღარავინ მოდის. მე მოვედივარ? ახლა აქ ვარ?... მოდი, თითოც მოვინოთ. ჩემი მარაგები ამოიწურა. აქ ვარ?“

„და ვოლფი?“ ისევ მაინც.

„ვოლფი სასაფლაოზეა“, მისტერ ანჯელინიმ მოკლედ მოჭრა ამჯობინა, „ბიუსტი ჩავაგებანეთ. როგორც სურდა“.

„ბიუსტი?“

„დაიხ, ანდერძი დანერა, კუბოში სერ ალფრედის ბიუსტი ჩამიდეთო. გახსოვთ ის ბიუსტი? თვითონ საბრალო ვოლფიზე მძიმე იყო. როდერიკ გრიმისტიმონა გამოძერწა რაღაც საგანგებო თიხისგან და მერე ჩამოასხა კიდევ... ჩემი აზრით, თიხისა ჯობდა. როდი ხომ მხატვარია. ჩემზე ბევრად უფროსია. უფრო ბებერი, ვიდრე ყველა ყვავი ამ კეთილ ბაღში. წარმოსახვა მისი ძლიერი მხარე არ არის. პატარა ბიჭვით მხედვდა, როცა ამას ეტყვი“.

სახელი თითქოს მცენო. ალბათ როდ გრიმინტონი ლორდ პიკოულიარის მეხუთე თუ მეშვიდე კუზენი გახლდათ. გრიმინტონი ბიძია პიკის სამკვიდრო მამული იყო ძველი სასახლითა და სანახებით, მაგრამ ამ გვარის და სახელის ნათესავი იქ არასდროს მენახა და არც კრისისგან გამეგონა.

„ჰოდა, ერთხელ ვოლფი მოვიდა და გამოაცხადა, ანდერძი დავნერე და ბიუსტი მინდაო. მე და როდი ჩავგენერა მის პირად მებაღეებად. უცნაური კი იყო. როდმა ბიუსტი მოიტანა. კაპელანი გავაოცეთ. როდს კვირამი ერთხელ ვხვდები, სამოცდაექვსს ვთამაშობთ ხოლმე ერთ ადგილას. ეგ თამაში ახლა ბევრს აღარავის ახსოვს, მაგრამ

იმ ადგილას ბანქოს ძველი დასტებია და მათით თამაში სახალისო და საინტერესოა. ოჰ. ეს ქალაქის მეორე ბოლოშია. პაპია ჩემნაირი აჩრდილებისთვის. მე რომ მკითხო, უკბილო ლომს დავარქმევდი. რაღაც პატარაზე ვთამაშობთ ხოლმე. მე თუ მოვიგებ, ჩემი დაკრძალვის ხარჯებს როდი გაიღებს. ის თუ მოიგებს, მე და ასე... როდს დიდი სახელოსნო აქვს. ევედრებოდა კიდევ ვოლფის, იქ გადმოდიო. ვოლფის აქაურობა უყვარდა“.

წასვლის დრო იყო. მოხუცი არასდროს დაასრულებდა თავის ათას ერთ ღამეს და მე კი კვლავ არაფერი ვიცოდი კრისის შესახებ. შარლოტისთვის ხომ უნდა მიმწერა.

„რა სულელია. ოფიციალური იდიოტი“, მისტერ პერის ასე იოლად ვერ შეანყვინებდი, „ისე დააბიჯებს, რომ მართლა ვიკონტი გონია თავი, რომელიღაც ორდოში. გადამდგარ ჩხუბისთვის ასახიერებს. ოჰ, რა მადლიერი ვარ თქვენი. ისეთი მგზნებარე სურათები გამომიღვიძეთ. როდი მართლაც კარგავდა ხოლმე ჯენტლმენობას, როცა დაღევდა. სერ ალფრედს ერთი ოცჯერ მაინც შეუტანია გირაო. თუ დათვრება, სადღაც მიდის ხოლმე. გარბის. ამოჩემებული ადგილები აქვს. ორი-სამი. სადღაც ლუიშემისკენ გარბის ხოლმე. მაგრამ სად გაიქცევი. გაქცევა შესაძლებელია? მოქანდაკე! არასდროს გამოუფენია რამე. წარმოსახვა აკლია. ახლა დროის მოსაკლავად ხატავს. განიცდის, რომ ისევე ცოცხალია. როგორც ამბობს, გულელებს ხატავს. შეყვარებულ გულელებს. ბუფონადაა, მეტი არაფერი. გულეზი! მის ასაკში. ასეთი სულელური სიმბოლო არც ვიცი. ბანქოს გულეზია. ესაა მისი წარმოსახვის უმაღლესი ნერტილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ტილოზე გულეზი არ არის. გრიმინტონის ვიკონტი! ეს დიდგვაროვნები ცოტა ვერ არიან ხოლმე, მხატვრებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაპატიეთ, იმედოვნებ, მხატვარი არ ხართ“, ჩემს პასუხს აღარც კი დალოდებია, „მაგალითად, ნახატს მაჩვენებს. ძველი, გაცვეთილი ჩემოდანი იატაკზე. გულეზი სადღა? ვეკითხები. ჩემოდანში. ჩემოდანშია, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვხედავ, რადგან მათ შუა პერანგები, საცვლები, ფეხსაცმელები, წინდები და სხვა სამოსი აწყვიდა. ისინი ქმნიან ტიხარს. ასე თქვა, ტიხარიო. მერე მეორე დახატა. თავისი სახელოსნოს კარი და ცუდი ამინდი, რომელიც ამ კარიდან ჩანს. ისევე გულეზია, ერთი გარეთ, მეორე შინ, სანოლისპირა უფრამი დევს. ხვდებით ალბათ... როდი... ჩვენი როდი... გუშინ მირეკავს, ავა გარდნერი დავხატე და მოდი, ნახეო. სინატრა წამოვიყვანო-მეთქი? იუმორი ნულს დაბლა აქვს...“

კი ვუსმენდი, თუმცა უკვე იმაზე ფფიქრობდი, როგორც გაცვლოდი.

გრძელი და გადამოტეხული იყო, მაგრამ უცებ რაღაც ძალიან ნაცნობი მომადგა ფიქრში და მისტერ პერის მრავალფეროვანი სიტყვაკაზმულობა ერთიანად გადაფარა.

ქვეყანაზე სულ ნაირნაირი შეყვარებული გულეზია, რა ზომ-წონისა და მდგომარეობისა არ შეგხვდება. ერთი ამათვანი პატარა და რბილ საქინძისთავე ბალიშს ჰგავს. ხომ გინახავთ ასეთი, ზედ რომ ნემსებს არჭობენ შესანახად. ხშირად, ასეთი ბალიშები გამოვსებულა შიგ შესრიალული ნემსებითა და ქინძისთავეებით. მე მიძინებულ საჩხვლებებს ვეძახი, იმიტომ, რომ ერთ დღესაც, თუ ოდნავ გაუფრთხილებლად მოავლებ ზოლს ამ ბალიშს, შემალული ნემსი აუცილებლად შეგერჭობა იმ თავისი სამალავიდან. ზოგიერთი გული სწორედ ამ ბალიშს ჰგავს, ძალიანაც თუ მოუჭერ, დაგჩხვლებს იმ შემალული ნემსებითა და მახათებით. მგონი, როდ გრიმ-

ინტონის შემოქმედება რაღაც ასეთსაც გულისხმობდა. თავად ნემსებმსრუტული ბალიშის ამბავი კი მისტერ ჯანდაბასა და მისის დოზანაში იყო აღწერილი.

ამდენ წელიწადს სრულიად განსხვავებული ცხოვრების შემდეგ კვლავ ვიღაცის კარის ჭუჭრუტანას უნდა მივკვროდი.

კრისის თავის ცხოვრებაში სხვების შეთრევისა და მათი თავის მსახურებად ქცევის საოცარი უნარი ჰქონდა, რისთვისაც განსაკუთრებული ფერადოვნების ურთიერთობებითა და თავგადასავლებით იხდიდა. ხალხს რაღაც უცნაურით, უთქმელთ, ფარულით, სამიშობაც კი ატყვევებდა. ეს ერთგვარი მხიარული გოთიკა იყო. ყველა ის განცდა ნიუგეიტებიდან წამოსვლის შემდეგ რომ ამედევნა, საუცხოო იყო სამყაროსთვის, რომელსაც ის ქმნიდა.

მას მოსწონდა ამბავში თრთოლვით შეთრევა.

ვისაც უყვარდა, იმათ დამონებაზეც გიჟდებოდა.

და მაინც, რა უცნაური ამბავი იყო.

ნითელ პიანინოსთან მჯდომი კაცი იმ სამყაროში მითრევედა, რომელიც ერთ დროს რაღაცისთვის უნდოდა ჩემს მეგობარს და რომელიც სრულიად ხავსმოდებულად მიმანდა. კრისი თავისი იმედი იყო და იმ თავგადასავლებისთვის სრულიად მზად მყოფი ჩანდა, რომლებზეც არასდროს აუღია ხელი. ამაში დავრწმუნდი.

სადღაც ახლოს იყო. ვგრძობდი. მისი სამყარო ისეთი ძალით ცოცხლდებოდა, რომ უყურადღებოდ ვერ ჩაუვლიდი.

„მაპატიეთ, ძვირფასო მეგობარო, მაპატიეთ“, მოხუცს კვლავ სიგარეტის ფილტრი ეჭირა, „ბევრი მოგონება, ბევრი განცდა. ვოლფი კი მოკვდა. სხვათა შორის, საკმაოდ უცნაურია, მაგრამ ბოლო ორ დღეში თქვენ გამოვიდა ადამიანი ხართ, ვოლფის რომ ეძებს. არ მახსოვს, ოდესმე ვინმეს მოეკითხოს. ისეთი კარგი დამხმარე, ისეთი მორჩილი იყო. როგორ ფიქრობთ, ეს როგორღაც დაეხმარებოდა?... ახლა წამდვილად ჯოჯოხეთში იქნება?“

„ვერ გეტყვით. მაპატიეთ... ვოლფის არ ვეძებ“, სხვა რაღაც უნდა მეთქვა.

დაბნეულმა შემომხედა. ეგებ დაიღალა კიდევ.

„მართალია“, ამოისუნთქა ბოლოს, „ჯოჯოხეთისა თქვენ რატომ უნდა იცოდეთ? გუშინ იმ ტიპსაც ვკითხე, მაგრამ მას მოსმენა არ შეეძლო. თქვენ ის ასაკის კაცი იყო და სრულიად სხვაგან, თითქოს სადღაც დაბლა დავხობავდი. ჭიანჭველა ვიყავი. კაცმა უნდა დასცინო ასეთ ამპარტანეზას... ეგებ ამპარტანეზაც არაა. ეგებ ტიპს რაღაც უჭირს და თავის გრძობაზე ვერ გამოხატავს. რამდენი საკვარი არსებობს იმისთვის, რომ ჰარმონია იქმნას? ბევრი. ასზე მეტი. მთელი ორკესტრი. ადამიანებს კი სულში ორკესტრი არ უზით, მხოლოდ რამდენიმე საკრავი აქვთ. ორიოდ. თანაც საკუთარი ხელით გაფუჭებული. ასე რომ, ჰარმონია ცხოვრებისგან შორსაა. მხოლოდ მუსიკაში თუ მოხერხდება ხოლმე. ცხოვრებაში კი საამისოდ ერთი გზაა, მაგრამ ჩვენ ის გვეჯავრება“...

„მაღალი იყო?“ სხვა აღარაფერი მაინტერესებდა.

„ვინ, ვოლფი?“

„არა, გუშინ რომ მას კაცი ეძებდა“.

„ა, ის... შესაძლოა. ალბათ. უფრო მაღალი, ვიდრე დაბალი ხალხია ხოლმე. სავარაუდოდ“.

„გამხდარი?“

„გამხდარი? თითქოს საფიქრითიდან იყო. ან ბრძოლის ველიდან.“

„და ვოლფის ეძებდა?“

„დაიხ. ეძებდა“, მისტერ პერიმ კვლავ ამოიხარა, „მაგრამ იცით, რა? ეგებ თვითონ იყო ვოლფი. ოლონდ, ცოტა სხვანაირი“.

კრისზე ამბობდა.

„არ მომიმინა და ნავიდა“, თქვა მოხუცმა, „მაგრამ ვმობი, ძალიან შეგაყოვნეთ. ინვიმებს. ამიტომ დროზე წასვლა სჯობს“.

„ინვიმებს?“ ამინდის ცნობას დილით ჩავეხედე.

„არა მხოლოდ. ჭექა-ქუხილი შეირგებს ჩვენს კეთილ მასპინძლობას. მეხი გავგანათებს. გახსოვთ, სინდონდ რომ მეხი იცის? სველი ფოთლები, როცა წვიმა გადაივლის. ფინჯანი ჩაი ნოტიო ტერასაზე და ცინცხალი სუნთქვა. გიყვართ ელ-ჭექი?“ უცებ შფოთვა დაეტყო, ოთახში სიარულს მოჰყვა. ის ნამწვავი ისე ხელში ეჭირა, „ქუდს ვერ ვპოულობ. ნახვამდის, სერ, ნახვამდის... მოდი, ხელის ჩამორთმევას მოვერიდ-

ოთ. ხელის ჩამორთმევა ცუდი ნიშანია, როცა შენს თავზე ღრუბლები გროვდება... ნახვამდის“.

მან კარი გამოაღო და მოხდენილად მიმითითა დერეფნისკენ.

„გთხოვთ“.
ყოველი მოძრაობა საოცრად მოქნილი და ზუსტი უჩანდა. მიუზიკოლოის სცენაზე წლობით ნაშალაშინები ხალისიანი ელეგანტიურობა შერჩენოდა.

ცა კი ილინგის თავზე იყო უფრო უღრუბლო და მშვიდი, ვიდრე საფოსტო ბარათებზე. ვფიქრობდი, რომ ასაკი ჩახლართული რამეა. საერთოდ, თავში კორიანტელი მედგა, მაგრამ წყალი ჯერ არ დულდა.

7.

შარლოტმა შვიდის თხუთმეტ წუთზე დარეკა, რასაც მხოლოდ ისტერიული და ეჭვიანი შეყვარებულები აკეთებენ ხოლმე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მასთან რვის თხუთმეტი წუთია და ან მანამდე ადგა, სანამ იმ ჰუმბოლდტ ჰუმბოლდტს ეძინა, ან გაათენა.

„როგორ მყოფობს განთქმული კუნძული ქიოსი, იტკობ მასტიკას ჰერ ჰუმბოლდტთან ერთად?“

„რაც ყოველთვის მოცუბდა შენში, მუჟის ოდენობა შენს ენაზე... საუზმემდე“, ოდნავ მომლოდინე ხმა ჰქონდა, „დარწმუნებული ხარ, რომ ნიუგეიტში არ არის?“

„სრულიად“, მივუხე, „თარიღი მოგატყუა. კაცს შევხვდი, რომელსაც გუშინ ელაპარაკა ბიძია პიკის სტუდიაში“.

„ვიცოდი“, თქვა მან, „უნდა ჩამოვიდევოდი. ვიცოდი, რომ ეს ბერძნული ტური ჯანდაბაში წავიდოდა. უაზროდ მოვანყვევებდები, ჰუმბოლდტთან მოვავგარო. ჯერაც წევს. ნასაუზმევს ვეცდები“.

„ლანჩამდე გადაწვი“, ხუმრობა ვცადე, „და გეხვეწები, მაგ ტურს არაფერი დამართო. აქ რა გინდა? ჩემზე ჩქარა დაგყავს მანქანა? კიდევ ეჭვიანობ?“

„არ გამაძინო. იუმორი შენი ძლიერი მხარე არაა, როცა საქმე კრისს ეხება. ოდესმე რომ მეეჭვიანა... ოჰ, უილ, რა ჯანდაბა გჭამს და გხრავს? მე უბრალოდ მისი დახმარება მინდა. ყოველთვის ასე იყო“.

„მისმინე. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მოგ ზაურობის შეწყვეტა არ ღირს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ვიპოვო და ასკოტში წავიყვანო“. ეჭვიანობის და მისი მსგავსი რამეების ხსენება სისულელე იყო, მაგრამ ასეთი სისულელე მოხდებოდა, როცა ტელეფონი დილის ექვსზე გაღვიძებდა. სანამ ტვინი იმას გაიგებდა, რომ უკვე სამყაროში ხარ, ძილ-ღვიძილში უკიდევანო გულახდილობა შეგიპყრობს ხოლმე, „ნუ გააგიჟებ შენს კეთილ ქმარს. უბრალოდ, ხაზზე იყავი და ჩემი მოქმედებები მიმართე ხოლმე. მგონი, ჯერჯერობით საკმარისია“.

„შენ ფიქრობ, რომ მეთაურობას ვებღაუჭებ? პირველად ვთვლი თავს?“ სამწუხაროდ, ისევე იქ იყო, ნელანდელ ნათქვამთან, „შე შტერო, ბებერო მახოხისტო. უბრალოდ, მინდა, დავეხმარო, იმ ძველი“...

„ძველი?“
ერთხანს სიჩუმე იყო. მერე გათიშა.

ჩვენ ყოველთვის იოლად შევდგებოდით ხოლმე ძველ გზებზე.

კრისი დაბრუნდა.

ეს საკმარისი იყო.

იმასობაში კი, წარმოდგენა არ მქონდა, სად უნდა მექნებოდა.

მზე მორიდებულად ეხებოდა გუშინდელი დელგმით დაზიანებულ და შეშინებულ გარემოს.

მოხუცი მართალი გამოდგა. თავსხმა წვიმა კოკისპირულში გადაიზარდა და ლელები მოადინა. მანქანები სულ თამაშთამაშ ტანჯა, ბალები მოტბორა და მეტროები დააშამათა.

მეხმა და ჭექამ თავიანთი პარტია იმდერეს, ბარიტონით იწყებდნენ, ბასს ურთავდნენ და ცრუ დამთავრების ნამებში ტენორიც წამოეწეოდა ხოლმე, ისე, რომ მსმენელს სრულ უძლურებაზე დააფიქრებდნენ, მათ კვალად კი, ჯოჯოხეთური საყვირები გვამცნობდნენ მავანი ქვის სტუმრის შემობრუნებას, უკიდევანოს და დაუნდობლისა. ამათ დოლები ეხმარებოდნენ, ჭექა კი ყოველივეს ნალებით დამონმებას ცდილობდა.

ასორმოცდაათი წლის წინათ რომ დავბადებულყავი, ამ თავსხმას შვიდ გვერდს მაინც მიუძღვნიდი. საერთოდ კი, კარგი შეგარძნებაა, როცა დაიჭერ, როგორ გადაიზრდება სერიოზული საკითხი ხუმრობაში.

1

— ნამო, დაიწყო, ნამო, — შევარდა გია.

კაბინეტში ავტოსადგომისა და საბანკეტო დარბაზის მენილეები და ჭირისუფალი ისხდნენ. ქელების ამბავზე ბჭობდნენ.

— რა დაიწყო? — რვეულიდან თავი აწია დათომ და გიას თვალი თვალში გაუყარა.

დათო ერთ-ერთი მენილე იყო, რომელსაც ხშირად უწევდა საზღვარგარეთ ფრენა. ავტოსადგომისა და საბანკეტო დარბაზის მონყობის იდეა მას ეკუთვნოდა და ფულიც ბევრი ჩადო. დანარჩენი ორი მენილე — გია და გიას ძმა კოტე — მცირე ნილებს ფლობდნენ, მაგრამ დღედაღამ იქ იყვნენ და, უმეტესწილად, ისინი კურიერებდნენ საქმეს. დათო მაშინ უდგებოდა ბიზნესს სათავეში, როცა თბილისში ბრუნდებოდა. ერთ ალუნერლად კი ენდობოდა, რადგან ბავშვობიდან, ბალიდან, მოდიოდნენ და ესენიც, ორმოცდაათ წელს გადაცილებულნი, პირნათლად პასუხობდნენ ნდობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველჯამს შესწევდათ შრო, პატარ-პატარა ფული მოეტეხათ ისე, რომ დათო ვერაფერს გაიგებდა.

— ნამო, მაგარ რაღაცას გაყურებინებო, — უთხრა კოტემ დათოს.

ჭირისუფალი შეცბა, დაიბნა. ფანჯარაში გაიხედა.

კაბინეტში მეფის პორტრეტი ეკიდა და „Koket“-ის ავეჯი ეწყო: სამი მწვანე დივანი და შავი, მოოქროვილი მაგიდა. კაბინეტის ერთ კედელს კარადა ავსებდა. სამუშაო მაგიდაზე, რომელიც დივანებსა და კარადას შორის იყო, მოოქროვილი წნორის ლომი და თრიალეთის თასის ასლები იდო.

კართან რომ მივიდნენ, დათო ჭირისუფალს შეუტრიალდა და უთხრა, წამოგყევი, მარტო ხომ არ იქნები. ჭირისუფალმა მხრები აიჩეჩა და წამოდა.

— ამოვბრუნდეთ და სუფრა მერე გავიართო, — მხარზე ხელი დაადო კოტემ.

— კარგი, კარგი.

დერეფანში, სანამ კიბეს ჩაუყვებოდნენ, ჭირისუფალმა, მათ რომ მისდევდა მოკლე ნაბიჯით, ხმამალლა იკითხა — რა დაიწყო, სად მივდივართო. ნამოდი, უნდა გაკაიფოთ, ასეთს ვერსად ნახავო, გამოეხმაურა გია და მკლავი მკლავში გაუყარა.

სარდაფში გენერატორი ხმაურობდა. ყვითელ გენერატორთან დახეულ, გაცრეცილ მატრასზე შიშველი ციცი იწვა. წრუნუნამ ფეხსაცმელი გაიძრო და ციცოს მტაცებელივით ეძგერა. ჯერ შუბლი დაუკოცნა, მერე სახე, ჩამოვიდა მკერდზე, ჭიპზე და მაისურიც გაიხადა. გამკვლეული უკაცნიდა სხეულს. მენილეები და ჭირისუფალი გენერატორის უკან აიტუზნენ, წინ დათო და ჭირისუფალი დააყენეს. წრუნუნამ ერთი გახედა, არ შეიმჩნია და ციცოს ფეხები ნელთან მოიქცია. ციცომ პირველ შეცურებაზე სწრაფად ამოიხვნეშა, მერე ხელები მატრასზე დადო — გაჩერდნენ ერთი წუთით, მე მოგეხმარებო. წრუნუნამ გამოილო. ციცი მოიკეცა, მხრებზე მოეჭიდა და მოქაჩა.

— ახლა მიდი, ავთანდილ! — იყვირა.

ხელის შეწევნით დინჯად შევიდა ციციოში. გეხმარები, მიდი, მიდიო — ყვიროდა ციციო და თან ტრაკზე ქუსლებით თავისკენ აწვებოდა, რათა თითოეული შედეგა მძლავრი და სწრაფი ყოფილიყო. ამასობაში გიამ თითო ბოთლი ლუდი მოიტანა. მოსვამდნენ ლუდს და გია და კოტე ციცოს ყველა ქუსლებით მიწოლაზე რუპილებს ისროდნენ — აქ ვართ, წრუნუნ, აქ ვართო. მერე ჩაიცივნებდნენ. დათო და ჭირისუფალი აპყვნენ. სიცილით სკდებოდნენ. გენერატორი ხმაურობდა. წრუნუნა ხვნეშოდა, ციციო ქუსლებით თავისკენ აწვებოდა და ყვიროდა, ხოლო გია და კოტე აუღელვებლად უცქერდნენ, რადგან თითქმის ყოველ შუადღეს ციცოსა და წრუნუნას სექსს ესწრებოდნენ. ლუდს განცხრომით ყლურწავდნენ.

ავთანდილი, ანუ წრუნუნა, სამოცდაათ წელს გადაცილებული, ჩამომხმარი, ფერდაკარგული და ნელი კაცი იყო. თავზე თეთრი თმა ალაგ-ალაგ შერჩენილი და წვერის გამუდმებით იპარსავდა. წვერიანი კაცი მოუვლელი კაციაო, არიგებდა ყმანვილებს, როცა სამსახურიდან სახლისკენ მიმავალს შეეჩებოდა. წრუნუნას ყველა იცნობდა, ყველა კითხულობდა და ყველა უჩერდებოდა წუთით მაინც, რადგან ციცოსთან სექსის შემდეგ ხელახლა იბადებოდა,

რაც გამომეტყველებდასა და სიარულის მანერაში აესახებოდა ხოლმე. იგი გამთენიისას, მზის პირველ სხივზე, იღვიძებდა და ჩუმად, უხმაუროდ, თითქოს არც არსებობდა, ისე აბიჯებდა აბაზანაში და წვერს სამართებით იპარსავდა. ერთადერთ წვერის საპარს ქაფს ყიდულობდა ოჯახში. მერე საძინებელში ფეხაკრეფით ბრუნდებოდა და რძლის დაუთოებულ, ჩასაცემლად გამზადებულ ტანსაცმელს, რომელსაც მუდამ სკამზე უკიდებდა, ძალიან, ძალიან ნელა

შესახურებლად, ძალის მოსაკრეფად არაყს სვამდა. მისი სამფლობელო 2000-იანებში გამოშვებულ ტელევიზორს, პატარა მაცივარს და მაგიდას, ტაბურეტსა და საწოლს მოიცავდა. მურთაზის არაყს ძეხვსა და ყველს აყოლებდა. გაშავებული, დამტვრეული, ჩამპალი კბილებით მოკებდა და საქმეს უბრუნდებოდა, თან ტკებოდა, განცხრომაში ეშვებოდა. თეფშებსა და ჭიქებს მზარეული ურეცხავდა. მერე ძაღლების ჭამის ჟამი ახლოვდებოდა. ძველ ტაფაზე

კონსტანტინე კაპანაძე

წრუნუნა და ციციო



იცვამდა და მანამდე, სანამ გავიდოდა, მძინარე შვილიშვილს ლოყაზე კოცნიდა. გასვლამდე სამზარეულოს ფანჯარას ალებდა, რათა სახლი გაენავებინა. ბოლოს ბერეტს იხურავდა. სადარბაზოში სახე აუწითლდებოდა, ნელში მოიხრებოდა და ნელა, აუტანლად ნელა, კუს ნაბიჯებით, ხელის ფშვნიტითა, გაჭირვებითა და დიდი ძალისხმევით, ბრძოლით და მოკუნტული ძლიერებით ალწევდა ჯიხურამდე. ჯიხურის მფლობელი პირველ სართულზე ცხოვრობდა და აივნიდან პირდაპირ ჯიხურში ძვრებოდა. მას ჯიხურში ათენდებოდა და აღამდებოდა. წრუნუნას ერთი ვაჟიშვილი, რძალი და შვილიშვილი ებადა. ვაჟიშვილი დისტრიბუციის მანქანის მძღოლი იყო. შვილიშვილს, რომელსაც ავთანდილის გარდაცვლილი ცოლის სახელი — ეკა — ერქვა, მეოთხე კლასში სწავლობდა, ხოლო რძალი იმ სკოლაში, სადაც ეკა დაჰყავდა, ექიმად მოღვაწეობდა.

— მურთაზ, მურთაზ, — ჯიხურს მიეყუდა.

მურთაზმა უმაღლესი სარკმელი და ჯიხურის დახლზე სამი პლასტმასის ჭიქა და კომპოტი საველ შუშის ჭიქა გამოდო. წრუნუნამ ვაი-ვაგლებით ჩაუჭრა თვალი და არაყი გადაკრა. როგორც კი მურთაზის გამოხდილმა არაყმა მუცელში დაუარა, სახე დაეჭმუნა, თვალები მოჭუტა, ნელში გაიმართა და შეჯანჯლარდა, მუშტებიც შეკრა.

— დილა მშვიდობისა, როგორ გიკიბო?

— კარგად, კარგად, — ჩაი მოსვა მურთაზმა, — მიდი, მიაყოლე და აზრზე მოხვალ.

მან მეორე და მესამე ჭიქა მიყოლებით გადაუშვა ყელში. მერე ერთი მოყუდებით დალია ვაშლის კომპოტი.

— აჰა, შოკოლადი.

შოკოლადის ფილა მოკიჩა.

— ოთხი ლარი, — უთხრა მურთაზმა და თოვლივით თეთრი წვერი მოიფხანა.

წრუნუნამ უკანა ჯიბიდან ხუთლარიანი და რკინის ლარიანი ამოიღო და გაუწოდა.

— შუადღეს, სამსახურიდან რომ მოხვალ, სპირტს დაგახვედრებ.

— ხო, ხო. ოქრო მყავხარ, — გაუღიმა. ხელი ძლიერად ჩამოართვა და ადამიანური ნაბიჯებით წავიდა.

როცა ავტოსადგომი დაარსდა, წრუნუნა ეზოს შესასვლელში ვინრო, მეტალოპლასტმასში შემკულ ოთახში გაამწესეს. გამთენიისას რომ მივიდოდა, ეზოს ასუფთავებდა და ნაგავს, რომელსაც გარეთ ტოვებდნენ, კრეფდა და ყრიდა. სანამ ამას მოათავებდა, დილა დგებოდა. შიგადაშიგ თავის სამფლობელოში ბრუნდებოდა და

პედიგრის უყრიდა. ძაღლების წკმუტუნზე დაცვის ბიჭები იღვიძებდნენ. ისინი ყოველთვის მოკრძალებულად, პატივისცემით ესალმებოდნენ. ამასობაში წრუნუნას დალილობა ერეოდა და ფეხები ერთმეოდა, ამიტომ დაცვის ბიჭი, რომლის მორიგობაც იყო, ხელში იყვანდა და საწოლში აწვენდა. ავთანდილი წამსვე ითიშებოდა. ხელფასი ორმოცი ლარი ჰქონდა, რომელსაც ხელზე იღებდა. წრუნუნა კოტემ შეარქვა. ავთანდილს მხოლოდ სახლში ეძახდნენ. შლაგბაუმს დაცვის ბიჭი ალებდა.

ციციო, გიციო, როდის აანიოკებდა უბანს, კაციშვილმა არ იცოდა. შეიძლება, შუალამეს მოერთო ღრიალი, ერბინა და ერბინა აქეთ-იქით და ეგინა და ეგინა. ავინებდა ყველას, ვინც გზად გადაეყრებოდა. თუ ვერავინ შერჩებოდა ხელში, ძველ ნაცნობს მოიგონებდა და ავინებდა და ავინებდა, ან ამოიჩემებდა ვინმეს და უხმობდა და უხმობდა. მოხმობაზე გამოეხმაურებოდნენ — რა გინდა, რა გინდაო — ციციო კი ჩაიცივნებდა და ავინებდა და ავინებდა — შენი დედის ტყვენაო, რასაც მინაზე ხოხი-ალსა და სიცილს მოაყოლებდა. ჰო, სიგარეტი, სიგარეტი უყვარდა — „მაიტა ერთი ღერი, ტო!“ — ართმევდა დიდსა და პატარას. მკერდში ილაგებდა სიგარეტის ღერებს. ერთხელ ოთხი ღერი გადაუტყდა და გაბრაზებულზე, გაღიზიანებულზე ბავშვებს აეკიდა, თქვენი ბრალია, თქვენიო. ბავშვები არ ერიდებოდნენ, პირიქით, მუდამ ციცოს ეძებდნენ გასართობად — „ციციო ბებია, ციციო ბებია, ვინ მოგხმარა პირველად?“.

ციციო ინაბებოდა, მშვიდდებოდა, ადამიანებით იხსენებდა — „ხო, პირველად, მაღჩიკი, რაიკომის მდივანმა მომართვა. მაშინ ახალგაზრდა, წინკვი გოგო ვიყავი. ეჰ, იმ დროს, ეჰ, იმ დროს“. ხოლო შემოტევიბი როცა აიბარებდა, გაფრინდებოდა, ამოჩემებულ უბნის მალაზიაში ჩერდებოდა და სატელევიზიო შოუებს მარლიანი ჩხირების თანხლებით უყურებდა, თურქულ სერიალებსაც არ აკლებდა. გამყიდველი ქალი ერთადერთი იყო, ვისთვისაც არასდროს შეუგინებდა და არც სიგარეტი უთხოვია. ერთხელ დისტრიბუციისთან ჩხუბში ჩაეშვა გამყიდველი და ციციომ რომ მოკრა თვალი, გაცხარებული შევარდა და ავინებდა და ავინებდა, უყვიროდა და უყვიროდა — „ჩემს გოგოს შეეშვით, თორემ დედას გიტყვებ“. მერე ჩივისს შეკვრები და ჩუპა-ჩუპსები დაუშინა, მანქანამდეც სდია. გამყიდველი ქალი მისი კარის მეზობელი იყო. ის აჭმევდა და ასმევდა, რადგან მარტოსული ადამიანის ყოფას ენეოდა. გათხოვნიდან ნაადრევად დაქვრივდა, შვილი ვერ ეყოლა და აუშვა და აუშვა.



კონსტანტინე კაპანაძე

ნრუნუნა და ციცო



დასასრული

ციცო, გიჟ ციცო, წითელი პომადო უყვარდა. დაბადების დღეზე ყოველთვის წითელი პომადოთ ასაჩუქრებდნენ. საძინებელში სარკესთან ოცდახუთი ცალი ედო. კარის მეზობელი სტილისტის როლსაც ითავსებდა. თმებს ნულზე პარსავდა, გიხდებდა, ასე გიხდებო, ატყუებდა და ატყუებდა, რადგან კარგა ხანს ისვენებდა სტილისტის მოვალეობისგან. ლიფტის ფულზე და კორპუსის ამბებზე, რასაკვირველია, არ ანუხებდნენ. მეზობლები კვირის განმავლობაში მოგროვებულ ათეთორიანებს ან ხუთთეთორიანებს ამოჩემებულ მაღაზიაში უტოვებდნენ ყოველ ორშაბათს. დაბადების დღის სუფრას ხან რომელი მეზობელი უშლიდა, ხან — რომელი. თავის დაბადების დღეზე არავისთვის შეუფინებია, მაგრამ სიგარეტს ითხოვდა და ითხოვდა, ითხოვდა უთავროლოდ. ციცო, გიჟ ციცოს, წვიმა უყვარდა, გამორჩეულად კოკისპირული. წვიმის ჟამს ღრიალ-ღრიალით დარბოდა და დარბოდა, უბანს წრეებს ურტყამდა და ურტყამდა, ხოლო როცა ისვენებდა, თავს მალა ნევდა და პირს უსაშველოდ ალბდა, თან ეცინებოდა და ეცინებოდა. ნეტარებით აღვსილი იღუმებოდა. ციცო ორმოცი წლის ასაკში გათხოვდა.

ნრუნუნა ორი წლის უკან ამოიჩემა. შემთხვევით შეეფეთა გამთენიისას, მაშინ, როცა მურთაზთან ყოველდღიურ რიტუალს ატარებდა.

— ა, ტი ციტო? — ხელი კრა.
 ნრუნუნა ასფალტზე გახიზნა. მურთაზი დაცემის ხმაზე შეშინებული გამოვარდა.
 — რას აკეთებ, ციცო, შე მართლა გიჟო, — ნამოაყენა.
 — მე, მე მისი გაცნობა ხანელ, შენს დედას რომ შევეცი, მურთაზ.
 ნრუნუნა ძლივს გაიმართა ნელში. მურთაზმა არაფერი გვრევე მიაშველა.
 — ვა, ვა, არაფერი გიყვარს? — მკერდიდან სიგარეტი ამოიღო.
 — ციცო, ციცო, შენ ყოფილხარ ის წითელპომადიანი ციცო თურმე.
 — მიცნობ? — გაინაბა.
 მურთაზი ჯიხურში შებრუნდა.
 — კი, შენ ყველა გიცნობს, — არაფერი გადაკრა.
 — რა გქვია?
 — ავთანდილი, იგივე ნრუნუნა.
 მურთაზმა ჯიხურის სარკმელი დაკეტა.
 — ავთანდილ, ავთანდილ, ცოლი გაყავს, ავთანდილ?
 თავი გააქნია.
 — გამაჩივებ მე? სიმართლე დაი მნე, ყველა უარზეა.
 ნრუნუნას არაფერი ტვინში აუვიდა, ბარძაყები გაუბუჟდა, ოდნავ შებარბაცდა, თვალელები გაუშტერდა და უპასუხა:
 — კი.
 ციცო შეხტა, თვალელები გაუფართოვდა და გაშლილი თითებით ტაში შემოკრა. მერე ლოყაზე სწრაფად აკოცა და მოკურცხლა, თან ღრიალებდა და ღრიალებდა, ავთანდილმა კი, ნრუნუნამ კი, ავთანდილმა კი...

იყო, შუადღე. ნრუნუნას უკვე ეღვიძა. იგი აუცილებლად იღვიძებდა შუადღეს, რადგან ციცო აკითხავდა. რა თქმა უნდა, ყოველდღე ნრუნუნას უჭირდა, ამიტომ დგებოდა დღეები, როცა არაფრის დიდებით ეკარებოდნენ სარდაფს. ხანდახან კვირა ისე გასულა, რომ ციცო არ გამოჩენილა, ხანდახან კი ნრუნუნა უარით ისტუმრებდა. მაგრამ მშვენივრად ესმოდათ და გრძობდნენ, რომ როგორც კეთილს ბოროტი, ანდა ბოროტს კეთილი, ისე სჭირდებოდათ ერთმანეთი.

მან კაბინეტის კარი თავისუფლად, მოურიდებლად შეაღო.

— ბატონო გია, — დაიბოხა ხმა, თან მოიხარა, — გჭირდებით რამეში?
 — არა, ნრუნუნ, წადი, წადი.
 რამდენიმე წუთში შებრუნდა.
 — ბატონო გია, გჭირდებით რამეში?
 — წადი, ნრუნუნ, წადი, — ხმამალა უპასუხა კოტემ.
 მერე სამზარეულოში ჩავიდა, ცოტა შეჭამა, ჭიქა არაფერი გადაკრა, თავის სამფლობელო მიალაგა და ისევ აბრუნდა.
 — ბატონო კოტე, გჭირდებით რამეში?
 — არა, ნრუნუნ, არა, — იყვირა გიამ და ბანქო აიღო, — გვაცალე თამაში.
 — მიეცი ათი ლარი და ნავა, — თქვა კოტემ.
 გიამ საფულიდან ათლარიანი ამოიღო და მისცა.
 — კარგი. თუ არ გჭირდებით ნავალ. ჩემს წითელ პომადას ველოდები. ნახვამდის, ბატონო გია, ნახვამდის, ბატონო კოტე, ნახვამდის, ბიჭებო.
 — ჰო, ჰო, ნახვამდის, — გიამ კარი მიკეტა.

ამ დროს ეზოში ციცომ შეაბიჯა, მიიხედა-მოიხედა და ნრუნუნა რომ ვერ იპოვა, დაცვის ბიჭს, რომელიც ძაღლებს აჭმევდა, ჰკითხა:
 — ა, გძე ავთანდილ?
 დაცვის ბიჭი შეუტრიალდა.
 — უფროსობასთანაა, ჩამოვა.
 — უთხარი, რომ ველი.
 დაცვის ბიჭმა რაცა მოიმარჯვა და გადასცა:
 — ბიჭებო, ბიჭებო, მოუ ინყება.
 რაცა კაბინეტშიც ელოთ.
 ჯიხურამდე გახალისებულმა, ადამიანით მიაღწია. ჯიხურში ორი ჭიქა სპირტი დალია და სახლში ავიდა.

სახლში შვილი დაუხვდა. სამზარეულოში უხმოდ ჩაუარა, შვილმაც არაფერი თქვა. საძინებლის კართან ტანსაცმელი გაიხადა და ნიფხვის ამარა ღრმა ძილს მიეცა. რძალი რომ მობრუნდებოდა, ძირს დაყრილ ტანსაცმელს აიღებდა, გარეცხავდა და გაფენდა. გამთენიისას, მზის პირველ სხივზე კი ნრუნუნა ჩუმად, უხმაუროდ, თითქოს არც არსებობდა, ისე შეაბიჯებდა აბაზანაში და წვერს სამართლებლით გაიპარსავდა. მერე საძინებელში ფეხაკრეფით დაბრუნდებოდა და ძალიან, ძალიან ნელა ჩაიცვამდა. გასვლამდე შვილიშვილს ლოყაზე აკოცებდა. ბოლოს ბერეტს დაიხურავდა. და იქამდე ედგებოდათ სული ნრუნუნას და ციცოს წუთი-სოფელი, სანამ განგება არ დაასრულებდა, ანდა თავიანთი ნებით არ დასრულდებოდნენ...

— ტაშტი მკვდარია, არა? — ვეკითხები მანანა დოლაქიძეს ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ერთ ტექსტზე მუშაობისას.

— არა, შვილო, — მიყურებს ქალბატონი მანანა თითის სისქე სათვალეებით, რომლითაც მარტო სინათლესა და სიბნელეს არჩევს და თან ეშმაკურად ეღიმება.

— არანცი? — ისევ ვეკითხები.
 — რატომაა, კაცო, მკვდარი?! — ისევ ეღიმება ქალბატონ მანანას, — აქაც იყო, თბილისში. მშვენივრად!

— უიმე, — ცოტა ხანი მჭირდება აზრების მოსაკრებლად, — მე ყველა დიდი მეცნიერი მკვდარი მგონია!

ორივე ვიცინით და მუშაობას ვაგრძელებთ.

ალბათ, იმიტომ, რომ სიტყვა „კლასიკოსი“ წარსულთან, დროის მიერ კარგად გამოცდილთან, იგივედება ქვეცნობიერად; ალბათ, იმიტომაც, რომ ჩვენი დროის ზოგ, როგორც უცხოელ, ისე ქართველ, საქვეყნოდ სახელგანთქმულ მწერალზე მე სულაც არა ვარ კეთილი აზრის; იმიტომაც, რომ არსობრივი, კონკრეტული კრიტიკა თანამედროვე ლიტერატურისა არ მაგონდება — რაც, რა თქმა უნდა, ჩემი უყურადღებობის ბრალიც შეიძლება იყოს... — ერთი სიტყვით, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ჩვენს გვერდით რომ კარგი — ვერა ებედ-

ზანათიდან წამოყვანილი ძროხა შესალა ვილაცას და გაუგესო. ახლა ბებიაჩემი იკლავდა თავს, ჩვენი და იროდი კუციას უშობლები მაგის წაყვანილიაო. გუჯუ კი ბუხს არა იფრენდა, ისე დადიოდა, როგორც ძველი დროის კეთილშობილი აზნაური. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ გუჯუ დარსალა მეველედ დანიშნა!

არსებობს სტილიზებული, ამდენად, ხელოვნური წერის სხვადასხვაგვარი მანერა, რომელიც დიდი ნიჭით, დიდი ინტელექტით, დიდი ინტენსიური მუშაობით მიღწეული მახასიათებელია ამა თუ იმ მწერლისა; არსებობენ მწერლები, რომლებიც შინაარსობრივი, არსობრივი თვალსაზრისით დაუჯერებელ სიღრმეებს აღწევენ, მაგრამ რომელთა ფორმობრივი, სტილისტური მხარე საგრძობლად დაუხვეწავი რჩება, რაც მთლიანობაში ნაკლად მაინც არ აღიქმება; არსებობენ მწერლები, რომლებიც, როგორც მხატვრები, სიტყვებით ხატავენ ულამაზეს სურათებს; და არსებობენ მწერლები, რომელთა წერის მანერას ძალიან პირობითად, მაგრამ მაინც შეიძლება, ვუწოდოთ ყოფითი ენით, ყოფითი ლექსიკით წერა. ეს დეფინიცია, რა თქმა უნდა, პირობითია, ვინაიდან ნებისმიერი ნაწერი მაინც დამუშავებული მოცემულობაა, ხოლო ზეპირი მეტყველება, ალბათ, უიშვიათესი გა-

დავით შენგელია

„ქურდი“, პასილ ბასელია და ჯერ კიდევ ცოცხალი მწერლები

ავ, ვთქვა, „დიდი“ — მწერალი შეიძლება ცხოვრობდეს, აღარ ველოდები.

მე პრაქტიკულად არ ვკითხულობ ფეისბუქის გვერდებზე გამოქვეყნებულ ნაწერებს. ვცდილობ, რომ არ წავიკითხო. ვცდილობ ძალიან, რომ არც რამე კომენტარი დავწერო და ფეისბუქი მხოლოდ ფოსტად გამოვიყენო. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ნაწერები აჩვენებს, რომ ჩვენ ყველა, პრაქტიკულად უგამონაკლისოდ, სრულიად ვართ დარწმუნებული საკუთარი მოსაზრების აბსოლუტურ მართებულობაში და ეს დარწმუნებულობა დაუნდობლობასთან არის შეზრდილი. დაუნდობლობასთან ლაპარაკს რა აზრი აქვს?!

ამიტომ მხოლოდ ცალ თვალს ვვლებ ფეისბუქზე გამოქვეყნებულ ერთ ნაწერს, რომელსაც სათაურიც კი აქვს — „ქურდი“. და უნებურად კითხვას ვიწყებ. ვკითხულობ, ვკითხულობ და ვერ ვჩერდები:

„— გაიგე, კაცო, გუჯუ დარსალის ცოლი მოუყვანია ამ სიბერეში. ვილაც გეჯეტელი, ორნაქმარევი, უშვილო ქალი გაჰყოლია, — გასაძახა ეზოდან ბებია ბაბუს.
 — ქალო, შენ გუჯუს ამბავს მიყვები თუ ბეკინა სამანიშვილისას?! რა იცი შენ, ვინაა ის ქალი?..“

— ამბობენ, თორემ მე რა ვიცი, პატრონი გუჯუს მოუკვდა! მაგის წაყვანილია ჩვენი უშობელი, მაგ ამოსაწყვეტის!
 ...თითქოს სიტყვებმა მოგიტაცეს, როგორც ნაკადმა...
 „გუჯუ ორმოცდათხუთმეტი წლის მაინც იქნებოდა. მუდამ ლურჯი ბოსტონის გალიფე ეცვა და მუქი ყავისფერი აზიაცკები. ყავისფერ კიტელზე ორივე მხარეს გულჯიბები ეკერა თავისი გადასაბნევი და ღილით. უმეტესწილად, ის მე ამ სამოსში მახსოვს. გრილ ამინდში კაბარდინის მაკინტოშაცმული დადიოდა.“

— რატომ არ ჩაიცვამა, დაია, საძოვარზე ძროხა არ დატოვა და ხბო! — ქირქილებდნენ სოფლის ქალები“.

...დუმბაძეა?..

„კობია კაცი იყო, გრძელი, აპრეხილი უღვაშით. ორჯერ იჯდა ციხეში. ერთხელ და მეორედ ხუთი წელი. პირველად მოპარული ცხენი დაუჭირეს, გურიაში გადაჰყავდა, მეორედ — ბანძის ბაზარში

მონაკლისის გარდა, არასოდეს არის ნანერით ჩამოქნილი.

ოპერატორები ხშირად აჩვენებენ ხოლმე დაკვრისას პიანისტების ხელებს. და ხანდახან, როცა, მაგალითად, პიანისტი ბახის ან მოცარტის ნაწარმოებს ასრულებს, გეგონება, ნოტები ისეთი სიმწყობრითაა ჩალაგებული, რომ ნოტებივე მთავრდებიან კლავიშებზე თითქოს. ყოფითი ლექსიკით მწერალიც თითქოს ისე უზრალად წერს, როგორც ყოველი ჩვენგანი საუბრობს და ასე წერაში განსაკუთრებული თითქოს არც არაფერია. მაგრამ ამ ყაიდის კარგი — ისევ ვერ ვბედავ, ვთქვა, „დიდი“ — მწერლის ნაწერშიც სიტყვები ისეთი სიმწყობრით, ისე მიჯრითაა ჩალაგებული, როგორც დიდი კომპოზიტორების მიერ დანერგილი ნოტები და ისეთსავე მელოდიურობას ანიჭებენ ნაწერს, მიუხედავად ლექსიკური უზრალეობისა.

არჩილ სულაკაურის „თეთრი ცხენისა“ და გიორგი პაპუაშვილის მოთხრობების კითხვისას ჩემთვის აღმოვაჩინე, რომ მწერლებს აქ დიალოგები არ გამოსდით. როდესაც ამბავს ყვებიან, მათი ენა და თხრობის მანერა არაჩვეულებრივია, ხოლო მათ მიერ გამოცემულ დიალოგებს დამაჯერებლობა აკლია და რამდენადმე ხელოვნურად შეკრებილი სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს, განსხვავებით, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის პროზისაგან, რომელშიც ამბის თხრობაცა და დიალოგებიც ერთნაირი დამაჯერებლობით არის გადმოცემული და არავითარი ლექსიკურ-სტილისტური სიყვავია — უხეში სიტყვაა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე — გაცდას არ ტოვებს. ალბათ, დიალოგის აგება კიდევ უფრო რთული უნდა იყოს მწერლისთვის.

ჯეკ ლონდონის — ძალიან დიდი მწერლის, რომელიც სრულიად უსამართლოდაა ოდენ საყვარელი-სათავგადასავლო მწერალთა რიგში ჩაყენებული — მოთხრობების კითხვისას შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მწერალი სიუჟეტად სინამდვილეში მომხდარ ამბებს იღებს. მგონია, რომ ის აკვირდებოდა ამბებს, რომლებიც მის გარშემო ხდებოდა, ან რომლებსაც მას მოუთხრობდნენ, არჩევდა აქედან რაღაც ნიმ-



ნით გამორჩეულ, მკითხველისთვის რალაც მახასიათებლებს გამო საინტერესოს და ამუშავებდა მათ. თუკი ვცდები და ან სულ არაა ეგრე, ან ჩემი ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივადაა მართებული, ფაქტია, რომ მისი მოთხრობების ფაბულა შეკრული და თხრობის ლოგიკა უაღრესად დამაჯერებელია.

2015 წელს ჟურნალ „არილი“ გამოქვეყნებულ თეა თოფურის ერთ შესანიშნავ რეცენზიაში ვკითხულობთ: „ორი ლაზარეს ზღაპარი, ავტორი — ირაკლი უგულავა“. ეს ნიგნი 1988 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა, 40 000-იანი ტირაჟით. მანეთი და 20 კაპიკი ღირებულა. მამინ ასე იყო, ტირაჟი — დიდი, ფასი — პატარა. ორივეს ერთად თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ ბევრს უნდა ჰქონდეს ნაკითხული, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ მახსოვს, ეს ნიგნი ვინმეს ეხსენებინოს. ავტორს ვერ მივაკვლიე, ირაკლი უგულავა ინტერნეტშიც ვეძებ, ლიტერატორებშიც ვაკვირებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამ კაცმა წლების წინ ერთი ძალიან კარგი ნიგნი დაწერა. 1938 წელს დაარსებული საბავშვო-ახალგაზრდული გამომცემლობა „ნაკადული“ ყოველ წელს 150 დასახელების ნიგნს გამოცემდა, გამოქვეყნებული ნიგნების საერთო ტირაჟი — 3 მილიონი, ხოლო თითო ნიგნის ფასი, შესაბამისად, კაპიკები იყო. გამომცემლობები თავიანთ საქმეს ასრულებდნენ — ისინი კარგი ნიგნების ნაკითხვის საშუალებას აძლევდნენ მკითხველს. მაგრამ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კრიტიკის უზომოდ დიდი ნაწილი ეთმობოდა არა ღირებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა პოპულარიზაციას, არამედ იმ მწერალთა თუ პოეტთა გაცემტვერებას, რომლებმაც კარიერა მთავრობასთან სიახლოვის გამო გააკეთეს და რომელთა ნაწარმოებებიც — არც მე ვიცი — არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდა. მე რომ კრიტიკოსი ვყოფილიყავი, ნამდვილად არ მომიხებოდა, დრო დამეკარგა ამ ტიპის მწერალთა და პოეტთა ნაწარმოებების კრიტიკით, რადგანაც ასეთი მკულატურა ყველა ეპოქასა და ყველა სახელმწიფოში იქმნებოდა და დროს თავად გაჰქონდა ის ლიტერატურული თვალსაზრისიდან. ამას გარდა, როდესაც ხელოვნების ნიმუშებზე ვლაპარაკობთ, ამოსავალი უნდა იყოს ლიტერატურის კარგი ნიმუშების პოპულარიზაცია და არა უფარგისი ნაწარმოებების გაუთავებელი კრიტიკა. თუ არა, არა ერთი მწერალი თუ პოეტი დარჩება მკითხველის ყურადღების მიღმა. „მე როცა ნავიკითხე — ვკითხულობთ იმავე რეცენზიაში — ალბათ, 12-13 წლის ვიყავი. მომეწონა და დამამახსოვრდა. ახლახან ბუკინისისტებში გადავანყდი, ვიყიდე, კიდევ ერთხელ ნავიკითხე და კიდევ უფრო მომეწონა“. მეც ასევე ქუჩებში გამოფენილ ძველ გამოცემებში გადავანყდი ვინმე — არ შეიძლება, ეს სიტყვა რომ არ ვიხმარო, იმდენად, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობ მწერალზე მინვეს ლაპარაკი — გიორგი პაპუაშვილის მოთხრობათა კრებულს „დედაჩემის ნაამბობი მოთხრობები“. ეს ნიგნიც 1977 წელს გამოუცია „ნაკადულს“, ამ ნიგნის ტირაჟი — 10 000, ხოლო ფასი 23 კაპიკი ყოფილა. ეს მოთხრობები ლექსიკური თვალსაზრისით ძალიან მდიდრული ქართულია დაწერილი, მაგრამ გიორგი პაპუაშვილი რომელიმე კრიტიკოსს ეხსენებინოს, არც მე მაგონდება. იმის თქმა მინდოდა, რომ კრიტიკოსთა მიერ უგულვებლყოფის გამო არა ერთი კარგი მწერალი თუ პოეტი დარჩა და დღესაც რჩება მკითხველის ყურადღების მიღმა.

„როდესაც ვინმე გიყვარს, უბრალოდ გიყვარს. და თუკი მეტი არც არაფრის მიცემა შეგიძლია, სიყვარულს მაინც ხომ აძლევ მას... ნინის ნინის ნინა (XVIII) საუკუნის ადამიანებს სულაც არ მოეჩვენებოდათ ეს ასე მნიშვნელოვნად — ისინი არც ლამობდნენ ისტორიის შეცვლას. ის ადამიანები ერთმანეთთან პირადი ერთგულების საკვრელებით იყვნენ დაკავშირებულნი და ამ კავშირთა სანდობაში არასოდეს დაეჭვებულან. მნიშვნელოვანი იყო პირადი, პიროვნული ურთიერთობები და სრულიად უბრალო ფესტი, გულში ჩახუტება, თვალზე ცრემლი, მომაკვდავისთვის ნათქვამი უბრალო სიტყვა, მათთვის, შედეგზე ფიქრის გარეშე, თავისთავად იყო ძვირფასი“ (ჯორჯ ორუელი, „1984“).

ჩემი უფროსი მეგობარი, ცისანა აბულაძე, მიყვებოდა, II მსოფლიო ომის დროს ისეთი გაჭირვება იყო, სტუმარს ჩაისთან შაქრის ნატეხს ან მურაბას თუ გამოუტანდა მასპინძელი, მდიდრულ ქეიფად ითვლებოდა, ისე კი, სტუმრებს ცარიელი ჩაით უმასპინძლებდნენ და ამ გაჭირვების ფონზე საუბრები სუფრასთან ამალბებულ თემებზე — პოეზიაზე, ლიტერატურაზე, სამშობლოზე საუბრით წარიმართებოდაო.

რეჟისორი გიორგი დანელია მოგონებებში წერს: II მსოფლიო ომის დაწყებისას დედამ სოფელს გამაგზავნა, რაკი გამოკვება იქ უფრო ადვილი იყო. დედა ძალიან ხშირად, შაბათ-კვირებით, ჩამოდიოდა ხოლმე. ერთხელაც ის სამხედრო სატვირთო მანქანას გამოყოფილა თბილისიდან მანგლისამდე, მანგლისიდან კი თვითონ უნდა წასულიყო ფეხით იმ სოფელს, სადაც მე ვცხოვრობდი. უკვე ხნელდებოდა და მანგლისში დედას პირველსავე გლეხის ჭიშკართან დაუძახია მასპინძლისთვის და უთხოვია, ამა და ამ სოფლამდე ხომ ვერ გაამაცილებოთ. გლეხმა ცხენი გამოიყვანა, დედაჩემი შესვა და თვითონ ფეხით წამოუძღვა. და როდესაც ჩვენს სოფლამდე მოვიდნენ, დედას გასამრჯელოდ ფული გაუნოდებია ამ კაცისთვის. გლეხს გალიმბია, ქალბატონო, თუკი ადამიანები ერთმანეთს არ დაევიხმარებები, აბა, ჩვენს ცხოვრებას რა აზრი აქვსო და ფული, რა თქმა უნდა, არ გამოურთმევია.

ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“ ნათლად ჩანს, დიდი გაჭირვების მიუხედავად, როგორ ურთიერთსიყვარულში ცხოვრობს ხალხი, როგორ არ ემინათ ხვალისინდელი დღის, მიუხედავად იმისა, რომ ომია და არავინ იცის, ხვალ საქმელი ექნებათ თუ არა...

„სულ მახსოვს — წერდა სწორედ წინა საუკუნის შესახებ ფეისბუქზე ივითი კუხინიძე — გუნდადეთის (ჭიათურის რაიონის სოფელია მაღალ მთაში) მალაროს მუშათა ავტობუსით მგზავრობა დილის 7 საათზე ჭიათურის ბაზრამდე და უკან! ავიდოდი თუ არა პატარა ძველისძველ ავტობუსში, 20 წყვილი თვალი სითბოთი და სიყვარულით შემომაცქერებდნენ, რაკი იცოდნენ, რომ მათი საყვარელი ექიმის რძალი ვიყავი, „ქეთუშა მამიდას“ (ნაცნობი თუ უცნობი — ყველა „მამიდას“ ეძახდა). მეც მოვკალაბდებოდი ადილაგადაფარებულ ცარიელ სკამზე, ან რომელიმე მალაროელთაგან აუცილებლად მითმობდა ადგილს და პერი ჭიათურისკენ! ჩემს თანამგზავრებს მსხვილი, დაკოწრეული ხელები ჰქონდათ, შუბლი — ნაოჭებით დაღარული, შაბათ-კვირას ეზო-კარის მინაზე, ხოლო სამუშაო დღეებში მალაროში მუშაობით დალილები ისეთი მხიარულები და მოსიყვარულები იყვნენ, ისეთი ლაღობით ემუხავებოდნენ და ეხუმრებოდნენ ერთმანეთს, რომ სწორედ ეს ურთიერთობა ჩამრჩა მესხიერებაში, როგორც ნამდვილი, გულმართალი, ალალი, გულწრფელი სიყვარულით გაჯერებული ურთიერთობა! ერთი სიამოვნება იყო მალაროელებთან ერთად მგზავრობა და იმ მიხვეულობისგან გზებზე ჯანჯღარი! ვუძვებოდი დაბლა, ვუახლოვდებოდი „ჭიაა თუ რაი?“-ს და აღტკინება მატულობდა — მუშაკაცის დიდი ნაბიჯებით მიაბიჯებდნენ მალაროებისკენ ჩემი თანასოფლელები, იცინოდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, ერთი სიტყვით, შრომაზე უხაროდით და ცხოვრებაც! რაც მთავარია, ერთად იყვნენ, ერთობით იყვნენ, ერთად შრომობდნენ, ერთად უხაროდით, ერთად სწყინდათ!..“

კი, ახლა ყველაფერი ვთქვი ვასილ ბესელიას იმ ორადორი მოთხრობის დასახასიათებლად, შემთხვევით რომ გადავანყ-

დი ინტერნეტში. ერთის სათაური „ქურდია“ და მეორისა — „ლეილა მასწავლებელი“. ორივე მოთხრობა უბრალო, მაგრამ სულშიჩამწვდომი, როგორც ოტია პაჭკორია იტყოდა — პოეტის მიერ პროზაული ქართულითაა დაწერილი. ორივეში დიალოგებიც ისეთივე დამაჯერებლობითაა გადმოცემული, როგორც თხრობითი ნაწილი. ორივედან ის სითბო და სიკეთე იღვრება, რაზეც ზემოთ — ეგება, ზედმეტადაც — ბევრი ვილაპარაკე. ორივეს სიუჟეტიც დამაჯერებლადაა შეკრული და მეც არ გამჩენია ეჭვი, რომ მოთხრობილი ამბები სინამდვილეა. თუმცა!.. თუმცა მეორე მოთხრობაზე, „ლეილა მასწავლებელზე“, ორი სიტყვა კიდევ მინდა, ვთქვა.

ამ მეორე მოთხრობაში გადმოცემულია ამბავი მასწავლებელ ლეილასი, რომელსაც ძიხად უწევს ნასვლა თურქეთში, რადგან საქართველოში სამსახური დაკარგა, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ და არავითარი ობიექტური მიზეზი მისი სკოლიდან გაშვებისა არ არსებობს. იქ მის შვილობილსაც, პატარა ბავშვს, და მის პატრონებსაც ძალიან შეუყვარდებოდათ გამზრდელი. გარკვეული დროის შემდეგ ეს მოხუცი ქალი საქართველოში ბრუნდება. რალაც დროის შემდეგ მის გაზრდილ თურქს ლეილა მასწავლებლისთვის ძალიან დიდი თანხა მოაქვს, საზღვარზე პოლიციის კაიკაცობის გამო ციხეში ხვდება საკმაო ხნით და როცა თავისუფლდება, ანუ არაკაც მტკიცდება, რომ კრიმინალთან მას არავითარი კავშირი არა აქვს, მაინც მოაქვს ფული და რაკი ლეილა მასწავლებელი უკვე გარდაცვლილია, ამ ფულს უკვე ლეილას მიერ ანდერძით დაბარებულ ადამიანს გადასცემს.

ამ მოთხრობაში არაერთი საკითხია: როგორ აგდებენ ჩვენს ქვეყანაში მასწავლებელს სკოლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად ასწავლის; როგორ ხდება აბუნად ასაგდები ბავშვებისთვის ის, ვინც სიტყვა „დაგუგლვა“ არ იცის — ანუ რამდენად ხეპრე თაობა მივიღეთ უკვე; როგორ ხდება იძულებული საკუთარი საქმის კარგი მცოდნე, თან არც ისე ახალგაზრდა ქალი, უცხოეთში ეძებოს სამადლოდ სამსახური, რადგან სახელმწიფოს მიერ მიცემული გროშებით ცხოვრება შეუძლებელია; როგორ უწყდება გლეხს ფუტკრები უფარგის შესანამლის გამო და როგორ რჩება ის ბედის ანაბარა... და ყველაფერი ეს იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც საყოველთაო მოვლენებია და არა ერთეული შემთხვევები; და რით უნდა დამთავრდეს იმ სახელმწიფოს არსებობა, სადაც ასეთი ფაქტები საყოველთაოა?.. მაგრამ ყურადღების გამახვილება სხვა რამეზე მინდოდა.

მე თვითონაც მინახავს — ბევრი არა, მაგრამ მინახავს — ძიხები, რომლებსაც მართლა უყვართ ბავშვები. ამდენად, ისიც სრულიად დამაჯერებელია ამ მოთხრობაში, რომ ბავშვს გამზრდელი ძალიან უყვარს. მაგრამ ვედარ ვიჯერებ იმას, რომ ერთი ადამიანი სხვას უბრუნებს ამდენ ფულს მამინ, როცა სულ ადვილად შეუძლია თავისთვის დატოვება. აი, ამას ვერ ვიჯერებ... არა და ეგრე იყო!..

მე არ ვარ ცუდი მკითხველი, მაგრამ არც ისეთი ვარ, ასობით გვერდს რომ კითხულობენ დღეში. ამიტომ, თითქოს, სულ ადვილად შეიძლება, რომელიმე მწერალი, მით უმეტეს, თანამედროვე, ყურადღების მიღმა დამრჩენოდა. მაგრამ ვასილ ბესელიაც ისეთივე პოპულარიზებული რომ ყოფილიყო, როგორც სხვა, თანამედროვე მწერლები და პოეტები, რომელთაც მუდმივად ვუყურებთ ამა თუ იმ ტელეარხზე, ამ კაცის სახელი და გვარი მაინც მეცოდინებოდა. და რაკი რიგითი მკითხველი სრულიად შემთხვევით გადავყარე ამ კაცის მოთხრობებს, იმის თქმის უფლებას მივცემ თავს, რომ ლიტერატურის ახლანდელი კრიტიკოსებიც ისევე ვერ ასრულებენ საკუთარ მოვალეობას, როგორც წინა საუკუნეში — ამ ადამიანს ეკუთვნის, რომ ჩემნაირი რიგითი მკითხველები იცნობდნენ.

მე ერთი-ორჯერ ვუთხარი ახალგაზრდა პოეტ დავით სულთანისვილის შესახებ ჩემს იმ მეგობრებს, რომლებსაც წიგნის გამოცემასთანაც აქვთ კავშირი და რომელთათვის ჩემს ნათქვამსაც აქვს წონა. არ მინდა მაღალფარდოვანი ეპითეტების გამოყენება, ასეთი ეპითეტები ყოველთვის სიყალბის შეგრძნებას ტოვებს, მაგრამ, ჩემი აზრით, დავით სულთანისვილი... მოკ-

ლედ, საჭიროა ამ ახალგაზრდა პოეტის მხარდაჭერა! თქმით კი ვუთხარი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთი სიტყვით, პოეზიაზე საუბარი ცუდადაა მაქვს დაცდილი. ამას გარდა, ლექსებზე ლაპარაკი სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს, მე კი ისედაც ბევრი ვილაპარაკე. ამიტომ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ვასილ ბესელიას ლექსების ერთი კრებულიც ჰქონია გამოქვეყნებული.

სანამ ეს წერილი დაგწერე და რედაქციაში გაგზავნას დაეყენე საშველი, „ლიტერატურულ გახეობაში“ ვასილ ბესელიას სხვა მოთხრობები გამოუქვეყნებიათ: „როიალი“, „ჭუჭყის სუნი“, „ხუბუჩია“, „პეპელა“. ინტერნეტში მის კიდევ ერთ მოთხრობას გადავანყდი — „წინიყურე“. ნავიკითხე. ნავიკითხე და მივხვდი, რომ რაც უკვე დანერვილი მქონდა ამ მწერალზე, სწორად დამინერია. ალბათ, სამომავლოდ ამ მოთხრობებზეც დავწერ რამეს, ან სხვა დამასწრებს. ამ ჯერისთვის საკმარისი მგონია, თუ მწერალ ვასილ ბესელიასადმი რიგითი მკითხველის აღფრთოვანების გადმოცემა მოვახერხებ.

P.S. წერილში ერთგვარად საყვედური გამოვთქვი XX საუკუნის ქართული კრიტიკის შესახებ და შეიძლება, შემომედავონ, რომ ამ კრიტიკოსთა სამიზნე იმიტომ იყო დასახელებული ტიპის ლიტერატურა, რომ ის იმდროინდელი იდეოლოგიის პროპაგანდას წარმოადგენდა და კრიტიკოსებიც ამ იდეოლოგიას ებრძოდნენ. პოლიტიკაზე ლაპარაკი, ნამდვილად, ძალიან შორს წავიყვანდა. ფაქტი ისაა, რომ კრიტიკოსები — მე აქ ვგულისხმობ მხოლოდ ყველაზე პროდუქტიულ კრიტიკოსებს — ამას აკეთებდნენ ღირებულად, მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოებების პოპულარიზაციის ხარჯზე. როდესაც ასეთი XX საუკუნის ლიტერატურულ კრიტიკას ვეცნობთ, მკითხველს გვიჩნდება წარმოდგენა, რომ XX საუკუნეში, გარკვეული გამოწვევის გარდა, მხოლოდ მდარე ხარისხის პროპაგანდისტულ ლექსებსა და რომანებს წერდნენ საქართველოში. და ეს რიგითი მკითხველის შეცდომამაა შეყვანა. ვფიქრობ, რომ დაუფასებელი დარჩა არჩილ სულაკაური, რომელსაც მარტო „სამამურას თავგადასავალი“ არ დაუნერია. პოპულარიზაციის მიღმა დარჩნენ თამაზ ბიბილური, ჯემალ ქარჩხაძე, ოთარ ჩხეიძე, გიორგი შატერაშვილი... შემთხვევით ჩამივარდა ხელთ გიორგი პაპუაშვილისა და კარლო კობერიძის საბავშვო, ძალიან მდიდრული ქართულით დაწერილი, ნიგნები. შემთხვევით გადავანყდი ირაკლი უგულავას ზღაპარსაც და თეა თოფურისა მართლაც ძალიან კარგ რეცენზიასაც, რომელიც ისევე ნაკარგული ინტერნეტსივრცეში, როგორც ის მწერალი, რომელზეც თეა თოფურია ასე გულისტკივილით ლაპარაკობს. მშვენიერ საბავშვო პოეტებზე — მაგალითად, ცირა ქიტიაშვილზე — ლიტერატორთა შეფასებები არ მაგონდება. არადა, ქართული ლიტერატურა ბავშვებისთვის სწორედ ამ მოთხრობებით, ლექსებითა და რომანებით უნდა გვესწავლებინა, ვინაიდან სკოლაში ენის სწავლების მთავარი ამოცანა ხალასი საბავშვო თემატიკის, მდიდრული ენით დაწერილი ნაწარმოებების შტუდირება უნდა იყოს. სხვაგვარად როგორ უნდა განუვითარდეს მოსწავლეს ლიტერატურული გემოვნება?..

XX საუკუნის კრიტიკის შესახებ თამაზ ბიბილური წერდა: „ლიტერატურისადმი ზერელე დამოკიდებულება ან დრამილი, რომელმაც დიდად დაუბაზალა ლიტერატურა, მხოლოდ მძიმე წარსულს არ უნდა მიენეროს. თუ ამას ვიტყვით, აშკარად (შეგნებულად თუ შეუგნებლად) თვალს დავხუჭავთ იმაზე, რაც ლიტერატურის შიგნით ან მის ირგვლივ ხდება... მხატვრული კრიტიკის მიმართ ამგვარი მოშლა თუ აღრევა, რაც დღეს (XX საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიან წლებში) ხდება, ჯერ არ მახსოვს. ნამდვილი ლიტერატურა წიგნის ბაზარზე დღითიდღე უფრო ქრება, ფსევდო-ლიტერატურა, ანუ ნიგნები, რომელთაც შორეული ნათესაობაც კი არა აქვთ ლიტერატურასთან, ნალევიან გვემუქრება... ალბათ, ძალზე გამიწყობიან კრიტიკოსები, თუ ასე ვიტყვი: ჩვენს კრიტიკაში ჯერ კიდევ თემური ნყობილებაა გამოყვებული... სამწერლო სამყაროზე გადმოხობილია მრავალი ვინმე... და მათში იკარგებიან ნამდვილი მწერლები“...

მთარგმნელი

თაკო ჭილაძე

„დაიბეჭდა თაკოს წერილი ამერიკელ მუსიკოსზე. კითხვა შიშით დაიწყო და აღფრთოვანებულმა დავამთავრე. ასეთი სტატიები რომ იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთებში, საკმაოდ მაღალი დონის პრესა გვექნებოდა — წერდა ოთარ ჭილაძე ზვილზე — თაკო, რა თქმა უნდა, გამონაკლისია, მაგრამ ამინდს (დონეს, გემოვნებას, სტილს) გამონაკლისები ქმნიან სწორედ. ასე რომ, გამონაკლისი ნაკლი კი არა, ღირსებაა“. უკეთესი წარდგენა რა უნდა იყოს, ან მეტად საინტერესოს რა დაამატებ?

მთარგმნელი თაკო ჭილაძე დღეს ჩვენი რესპონდენტი, საყვარელ საქმეზე ილაპარაკებს. მასთან პირველი შეხვედრა სწორედ თარგმანის გამო გადაიდო — ფილდინგის „ტომ ჯონსი, ნაპოვარას ამბავი“ უნდა დაესრულებინა და დრო არ ითმენდა. იქნებ ამ ინტერვიუს გამოქვეყნების დროისთვის წიგნი „ინტელექტს“ უკვე გამოცემულიც ჰქონდეს. ჩვენც ფილდინგით დაიწყებთ...

საუბრის დროს აღმოვაჩინე, რომ მისი პასუხები ჩემს კითხვებზე გაცილებით მოკლე იყო. პრეზენტაციებიც ამიტომ არ მიყვარსო, მითხრა, რასაც გინდა, ვთარგმნი, ოღონდ ნუ მალაპარაკებო...

და მიუხედავად იმისა, რომ საჯარო გამოსვლა არ უყვარს, ინტერვიუებზეც ძნელად თანხმდება და, ზოგადად, მორიდებული ადამიანია, თარგმანებში მაინც ვერ დაიშლება მისი პროფესიონალიზმი.

აკი მამასაც ჩაუწერია იმ 1995 წლის დღიურში: „ნიჭი პროფესიონალიზმის გარეშე ლამაზი სათამაშოა, რომელიც არც ზნეს იცვლის, არც ფერს, რის გამოც, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება, მოსაწყენიც აღმოჩნდეს“.

— მოდი, ბოლოდან დაიწყოთ: პენრი ფილდინგის რომანი „ტომ ჯონსი, ნაპოვარას ამბავი“ მალე გამოვა, „ლიტერატურულ გაზეთში“ რომანიდან ფრაგმენტებიც დაიბეჭდა. ალბათ ყოველი ავტორი, ყოველი ტექსტი მთარგმნელისთვის სრულიად ახალი გამოცდილებაა, მათი თარგმნის პროცესიც განსხვავებული იქნება. საინტერესოა, როგორ ან რამდენ ხანს იმუშავეთ „ტომ ჯონსზე“, რა სირთულეები შეგხვდათ, რა ტიპის შემოქმედებითი პროცესი იყო ეს და, ზოგადად, რა შთაბეჭდილება დატოვა რომანმა თქვენზე?

— დაიწყოთ იმით, რომ ზუსტად ერთი წელი მოვანდომე რომანის თარგმნას. ფილდინგი ძალიან დიდი მწერალია. ბევრი ლაპარაკი, მგონი, არ არის საჭირო, უკვე იმდენი ითქვა და დაინერა მასზე, რომ არც ვიცი, რა დავამატო, გარდა ჩემი პირადი შთაბეჭდილებისა: ალბათ ყველას გექონია განცდა რომელიმე დიდი რომანის კითხვისას — ამაზე ხომ ჩვენც გვიფიქრია, თუმცა ვერასოდეს შევძლებდით, გამოგვეთქვა. მე პირადად არაფერი გამომიტყვამს, აზრადაც არ მომსვლია ის, რაც ფილდინგთან შემხვდა. უდიდესი მწერალია და ძალიან მინდა, ახალგაზრდებმა წაიკითხონ. ნუ შეაშინებთ, მე-18 საუკუნეში რომ დაინერა — როგორც ყველაფერი გენიალური, ისიც ძალიან თანამედროვეა. რთული ენაა საკმაოდ, თუმცა ავტორის იუმორი აადვილებს საქმეს და ყველანაირი სირთულე ადვილი გადასალახი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ თარგმნას დროც დასჭირდა და შრომაც, მაინც დიდი სიამოვნება მივიღე ტექსტზე მუშაობით.

— სავარაუდოდ, სქელტანიანი გამოცემა იქნება, ხომ?

— 1000-გვერდიანი წიგნი გამოვა, მაგრამ არ მინდა, ამ სიდიდემ შეაშინოს მკითხველი. მით უმეტეს, ამბავია ძალიან საინტერესო და მეორე ნაწილში ერთდროულად იმდენი რამ ხდება, რომ სულის მოთქმას ვერ მოასწრებს მკითხველი.

— ძალიან საინტერესო წერილი გაქვთ თარგმნელი — ოლდოს ჰაქსლის „ტრაგედია და სრული სიმართლე“. ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ნოველისტი ჰაქსლი ლაპარაკობს ეგრეთ წოდებულ ლიტერატურულ სიმართლეზე და ახასიათებს მას, როგორც მკითხველისთვის მისაღებ ალბათობას, როცა ნაწარმოებში აღწერილი განცდა ახლოს არის ჩვენს პირად ან პოტენციურ განცდასთან — თქვენც ხომ სწორედ ამ გამოცდილებაზე ლაპარაკობდით. კარგი ხელოვნება ზესი-

მართლეს მოიცავსო, ამბობს წერილის ავტორი და ზემართალ ავტორებს შორის, პომპროსის გვერდით, სწორედ ფილდინგს ასახელებს.




— ჰაქსლის ყველაფერში ვეთანხმები. მას გენიალური ესეები აქვს და მათგან გამორჩეულია „ტრაგედია და სრული სიმართლე“. რაც შეეხება პომპროსს, მართლის მთქმელი კაცი რომ იყო, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი?! ხოლო ფილდინგი, არა მარტო მართლის მთქმელი, პირში მთქმელი ადამიანი გახლდათ. სხვათა შორის, მისმა პიესებმა, კონკრეტულად კი „ოქროს დამქაშებმა“ — არ ვიცი ქართულად რამდენად ზუსტი სათაურია — აიძულა ინგლისის პარლამენტი, 1737 წელს მიეღო კანონი, რომლის ძალითაც თეატრს ცენზურას დაუნესებდა და სცენაზე მთავრობის საწინააღმდეგო პიესების დადგმას, მთავრობის მიმართ სატირას აკრძალავდა. ასეთი იყო ფილდინგი. მის ნაწარმოებშიც ყველაფერი შეუღამაზებლად და პირდაპირ არის ნათქვამი.

— აქვე გკითხავთ ოლდოს ჰაქსლისა და მის წიგნზე „დრო უნდა ჩერდებოდეს“, რომელიც 2017 წელს თარგმნეთ. თქვენ მიერ გადმოქართულებული მისი არაერთი წერილიც წამიკითხავს. ვფიქრობ, განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ მის მიმართ. იქნებ ორიოდ სიტყვა მითხრათ ამ რომანის შესახებ? როგორც ვიცი, ჰაქსლის 100 წლის იუბილესაც დასწრებშია 1994 წელს ლონდონში.

— 90-იან წლებში დიდად გატაცებული ვიყავი ჰაქსლით. სამწუხაროდ, მაშინ არ

იყო ინტერნეტი, ვერ ვმოულობდით სასურველ წიგნებს და რაც ხელთ ჩამივარდებოდა, ყველაფერს დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი. განსაკუთრებით მისი ესეები მიყვარდა. სხვათა შორის, ჰაქსლიც აღიარებს, რომ ესეისტი უფროა, ვიდრე რომანისტი, ამ რომანზე კი ამბობს, ყველაზე წარმატებული გამოდგა იმისთვის, რომ იდეა შერწყმულიყო ამბავთან. ვიტყვოდი, მეც განსაკუთრებულად მომეწონა ეს ნაწარმოები, თუმცა უფრო აღიარებულ რომანებად სხვები მიიჩნევა, მათ შორის „კონტრაპუნქტი“. რაც შეეხება ოლდოს ჰაქსლის იუბილეს, 1994 წელს ის 100 წლის შესრულდა და ამ თარიღთან დაკავშირებით ლონდონში ჩასულმა გავიცანი მწერლის შემოქმედების ერთადერთი ექსპერტი დევით ბრედფორდი. მას ორჯერ შევხვდი. მასხოვს 6 თვით ადრე მითხრეს, რომ 12-ის 20 წუთზე შემხვდებოდა თავისი კაბინეტში... შემდეგ მის ლექციას დავესწარი, ოქსფორდში კითხულობდა თანამედროვე კლასიკას, ამჯერად ვირჯინია ვულფზე ლაპარაკობდა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რატომღაც ველოდი დიდ აუდიტორიას და აღმოვჩნდი მის კაბინეტ-



ში, ძალიან მეგობრულ გარემოში, სადაც სტუდენტები იატაკზე ისხდნენ. მაშინ წავინუწუნე, ახლა ვიყიდე ჰაქსლის „დრო უნდა ჩერდებოდეს“, რომელიც აქამდე არ წამიკითხავს-მეთქი. სწორედ იმ წელს, მწერლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოიცა ჰაქსლის სრული შემოქმედება ხელმეორედ დევით ბრედფორდის წინასიტყვაობით, რომელიც ყველა ტომს ახლავს... და როცა წიგნზე დავიჩვიე, უმაღლესი გავიდა გვერდით ოთახში და ახალგაზრდა მწერლის ტომელები გამომიტანა. ასეთი საჩუქარი ცხოვრებაში არ მიმიღია-მეთქი, ვუთხარი. მაშინ წერდა წიგნს „იდუმალი ჰაქსლი“, რომელსაც შემპირდა და მოგვიანებით გამოვიგზავნა კიდევ. უკვე დაწყებული მქონდა ჰაქსლის რომანის თარგმნა, ამან ძალიან გაახარა, თუმცა თარგმანის დაბეჭდვას ვერ მოესწრო, ორი თვით ადრე, 60 წლისა გარდაიცვალა.

სასიამოვნო სიურპრიზი დონალდ რეიფელმაც მომიწყო. მამამ წიგნი გამატანა მასთან და „ქუინ მერი კოლეჯში“ მივიკითხე. როცა გაიგო, რატომ ვიყავი ლონდონში, გადამწყობა, გავეხარებინე და წამიყვანა ერთ ძალიან საინტერესო ადგილას... ლონდონიდან არც ისე შორს ვნახე სახლი, რომელიც ჰაქსლის თავის პირველ რომანში, „ყვითელ ქროში“, აქვს აღწერილი. მეც ამ რომანით გავიცანი ჰაქსლი და დიდი შთაბეჭდილება მივიღე, როგორ გაცოცხლდ-

ნენ რომანის პერსონაჟები ჩემ თვალწინ. საერთოდ, ის ერთი თვე სავსე იყო შთაბეჭდილებებით, ვნახე ყველაფერი, რის გამოც ინგლისი და ინგლისელები მიყვარს — რამდენიმე კარგი სპექტაკლი, „ალბერტ ჰოლმი“ ერიკ კლაპტონის კონცერტს დავესწარი, ები როუდი „გადავკვეთე“, „ჩელსის“ და „უიმბლდონის“ თამაშზეც ვიყავი, ყველაზე წყალნაღბული გუნდის „უიმბლდონის“ გულშემატიკვარმა დამპატიჟა — „უიმბლდონმა“, რა თქმა უნდა, წააგო, სამაგიეროდ, „ჩელსიმ“ ძალიან მასიამოვნა.



— ჰაქსლის შემდეგ თქვენ იმუშავეთ ჯონ სტაინბეკსა და თომას ვულფზე. 2017 წელს სტაინბეკის „კონსერვის რიგი“ თარგმნეთ, ორი წლის შემდეგ კი ვულფის „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“. ვფიქრობ, შესაძლებელია ამ ორ რომანზე ერთდროულად საუბარი, აკი ორივეში გასული საუკუნის 30-იანი წლები ცოცხლდება — ერთგან მოქმედება ამერიკაში „დიდი დეპრესიის“ პერიოდში ვითარდება, მეორე რომანიც „დიდი დეპრესიისა“ და ფაშიზმის საფრთხის წინაშე მდგომ ადამიანზე მოგვითხრობს.

— რაც შეეხება სტაინბეკს, მე პირადად, მისი პატარა რომანები უფრო მიყვარს — „კონსერვის რიგი“, „ტორტილა-ფლეტის კვარტალი“, „ზამთარი ჩვენი მღვდელმთავრისა“. „კონსერვის რიგი“ ავტორი შედარებით მსუბუქად ეხება ამ თემას, რა თქმა უნდა, დეპრესიის გამო იქცნენ მთავარი გმირები მანანალებად, თუმცა როგორც უნდა დაჩაგროს ისინი ბედმა, ღირსებას მაინც არ კარგავენ და ძალიან სიმპათიურ პერსონაჟებად რჩებიან. მინდა, აღვნიშნო, რომ წიგნი გამოსცა „არტანუჯმა“, რედაქტორი კი ზვიად კვარაცხელია გახლდათ. ჩვენ ბობ დილანის „ქრონიკებზეც“ ერთად ვიმუშავეთ და მინდა, ვთქვა, რომ მასთან თანამშრომლობას ძალიან კარგად ვიხსენებ. ზვიადს აქვს საოცარი ლიტერატურული ალღო და გემოვნება. ისეთ ნიუანსებს დაიჭერს ხოლმე, მხოლოდ საუკეთესო მკითხველი რომ შეამჩნევდა. რაც მთავარია, ის არა მხოლოდ კარგი მკითხველი და რედაქტორი, არამედ მშვენიერი მწერალი და ნიჭიერი კაციცაა.

— რაც შეეხება ვულფის რომანს „შინ ველარასოდეს დაბრუნდები“, მწერლის ბოლო ნაწარმოებია, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1940 წელს გამოიცა...

— ვულფის რომანი სრული საოცრებაა, იმიტომ, რომ 1936 წელს დაინერა, როცა მართალია ჰიტლერი უკვე ანგარიშგასანევი ფიგურა იყო, მაგრამ ჯერ არაფერი მოასწავებდა იმას, რაც შემდგომში მოხდა. ვულფი კი ყველაფერს მიხვდა, წინასწარ დაინახა. არ ვიცი, რა უნდა ვთქვა იმის გარდა, რომ ეს წიგნი აუცილებლად წასაკითხია. საერთოდ, ვულფი ძალიან მიყვარს, სადიპლომო ნაშრომიც სწორედ ამ რომანზე მაქვს. ეს იყო აბსოლუტური სასწაული ჩემთვის, რომ ამ კაცმა ბევრად ადრე არათუ გერმანიის მომავალი განჭვრიტა, არამედ ისიც, თუ რა ელოდა მსოფლიოს... გაფრთხილებასავით ჟღერდა ვულფის რომანი, მაგრამ...

— როგორც ვთქვით, ვულფის რომანის გმირი საკუთარი თავის პოვნის სურვილს ჯერ ნიუ-იორკში ჩაჰყავს, შემდეგ ლონდონში, იქიდან კი — ბერლინში. საკუთარი თავის ძიებაშია სალ ფარადიზიც, კერუაკის მოგზაური გმირი. საკულტო რომანი „გზაზე“, შეიძლება ითქვას, თქვენი თარგმანით გაიცაო მკითხველმა 2012 წელს. როგორ მუშაობდით მასზე, რა



შთაბეჭდილება მოგვცაბთ დღემდე? ლიტერატურა ალბათ ერთგვარი მოგზაურობაა, რომელსაც მკითხველი საკუთარი თავის შეცნობამდე მიჰყავს...

— კერუაკზე რა შემოიძლია ვთქვა — XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში. ბუმბერაზი მწერლები ჰყავთ, მაგრამ ბიტნიკების თაობაზე პირადად არ მხიბლავს. კერუაკი დიდი სიამოვნებით ვთარგმნე. ის, რა თქმა უნდა, გამორჩეული ავტორია, თუმცა ვულფს, ფოლკნერს, ჰემინგუეის, უფრო გვიანდელი წლების აპდაკის ვერ შევადარებ. შეიძლება, ეს ჩემი ნაკლია, მაგრამ ასეა. თარგმანის სირთულეებთან დაკავშირებით მკითხეთ და — კერუაკზე გეტყვით: კერუაკი ფლეგმატური კაცი იყო, მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, ამერიკის საზღვაო ფლოტში ჩაირიცხა, თუმცა რამდენიმე დღეში სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს, შესაბამის დოკუმენტში ოფიციალურ მიზეზად „ინდიფერენტული განწყობა“ ჩაიწერა. და ნანარქობებიც ისეთია... როგორც ამბობენ, ჯაზის რიტმში დაწერილი, ცოტა მონოტონური. თარგმნისას მივხვდი, სწორედ ეს სტილი, ხასიათი შემეწინარჩუნებინა ტექსტისთვის. განა რა არის მთარგმნელის საქმე? სტილი და განწყობა უნდა შეინარჩუნოს თარგმანში, სხვა არაფერი გვევალება. ძალიან ვეცადე და, მგონი, მშვენივრად გამოვივიდა.

— მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თქვენს, როგორც მთარგმნელის, ბიოგრაფიაში დოკუმენტურ პროზას. ვფიქრობ, თუკი ვინმეა ამ ჟანრის ავტორებში გამორჩეული, ყველა თარგმნილი გყავთ, დაწყებული როი ჯენკინსით, გაგრძელებული პიტერ აკროიდითა და რენდელ კინკინით. სხვადასხვა დროს გიმუშავიათ რონალდ რეიგანის, მარგარეტ ტეთჩერის, ბობ დილანის ბიოგრაფიებზე. თქვენი, როგორც მთარგმნელის დებიუტი კი 2011 წელს როი ჯენკინსის „ჩერჩილი“ შედგა. იქნებ გაიხსენოთ, როგორ იწყებდით მთარგმნელობის საქმეს?

— სიამოვნებით გავისხეხებ. მე-6 კლასიდან ვთარგმნი და ბავშვობიდან მთარგმნელობა მინდოდა. 70-იან წლებში გამოდიოდა ჟურნალი „ანგლია“, რომელიც მაჩვენებდა ჩემი ხათრით გამოიწერა. ჟურნალის ბოლო გვერდებზე იბეჭდებოდა ხოლმე თანამედროვე ინგლისელი ავტორების პატარა-პატარა მოთხრობები და ხშირად ვთარგმნიდი. ჩემი შედგენილი ლექსიკონები მქონდა, იდიომებს, ლამაზ ფრაზებს ვინერდი — ჩემს ჭიას ვახარებდი. ასე რომ, დიან, დებიუტი ერქვა 2011 წელს გამოცემულ როი ჯენკინსის „ჩერჩილის“ ორტომეულს, მაგრამ სინამდვილეში თარგმნა გაცილებით ადრე დავინყე, სხვათა შორის, ჰაქსლის რომანზე მუშაობასაც ბევრად ადრე შევეუდექი, ვიდრე გამოქვეყნდებოდა. რა მინდა, გითხრათ დებიუტთან დაკავშირებით: „ჩერჩილი“ „ქართული ბიოგრაფიული ცენტრის“ პროექტის ფარგლებში გამოიცა, სერიას ერქვა „100 ადამიანი, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“, ამ სერიისთვის რამდენიმე სხვა ავტორიც ვთარგმნე. თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ეს იყო არა ერთ-ერთი საუკეთესო, არამედ საუკეთესო პროექტი. სარედაქციო ჯგუფი ნამდვილი პროფესიონალებისგან შედგებოდა. მახსოვს, ხათუნა მიქაბერიძეს შევხვდი პირველად, როცა ჩერჩილის ბიოგრაფიის თარგმნა შემომთავაზეს. ნამით არ მიგრძნია, რომ ახალბედა, ყველასათვის უცნობი მთარგმნელი ვიყავი, რაც მის მინაგან კულტურაზე მიანიშნებს, ჩემთვის

კი ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე კარგი ჰონორარი. იქ ერთნაირი კეთილგანწყობითა და პატივისცემით თანამშრომლობდნენ ნებისმიერ სპეციალისტთან, ცნობილი იყო ის თუ უცნობი. ძალიან დიდი საქმე მანდვეს — ეს იყო სერიის ყველაზე მსხვილი წიგნი. „ჩერჩილი“ ჩემს ყველაზე საყვარელ და ყველაზე კარგ თარგმანად მიმაჩნია. იმავე სერიისთვის ვთარგმნე პიტერ აკროიდის „შექსპირი“, რონალდ რეიგანის ავტობიოგრაფია „ამერიკული ცხოვრება“, რენდელ კინკინის „დარვინი“... და იქ გავიცანი თამუნა თითმერია, ჩემი პირველი რედაქტორი, რომელთან ერთადაც დაახლოებით ათზე მეტ წიგნზე ვიმუშავე. თამუნა არაჩვეულებრივი რედაქტორია, თვითონაც საუკეთესოდ თარგმნის, ძალიან კარგად გრძნობს ტექსტს, ზუსტად იცის, რაზე შეიძლება, დახუჭო თვალი და როგორ უნდა შეინარჩუნოს თარგმანში ის, რაც მთავარია — მწერლის განწყობა, თხრობის სტილი, ხასიათი... ყველაფერთან ერთად, თამუნა არაჩვეულებრივი ადამიანია.

— დოკუმენტურ პროზაში თქვენ მიერ თარგმნილი ავტორებიდან კიდევ ვის გამოარჩევდით?

— დოკუმენტური პროზიდან გამოვარჩევდი ჯონ კენედის ბიოგრაფიას. სამწუხაროდ, პროექტი შეჩერდა და სტამბისთვის გამზადებული ეს წიგნიც გამოუქვეყნებელი დარჩა. უნდა ვაღიარო, რომ მაგალითად, ჩერჩილზე წიგნის თარგმნა ძალიან გამიხარდა, რადგან ის ბავშვობიდან მიყვარდა, კენედის მიმართ კი სექტიმენტალური არასდროს ვყოფილვარ, თუმცა კრის მეტოქე იმდენად საინტერესო ბიოგრაფია შემოგვთავაზა, რომ სულ სხვა ადამიანი დავინახე. ჯერ როგორი ტრაგიკული პიროვნება ყოფილა, ხერხემალზე რამდენიმე ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, აუტანელ ტკივილს იტანდა ყოველდღიურად, ხალხის წინაშე კი სულ მოლიმარი იდგა. ალბათ თარგმანებიდან „ჩერჩილის“ მეურ „კენედი“ მიყვარს.

— რამდენად განსხვავებულია მხატვრული პროზისა და დოკუმენტური პროზის თარგმნის პროცესი? იქნებ მათ შორის განსხვავებასა და მსგავსებაზე ვისაუბროთ?

— ყველაფერს თავისი სირთულე აქვს, ხომ? მაგალითად, დოკუმენტურ პროზას ცაც შეეხება, ყველაზე რთული, ვფიქრობ, ციტატების თარგმნა — როგორ გინდა, ჩერჩილის ფანტასტიკური სიტყვა ისე არ თარგმნო, როგორც ის იმსახურებს? სხვა მხრივ კი შედარება არ არის — მხატვრული პროზის თარგმნა ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაოა.

— 2017 წელსაა გამოქვეყნებული მიაი კუდავას ნერილი „მწერლები და მათი ქალიშვილები“, რომელშიც ლაპარაკობს ჩვენი მწერლების ამოუცნობი შუქის, ანარეკლის მატარებელ მათ ქალიშვილებზე. იხსენებს ოთარ ჭილაძის პოემას „თაკო და ხაზა“ და მოჰყავს ამონარიდი მისი დღიურიდან, სადაც თქვენზე მამა იცხადარი სიფაქიზით წერს... მეც ვერ ავუვლიდი გვერდს ამ თემას და მინდა, გთხოვოთ გაიხსენოთ მასთან ურთიერთობის ძვირფასი მომენტები, თუნდაც ერთი. სხვათა შორის, ამას წინათ ვკითხულობდი თქვენს პუბლიკაციას „ყოველსაშემდეგ ორგენა“, აფრიკაში რომ გპირდებოდით ნაყვანას, როცა გაიზრდებოდით...

— რატომღაც მგონია, რომ ამ ინტერვიუში ყველაზე მეტად სწორედ ეს არის მკითხველისთვის საინტერესო. იცით, არ მინდა, განყენივით, მაგრამ, რაც დრო გავდის, რატომღაც ვრწმუნდები, რომ არ ვი-

ყავი კარგი შვილი, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, როგორსაც ჩემი მშობლები იმსახურებდნენ და ამიტომ მიძინებდა რაცაცების გახსენება. ძალიან ღირსეული და კეთილშობილი ადამიანი იყო ორივე, მასწავლეს სიკეთის და სამართლიანობის ფასი, რას ნიშნავს იყო მშობელი, დარწმუნებული ვარ, სხვა არც არაფერი უნდოდათ, მაგრამ ახლა, ჩემი შვილი რომ წამოიზარდა, საოცარი ბუნების ბავშვი, მისი შემხედვარე ვფიქრობ, რომ არ ვიყავი კარგი შვილი და გული ძალიან მწყდება...


მამაჩემს საოცარი იუმორი ჰქონდა, რამდენადაც შესაძლებელია, წარმოიდგინო, რომ „ყოველმან ჩემმან მპოვნელმანის“ ავტორი იყო ხუმარა. თუმცა, როცა მუშაობდა, უცხო ხდებოდა მამინ, ჩავვივლიდა ისე, რომ ვერც გვამჩნევდა. სხვა დროს კი ბავშვებთან უყვარდა თამაში, ჩემმა შვილმაც მოასწრო მასთან დამეგობრება, მანქანით გამოუვლიდა, წაიყვანდა, საჩუქრებით დააბრუნებდა, „საჩუქრები პაპას“ ეძახდა. ცხოველების სიყვარული მამისგან გამომყვა. ბავშვობაში ავად რომ ვხდებოდი, სხვადასხვა ცხოველს შემოაპარებდა ხოლმე სახლში — კურდღელს, გოჭს, იხვს... შემოაპარებდა იმიტომ ვთქვი, რომ დედაჩემი გვიკრძალავდა, იცოდა, მერე ის ცხოველიც მისი მოსაველი გახდებოდა. ერთხელ მაღალი სიცხე მქონდა და დავინახე სასტუმრო ოთახში გოჭი დარბოდა, სანყალს პარკეტზე უსრიალებდა ფეხი და ძალიან შემინებული ჩანდა. ვიფიქრე, სიცხის ბრალია, ალბათ მეღანდებამეთქი, ისე, მართლაც, სიცხე დაინია და გოჭიც გაქრა.

— ახლა რაზე მუშაობთ, რა გეგმები გაქვთ, როგორც მთარგმნელს?

— ძალიან მხიბლავს ეს კითხვა. გეტყვით, რატომ: წინასწარ რომ დამეგმვამა, ეჭვი მაქვს, ამას ვერ მოვახერხებდი. აი, ნახეთ: ჰაქსლი ახალგაზრდობიდან ჩემი დიდი სიყვარულია და მას ყოველთვის სიამოვნებით ვთარგმნიდი, ჰაქსლის დიდი პატივისცემა ჰქონდა ფილდინგის მიმართ, მეც ფილდინგის თარგმნა მომიწია... 70-იანებში თინეჯერობაგამოვივლილს გასაკვირი არ არის, თუ როკი მეყვარება. დილანი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუსიკოსია და ძალიან გამიხარდა, როცა მითხრეს, რომ დილანის „ქრონიკებზე“ უნდა მეშეშავა. დილანის საყვარელი მწერალი ჯექ კერუაკი ყოფილა — მერე სწორედ კერუაკი ვთარგმნე. კერუაკი თომას ვულფს უდიდეს მწერლად მიიჩნევდა და ისე მოხდა, რომ შემდეგ ვულფი ვთარგმნე. მის რომანზე რომ ვმუშაობდი, აღმოვაჩინე, რომ ვულფის საყვარელი ავტორი სინკლერ ლუისია, პირველი ამერიკელი ნობელიანტი, რომელმაც სანობლო სიტყვაში აღერთოვანებით მოიხსენია ახალგაზრდა თომას ვულფი. ვულფს თავის რომანში იმდენად საინტერესო ტიპად ჰყავს აღწერილი ლოიდ მაკპარგი, რომლის პროტოტიპიც სწორედ სინკლერ ლუისია, რომ გადავწყვიტე, როგორც კი თავისუფალ დროს გამოვძებნიდი, ეს ჩემთვის უცნობი ავტორი წამეკითხა. და აი, ჰა და ჰა, ვამთავრებ ფილდინგს და მირეკავენ „სიესტადან“ — სხვათა შორის, მინდა, ვთქვა, რომ პირველად თანამშრომლობ მათთან, თუმცა ყოველთვის დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი. მოკლედ, დათო კაკაბაძემ დამირეკა და — შემთხვევით, სინკლერ ლუისის ხომ არ თარგმნიდით... ყურებს არ დაფუჯერე, ვიფიქრე, აქ უკვე განგების ხელი ურევიამეთქი და დიდი ინტერესით ველოდები, რას მიმზადებს ბედისწერა.

ესაუბრა თამარ შურული

ნანა კუცია
მწვანეყვავილას მთავარანგელოზი — გვიანი მგზავრის მფარველი



„შეადური საქმეა პოეტური სიტყვის „ანალიზი.“ დოსტოვესკისეულ „სულის ანატომირებას“ ჰგავს პროზაული ტექსტის განხილვაც კი, მით უფრო წარმოადგენს ანატომირება პოეტური ნარატივისა და კიდევ მით უფრო — პოეტური კრებულისა, რადგან თითოეული ლექსი, ვფიქრობთ, ავტონომიური სივრცეა, უნიკალური კოსმოლოგიური მოდელი, პერსონალურ ყურადღებას რომ იმსახურებს.

გალაკტიონის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ ლექსის საუკეთესო „ანალიზი“ მისი ნაკითხვა-ციტირებაა. პოეტთა მეფეს, უდავოდ, დაეჯერება. იქნებ, სწორედ პოეტთა მეფის დიდებული მხატვრული სივრცითაა მთავრობებული სათაური ეკა ქაჯაიას ლექსთა კრებულია — „გვიანი მგზავრი“ (2020, „ჩვენი მწერლობა“ და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება)! გალაკტიონი ლექს „გაზაში“ წერდა: „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები, სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, სადაც იქნება ცოფი ნაკლები და უფრო ნაკლებ — ადამიანი“.

განა, არა ჰგავს პოეტი ქალის განდობა უფლისადმი ზემოთქმულს — „ხომ მაფრთხილებდი, ღმერთო, ამ ავბედ უკუნში თვალი არ გამეხილაო“ (უსათაურო). გვიანი მგზავრი ტკივილსა და ნატვრას გაამხელს, ადამიანზე უფრო სავსეა გვიანსოვრებენო, „იმეორებენ ჩვენს მერეც, დიდხანს, ჩვენი ჩრდილების ქარგებს და ქორდებს... მე მაინც მინდა, ადამიანის იმედი მქონდეს“.

სამყაროს „მოსწრაფებით რღვევისას“, „ცოფის“ ზეობისას პოეტები მართლაც ჰგვანან „სხვა საუკუნის გვიან მგზავრებს“, თითქოს მიღმეირიდან მოსულებმა რომ უნდა შეგვახსენონ „ცოფის“ აბსურდულობაცა და წარმავლობაც და წამის მშვენიერებით, განუყოფლობით მოგვაჯადოონ, როგორც ესმა ონიანი იტყოდა — „კვლავ ამის ვერაფრით ვეღარნახვის მსუბუქ თავბრუთი“...

რამდენი ასეთი „მსუბუქი თავბრუ“ ელის ეკა ქაჯაიას პოეტური სამყაროს ბედნიერ სტუმარს... ამ პატარა წიგნში საოცარი სიმყუდროვე და სინათლე დაუხვდება და ენყალობება ყველას, გვიანი მგზავრი კეთილ მასპინძლად ექცევა და სულს მოათქმევინებს, უსაღბუნებს, ანუგეშებს და შეაგრძობინებს ქართველთა მთავარი ტექსტის ქრესტომათიულ სიბრძნეს, ღმერთმა რომ „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა...“

პოეტები ამ უთვალავი ფერის აღქმამი გვეშველებიან. ეს ფერები ყველასა გვაქვს, ოღონდ ხანდახან, დიდი მათეატროსი არ იყოს, არ ვიცით ხოლმე. ეკა ქაჯაიამ იცის...

ბობ დილანი
100 წიგნი
რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

რონალდ რეიგანი

მარგარეტ ტეთჩერი
რომონო თაქვდ იტყოლა

რამსფელდის წესები
დონალდ რამსფელდი



დასასრული

რამდენი ფერადი ნამი აუკინძავს პოეტს და უნიკალურ-უნივერსალურ სალექსო სივრცედ უქცევია. განა რამდენი ლექსი წაგვიკითხავს გარეცხილ-გაფენილ-გამზეურებულ თეთრეულზე? მისი უდიდებულესობა მეტაფორა აირეკლავს პოეტის მშობლიურ ქალაქს, „სადაც თეთრი ქვების თეთრეულს ავლებს მდინარე თეთრი ხიდის ქვეშ...“.

იგივე სახე სხვა პარადიგმად იქცევა სხვა ლექსში. გვახსოვს დაუფინყარი კადრი გაბრიელ გარსია მარკესის „ასწავლიანი მარტოობიდან“ — ქარში გაფრენილი ზეზნები, ურსულა და რემედიოსი, სიურრეალისტური ვიზიონი, ხაზგასმით წარმომჩენი ყოველივეს ეფემერულობისა, მსწრაფლწარმავლობისა. ეკა ქაჯაიასთანაც ქარში ფრიალებს თეთრეული, „ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“, გალაკტიონი წერდა. თეთრი ხიდისა და თეთრი ქვების ქალაქში სულ ქარია, მაგრამ „არა ჩანს“, ოღონდ, თეთრეულში ჩაყურსული, სულს უდგამს, ასულიერებს ქსოვილს, აფრას ამსგავსებს, „ფრთები, ფრთები გინდაო“, შეგახსენებს და რუტინული პროცესი რეცხვა-შრობისა ტრანსცენდენტურ, პარაბოლურ ენერგეტიკას იძენს, როგორც ჯოისის „მინის“ პერსონაჟი, მრეცხავი მარია — თავისი დიდი ზეციური სეხსიის კონტურს:

და თოკზე ასხმულ ზენრებს
მივივით მარცვლავდა ქარი და ძილგამქრალი,
გამორკვეული თითქო სიზმრიდან
აჩქარდა გულისცემა ქალაქის.
არღვევდა ქარი ზენრის ჯვბრებს,
ბზუოდა ფუტკრის სკასავით სკვერი
და სართულს, მთელი ქალაქის ჯიბრზე,
შეხსნილი ჰქონდა ყველა სარკმელი...
უთვალთვალვდა ქალაქი სართულს,
სართულს კი ჰქონდა სუნი ლავანდის,
ქარს, ნამზეურებ ზენართან გართულს,
ათასი კაცის ფიქრი ზეერავდა...
და როდის... როდის... როცა ხალხს მწველი
მზე წაეკიდა, საღსალამათი,
მოჰხვია ქალმა თეთრეულს ხელი

და სახლში შეჰყვა მთელი ქალაქი...
მისტერია შედგა — ქალის და ქარის „ნელი თამაშის“...
რუტინულის ტრანსცენდენტურად ქცევის, „საიგავოდ დამარხვის“ — თავად პოეტის უზუსტესი, დახვეწილი კონსტრუქციით... ამგვარ უნარს „სიცოცხლის ჰომეოლოგის“ ენერგეტიკად ნათლავდა მოსე გოგიბერიძე ბარათაშვილის „მერანის“ ანალიზისას...

სიცოცხლის ჰომეოლოგის მადლი სამყაროში თითქოს იღვეა და სიცოცხლის უარ(მ)ყოფ(ლობ)ის ბალღამი ეღვრება ყოფას. „მოსწრაფებით რღვევად სოფელი“ და გვერდობა ნამით გახარების სასწაული, ვერც კი ვამჩნევთ სამყაროს უცნაურ, მეტყველ ოქსიმორონებს.

პოეტი ამჩნევს და რიტორიკულ კითხვად ჩამოქნის სტრიქონს:

იუდას ხე ვინ დაგარქვა, არღვანავ,
ან ქრისტესისხლას გვერდით ვიღამ დაგროგო?!
„საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზევისა“,
იტყოდა ვაჟა-ფშაველა უნივერსუმის ოქსიმორონულ ბუნებაზე, დასკვნად კი კვლავ სიცოცხლის ჰომეოლოგ სტრიქონს დაგვიდგებდა — „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ჰყვავისა“.

იუდას ხეც ლამაზია პოეტის თვალისა და სულისათვის. „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ — ესეც ხომ ქრესტომათიული ცოდნაა ქართველთათვის და აღარ გიკვირს პოეტის ხილვა და მიმართვა „დაუნებული“ ხისადმი:

„იუდას ხეც, ასე რამ აგაყვავილა,
ვენების კვირას ტანთ რა ვენება გამოისხი?!
ისე ბრწყინავ, დაემსგავსა ნაყვავილარს
გაზაფხულის დანარჩენი სამზადისი“.

ყოფიერების ჰომეოლოგ ამ ნატიფ ლექსებში დიდი ტკივილია და აცნობიერებს, რომ ეს ჰომეოლოგია გულგრილი განურჩევლობა კი არაა სატკივრისადმი, პირიქით, ტკივილის დაძლევის, ოქროს ცეცხლში გამოსურვებით ნაწვალობევი მადლია — პოეტი „თავს გადახდენილ ყველა წარღვნიდან (ბრუნდება), როგორც ახალ ქვეყნიდან“. საკუთარ ყოფაზე ლაპიდარულად მოჰყვება: „ჯავრს ვიცვამ, ღამეში გავდივარ“.

ჯავრის გაროზით არ გამძიმებს დახვეწილი სული, „სევედა მქონდა მსუბუქი — ყვივილის მტვერით“.

ლაღო თევდორაძის ტილო-ესკიზების იმერული ოდეობით მყუდროა მიტოვებული პაპისეული სახლის ეკა ქაჯაიასეული სივრცე. აკა მორჩილადის „ობოლეს“ სახლივით ჯერ ჭერი არ ჩაჰქცევია, მაგრამ გოდერძი ჩოხელის „მარტოობის“ სახლივით ჭინჭარი უკვე მოსძალდება „მივიწყებული სახლის“ საფეხურებს.

ეკა ქაჯაიას აქვს იმეათი და მადლიანი უნარი ტექსტის ვიზუალიზაციის, თითქოს ფერწერულ ტილოს ან მხატვრულ ფილმს ვუყურებდეთ, კადრირებული შავ-თეთრი ფონი გაუსაძლისი ტკივილით გვთანგავს და მხოლოდ ბაბუას თვალები ანათებს ცისფრად სიწმისა და მუსაფრობაში:

ოდის კიბებზე ბალახმა იძალა,
ძველი ალტაცებით ჰყვავის კამელია,
სურათზე მტკრის თოვლი ბაბუას მიმალავს,
ბაბუას ისევ ლურჯი თვალები აქვს...
თავგების ფართხუნით შეძრული კედლიდან
შორეულ დღეების თეთრი ხორხოცია...
რა სასწაულია — რაღა არ შეცვლილა?!

ბაბუა სურათზე ისევ მოხუცია.
ოთახში სუნია მტკრის და ნიშადურის.
ეზოში ჭრიჭინი გაუბამთ კალიებს
და ძველი პალტო, ჩრჩილით დალაშქრული,
ჩამომხრჩვალ კაცივით კიდა საკიდზე.

სხვა, ეგზისტენციური შიშიც გაკრთება — სხვაგან: „მე მხოლოდ ვიშობ, რომ არც ერთ სახლში არავინ ცხოვრობს“ — ეს მეტაფიზიკაა, ირაციონალური ძრწოლა — „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის“...

„შორეულ დღეების თეთრი ხორხოცი“ ესმა ონიანის „თეთრი სტუმრების“ ყრიაშულსაც მოგვაგონებს და ლია სტურუას სევდასაც „ბუნებაში არარსებული“ სოფლისა გამო...

ნანა კუცია

მწვანეყვავილას მთავარანგელოზი — გვიანი მგზავრის მფარველი

ჩვენ ჩვენი წილი სოფელი მივატოვეთ და ჩვენს წილ წუთისოფელშიც აგვებნა გზა. მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველებითი კონცეპტით, სანამ სოლოლაკში ვექეილობდით, ნაშინდარში ჯავა ჩაფუძნდა:

„რა დაცინვაა, სად გვეცხოვრება, გვიკანონებდეს ვიღაც მესრდან, რაც უნდა იყოს, იმ საზღვარს იქით, იმ მიწის ზევით ცას რა შეცვლიდა?! იმ მიწის ზევით ცას რა შეცვლიდა (ნისლის და ღრუბლის ახალუბებით)?! ის, რაც მიწაზე გამოუცხოვდა, შემოუნახავს ცას ხელუხლები“ — „მინყივ მბრუნავი“ ცის მანუგემებელი უძრაობა-უცვალებლობა კონსტატორდება.

როგორც ყოველ ლექსში, ზემოთ მოხმობილ უსათაუროშიც მინიერადან ტრანსცენდენტურისაკენ მიმართავს მკითხველის (და საკუთარ) მზერას პოეტი და, როგორც ყველაფერს ეკა ქაჯაიას პატარა და დიდ ნიგში, მზერის ამ „მიმართულებასაც“ ქრესტომათიული ნანამძღვარი აქვს: „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დარჩენული... გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაჰშთოს აქ ამოება“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი).

პოსტმოდერნიზმი ნაკლებად სწყალობს კონვენციურ ლექსს და ვერლიბრ-ვერბლანს ემხეველება-ეკეკლუცება. პოსტმოდერნისტულ „ძველ ციტატად“, ახალი ტექსტის ინსპირაციად კრებულში იოჰან ვოლფგანგ გოეთესა და ჰაინრიხ ჰაინეს დიალოგი გაიჟღერებს, ბრძენი ვაიმარელის ფრაზა: „ვაიმარის გზად, ჰაინე, თუ იცი, გზისპირ ხომ არ აყვავილდნენ ტყემლები?!“

პოსტმოდერნისტული „გერმანული“ ციტატაც ისეთ იმერულ სურნელს დაიკრავს — ტყემალი ისეთი ქართული ფენომენია, უთარგმნელი სახელი კონცეპტუალური მცენარის ... ასოციაციებად ნამოიშლება „ამალამ, მგონი, იქნება ქარი, ვაი, დედოფალ ტყემლებს ბრალი“ (პაილო იაშვილი), ან მიუხეხნის რესტორანში უგემური ბიფშტექსის „კიკინის“ ელი გორდელიანის განაფიქრები — „ამას მოუხდებოდა მძაღვ ან კვანარახი“ (ნიკო ლორთქიფანიძე)...

სულ ესაა „პოსტმოდერნისტული“ ამ კრებულში, ან — თითქმის სულ ეს.

ეკა ქაჯაია კონვენციური ლექსის ერთგულია, „მუსიკა — უპირველეს ყოვლისა!“ — გალაკტიონისეული იმპერატივი მისთვის ლიტერატურული კანონია, მუსიკა და ენიგმა-პარადიგმები, მეტაფორა, როგორც ლექსის ხერხემალი — მაგალითად, ამბავი აივნისა, პოეტი რომ „ცის სახლს“ უნოდეს და მობინადრებდა კი ეს „ცის სახლი ოთხი კვადრატის მტკიცე საბაზით ამოაშენეს“, და „ყველა დროის ყველა ამინდი მოულოდნელად დატოვებს გარეთ“, ან ამბავი ტაოს ნანგრევებისა, „ჩიტის სიმძიმეც (რომ) ნელში ხრით“...

ამ ლექსებში ბევრი ენიგმაა, დახვეწილი, დაუფინყარი, ზოგი ლექსი თავადაა ერთი დიდი მეტაფორა, მაგალითად, უსათაურო — „ღრუბლებში მთვარე ბალახობს, ვარსკვლავთნახირი გამოშლილა მგლისფერ მდებლობზე.“

სტიქიონები, ელემენტები პერსონიფიცირდებიან ეკა ქაჯაიასთან — ზღვა, მზე, მინა...

მეტაფორულ-ენიგმურია ლექსები ზღვაზე. არ ვიცი, როგორ შეიგრძნობს ზღვას ასე ღრმად, ასე ფაქიზად გო-

გონა, რომელსაც ის ქალაქი ენატრება, „სადაც (გავიმეორებ ზემოთქმულს — ნ.კ.) თეთრი ქვების თეთრეულს ავლებს მდინარე თეთრი ხიდის ქვეშ... ანგელოზები ესიზმრებიან მწვანეყვავილას მთავარანგელოზს“, მაგრამ, ალბათ, ზღვისპირელიც კი ნაკლებად დაიკვებინა ზღვის სტიქიონთან ასეთი კამერული, ინტიმური განდობით:

„შენ იბადები ისე თანდათან, ზღვაო,
ნათლისმგებ სხივთაგებაში,
ასე მგონია, ნაბიჯს შევდგამ და
შეცვურავ ახალმეთენებაში...
შენ იძარღვები და იხაზები და
უმსუბუქეს სხივთა ქამანდით
მიეზიდები ნელი ზმორებით

ლურჯი ზოლებით ცისფერ ხომალდებს“ (ეკა ქაჯაიას რითმაზე ლექსმცოდნეები იტყვიან, მაგრამ უბრალოდ აღვნიშნავთ ერთ, ზემოთ გაუღერებულ რითმას — „ქამანდით — ხომალდებს“... ჩინებული სმენა).

სხვა ლექსში სხვანაირია ზღვა... გაუცნობიერებლად მონატრებული, ნანინანატრი:

„გადვირბენდი ახლა ამ სოფლის სერს
უკანასკნელ სამოსახლომდე,
მივატოვებდი სულ ერთი წუთით კუთვნილ სამოთხეს
და ზღვას ენახავდი“ — უზღვაოდ

სამოთხე სამოთხე არ არის.

ამ ყურ, სევდიან, ნატიფ და მართალ ლექსებში მზეც სხვანაირია — „თვალს რომ ხუჭავ და იმ წამს ჩადის“ — ობიექტური მზე — სუბიექტური თვალის დახუჭვისას.

პერსონიფიცირებულია მინაც (მინასთანაც კამერულ საუბარს მართავს პოეტი):

„აბრეშუმით რბილი, მინად ყოფნას იგინყებ,
ცისკენ მფრინავი ფარდავით იქარგავ აღმართს,
გაზაფხულობით შენს თავს არ ჰგავხარ, მინავ,
და საკუთარი თავისაგან გარბიხარ — მაღლა!“.

პოეტის სუბიექტური თვალის სამყაროს უფაქიზეს სასწაულს — ჩვილსაც განსხვავებულად მზერს — „ჩვილი“ „პეპელასავით მჩატეა“, „ხავის სიკამკამეა“, ჭვავის სურნელი აქვს და თითქოს „უხსოვარი დროიდან“ იმზირება... ეს მარადისობის მზერაა (თუ მზერა მარადისობიდან), აკი ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც „ჩვილი“ „ენითა სასუფევისის“ უღურტულებს.

ლექსთა რეგისტრი მაღალი რწმენაა. „ღმერთო, მიმატოვე, მგონი, გაქრა მწუხარება რახან“, — ვკითხულობთ ტრაგიკულ-გროტესკულ სათაურიან ლექსში „ჩემი მშვენიერი დრო“ — წმინდა მამების, ეკლესიის ავტორიტეტთა ნააზრევში თუ გადავანყდებით იდენტურ კონცეპტს. „ჩემი მშვენიერი დროც“ ოქსიმორიანია და ფრჩხილებს სხვა ლექსში ხსნის პოეტი — „დრო იმდენ მზის და სინათლეს მართმევს, ვსვამ შესქელებულ წყვილადს ხელადით“.

„შესქელებული წყვილი“ მსკლარტეა, მაგრამ პოეტს უყვარს თავისი „მშვენიერი დრო“ (როგორც უილიამ ფოლკნერთანაა — „გვიყვარს — ყველაფრის მიუხედავად“) და ლოცვის საკუთარ ვერსიას, საკუთარ სავედრებელ-საგადრებელს ქმნის, ვედრებაცაა და თვითრეფლექსიაც: „მთის წვერზე, სადაც დღე იისფრად ბაცდება და ზანტი ხეების შიშველი რიგია, ო, ღმერთო, რა რბილად, რა მშვიდად ნათდება, შეხედე, შეხედე, რა თეთრი ბინდია... (ნინო დარბაისელისეული ბრწყინვალე „რაბი, რა ბინდიაც“ მოგვაგონდება — ნ. კ.)... ღმერთო, ცოტახანს მაყურებინე ხელუხლებელი განთიადისთვის“... წმინდა ნატვრაა, უფლის ზნემაღალი, ზნესრული ქმნილების...

დროდადრო ადამიანური „ლამა საბაქთანიც“ დასცდება — „ეპილოგამდე რამდენია, ღმერთო, მანძილი?! რომელ გვერდზე ხარ?!“ „ლამა საბაქთანის“ მიუხედავად, გრძნობ, რომ ეკა ქაჯაიასეული ნიგნი ყოფისა ბორხესისეული „ქვიმის ნიგნი“ არაა — ხელში რომ ჩაგვეღვავა, ქვიმასავით ჩაგვეწივებოდა მადლი — მიუხედავად ჟამის ჟამიანობისა — „სამერცხლე (რომ) ცარიელია“, „ბავშვები ომობანას თამაშობენ“, ან „ყველა ცათამბჯენს ცეცხლი ედება“ (თუ ამ ლექსის თარიღი — 2000 — ზუსტია, ლექსი ანტიციპაციურია — 2001-ში ცათამბჯენებს მართლაც მოედება ცეცხლი — ნ.კ.).

მაგრამ სამყარო სულ რომ დაიქცეს, ქალი (მით უფრო — პოეტი!) პენელოპეა და ითაკას „ნაპირს (მოქარგავს) ფიქრის გობელენზე“, „ნარში კესანებს“ მოიხილავს და მთავარ ინსპირატორს, ქართული პოეზიის მეფეს, გალაკტიონს გაენდობა:

„ჩვიდმეტი მარტია... თოვს... უმწოდვდგავარ ჩემს პატარა აივანზე... და სული გაფრენის მსურველია... რადგან, სხვა პოეტის მრწამსით, „გაფრენა (თუ) არ შეგიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას...“

ბედნიერებაა, რომ საქართველოში „სხვა საუკუნის გვიანი მგზავრ(ებ)ი“ — პოეტები არ ილევინ... და „სული გაფრენის მსურველია“...

შემდეგი ნომერი გამოვა 2022 წლის 21 იანვარს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმინისტრო
საქართველოს მინისტრის სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4